

# ისტორიანი

ღმართი და  
კონსტანციე ღიღი

ჩოგორი შეცვალა  
დაზოს ცყალობა  
ერის ხეამ

ევროპელები  
მონათვაშანთა  
ჯურლებაზე



21200000419712

უფრისწერი, ჩოგადსაც დავით  
გერამიშვილი „დავითიანი“ მისახა

„50 პერსონა —  
ეათ ჰექანეს  
ისტორია“  
ტომი XLII  
„პონ ლენონი“

სამროვე სასახლეები  
საქართველოს სამეცნიერო

„დედათა საკითხები“  
დამოუკიდებელ  
საქართველოში

რამდენიმე ეპიზოდი  
ყაჩაღად გაგარდნილი  
თავადის ბერების ბერები

გენერალ მაყაზვილის  
თავდადება

# #030თხევართული



## ლევან გოთუა

ეიონი ლენიძე  
ეიონი გრილიძე  
გარა ერეაქტილი  
ეყრდნობა დანჯიშიძე  
ანა ჩალანლაძე  
ლა სხვა ქართველი  
მწერლები




## #ენიანე შაუკონი

უკე  
გამოვიდა:

030თხევართული და აღმოაჩინე ლიტერატურა,  
რომელიც ძვირფასია  
თვეში ერთხელ გაზათ „პვირის პალიტრასტან“ ერთად.





6



8




12



18



26



36

## საჩივრი

### მოქალა ამბეჭი

ჩინეთის საგანგურს საფრთხეს ეჭუქრება ..... 6

### ასეცი ამბეჭი

მითანის იდუმალი იმპერიის ქალაქს

ტიგროსი ეალავდა ..... 8

პირველი პომო საკიენი ეროვაზო?! ..... 10

### ჩვენებები

პაირი პაირიოდლუ: „ჩემი სურვილია,

დაგანახეო მორიგეოს საკართველო“ ..... 11

### ქართველი რეისები

გენერალ გაყაფვილის თავდადება ..... 12

### საკართველოს კალები

„დედათა საკითხები“ საკართველოს

დემოკრატიულ რესუბლიკაში ..... 18

### ბაბუაზენი ეფილებები

უფლისწული, რომელსაც დავით

გურამთავილება „დავითიანი“ მიაპარა ..... 26

### საკართველოს სახაფო



სამრო სასჯელები გაერთიანებული

საკართველოს საგვარეულო ..... 36

### ყარობის ისტორიები

რამდენიმე ეპიზოდი ქაჩალად

გაგარინის თავადის ცხოვრებიდან ..... 41

**49****54****60****66****76****82**

## სახელი

ემოციურობენობა	
როგორ დანართდებოდათ საქართველოს	
დღეება 1917 ტლის გაზაფხულზე	44
სამსახური კართველთა თავსაპარავი – სამეცნ	
გვირგვინი	49
აგვისტოს როის ცეკვა	
რუსეთ-საქართველოს როი	
არ დასრულებულა!	54
ვეხსრენა	
გრიგოლ ჭერეთმლი – დიდი ელიტისათ	
და ააკიროლობი	58

<b>თითოი მონოგა</b>	
ეპროექტები მონათვაზართა	
ჯერდგულებაზი	60
<b>მონაჟაფის ისშორისებრ</b>	
ღმერთი და მეცვე	66
<b>სალეველი თამაზები</b>	
206 იყო ლი კარგი ოსვალდი	
(დასასრული)	76
<b>კართული ძაბლუბი</b>	
თამაზების ჯვარიკატიონსანი	82
<b>სპანიელი</b>	
სპანიელის სახელი	90

**გურიანალ „ისტორიანის“ ძველი ნომრების შექმნა შეგიძლიათ  
„ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში**

## հՀԵՂԱՔՄԻՈՒՅ ՍՅԵՐՈ

ქართული დროშების ისტორია სათავეს ათასწლეულთა სიღრმიდან იღებს.

საქართველოში დროშების მეცნიერული შესწავლა გასული საუკუნის შუა ხანებიდან დაიწყო მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ სარაბარანაველმა. საყურადღებოა, როგორ წარმოედგინა ქართველი საზოგადოების ერთ ნაწილს საქართველოს დროშა რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ — 1917 წლის გაზაფხულზე. მანამდე, სასაც ეროვნული აღმის სტატუსს სამფეროვანი დროშა შეიძენდა. მით უფრო, რომ ამ საკითხზე ყურადღება აქამდე არავის გაუმახვილებია.

სწორედ სამფეროვანი დროშის შექმნისა და მისი კაშშირის შესახებ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნში“ ასახულ ქართულ სინამდვილეზე მოგითხოვთ სტატიაში „როგორ წარმოედგინათ საქართველოს დროშა 1917 წლის გაზაფხულზე“.

ბაგრატიონთა კახეთის შტოს წარმომადგენერლს — მირიან ბატონიშვილს, მეფე ერეკლე II-ის ერთ-ერთ ვაჟს, მინიჭებული ჰქონდა რუსეთის არმიის გენერლისა და ნამდვილი საიდუმლო მრჩევლის წოდებები იყო საიმპერიო სენატის წევრი და პარალელურად ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. მისი ცხოვრებისა და იმის შესახებ, თუ როგორ მიაპარა უფლისწულს უცხოეთში გადახვეწილმა ქართველთა სამაყო პოეტმა დავით გურამიშვილმა „დავითანი“ გაიმტობთ რუბრიკა „ბაგრატონები უფლისწულები“

აღრუული შუა საუკუნეების ქრისტიანულ კულტურულ მართვაში ჩამოყალიბება დაიწყო ღვთაებრივი მონარქიის კონცეფციად. იდეამ სამეფო ხელი სუფლების არამიწიერი, ღვთაებრივი წარმომავლობის შესახებ განვითარების საქმაოდ ხანგრძლივი და საინტერესო გზა განვლო. კონცეფცია მოელი შუა საუკუნეების განმავლობაში იხვევისტოდა, გაღრმავდა მისი შინაარსობრივი მხარე, გაჩნდა შესაბამისი სიმბოლიკა, ატრიბუტები, განმტკიცდა და გაიზარდა მისი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობაც. ამ პერიოდში საბოლოოდ ჩამოყალიბდა მონარქიის ღვთაებრივი წარმომავლობის დამასაბუთებელი მოსაზრებები და არგუმენტები. ამ ყოველივე შესახებ გიამბობთ რუბრიკა „მონარქიის ისტორია“.

არაერთ საინტერესო მასალას გაეცნობით აგრეთ-  
ვე ნომერში წარმოდგენილ რუბრიკებში: „აგვისტონ  
ომის ექი“, „ქართველთა თაყსაბურავი“, „ჩენეპუ-  
რაბი“ და სხვ.



କାର୍ତ୍ତିକାଲୀ ଦର୍ଶନକାଳି  
ଦିନମରିଦିଆ ଦିନାତିରିବେ ଦିନାଲୀ,  
କରୁଥିବାକିମେ ତଥାପି କାର୍ତ୍ତିକାଲୀ  
କାର୍ତ୍ତିକାଲୀ

ისტორიულ-შემცნებითი ქურნალი  
„ისტორიანი“

## მთავარი რედაქტორი ჯაბა სამუშა

რედაქტორი  
გელა გურგენიძე

სტილისტ-რედაქტორი  
ელენე სალარიძე

## კომპიუტერული უზრუნველყოფა რეზო თხილიშვილი

სარედაცვითი კოლეგია:  
აღმენისნაბეჭი მიშმებური, ოქროპირ ჯიქური,  
ჯაფარიძე, დიმიტრი სილაქაძე,  
მიხეილ ბარნევი, შეოთა მათიაშვილი, კახაბერ  
გალიძეა, ნიკოლოზ ხოცურია

კორექტორები:

ნანა მაჭუტარიანი

ნინო აბესაძე


რედაქციის მისამართი:  
თბილისი, იოსებიძის ქ. №4  
**ტელ.:** 238-13-72, 238-02-45  
**e-mail:** istoriani@palitra.ge

სარეკლამო განცოლილება  
ტელ.: 237-78-07, 238-78-70  
ერთნალი გამზიდის თვეში რთხელ  
რეაქტივის ნებართვის გარეშე  
მასალების გადატყვევა, არჩევულია  
„პალიტრამების“ ცხელი სახი: 219-60-13; 219-60-53  
e-mail: contact@palitra.ge

ქურთალის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით,  
კვ-გვერდზე: [www.elva.ge](http://www.elva.ge)  
ან სტატუსურის შეკვეთის საშუალებით:  
**(+995 32) 2 37 50 03; (+995 32) 2 38 26 74**  
ათვერდი მიმთხა ასახა!

*Tobias  
July 1855*

# ჩინეთის საგაძურს საფრთხე ერებუბა



(ზემოთ) კლდეში ნაკვეთი სკულპტურები.  
(ქვემოთ) სკულპტურების სახეები ახლო პლანით



ჩინეთის ერთ-ერთი უდიდესი მღვიმოგანი ბუდისტური მონასტერი, მაიძღვანი ქვენის გარეთ ნაკლებად არის ცნობილი. ის ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარეობს, განცუს პროვინციის მაიძის რაიონში. აქ სამონასტრო ცხოვრება გვიანი ცინის დინასტიის დროს (384-417 წწ.) დაიწყო, როცა პირველი მღვიმები გამოკვეთეს და ბერები გამოჩნდნენ. ორ ბერს — ტანჰონგასა და პუანგას, რომლებიც აქ მოწაფებით ერთად მედიტირებდნენ, ეკუთვნით აქაურიბის წერილობითი აღწერა.

მშრალი კლიმატის წყალობით, მონასტერი ასწლეულების განმავლობაში პრაქტიკულად დაუზიანებლად შემორჩა, მაგრამ ბოლო დროს გახშირებული წვიმები, რაც აღბათ, კლიმატის ცვლილებას უკავშირდება, ჩინელების სიამაყეს უპრეცედენტო საფრთხეს უქმის.

მოწითალო ქვიშაქვით აგებული 142 მეტრი სიმაღლის კლდის სამხრეთ ფერდობზე სულ 194 მღვიმეა — 140 დასაკლეთის მხარეს და 54 — აღმოსავლეთის. ისინი გამოკვეთილია კლდის ძირიდან 80 მეტრის სიმაღლეზე. მღვიმებში არის IV საუკუნიდან XIX საუკუნემდე შექმნილი 7200-ზე მეტი ქვისა და თხის ქანდაკება, მათგან ყველაზე მაღალი 16 მეტრია. აქ


არის ფრესკები, რომელთა საერთო ფართობი 1300 კვედს აღმატება. ქანდაკებებს გარდა, მღვიმებში ასევე ნაცონა 2000-ზე მეტი კერამიკული, რკინის, ბრინჯაოსა და იასპისგან დამზადებული ნივთი, უძველესი დოკუმენტები, სურათები და კალიგრაფია ნაწყვერები.

ერთი მღვიმიდან მეორეში მოხვედრა შესაძლებელია მხოლოდ უფსკრულის თავზე გადებული კიბეებით. თუდაპირველად ეს კიბეები მხოლოდ ხისა იყო, თუმცა ახლახან ლითონის საყრდენებით გაამაგრუს. მაიძიშანში ამჟამად მუზეუმია მოწყობილი, თუმცა ბევრი მღვიმე მნახველებისთვის დახურულია.


ქანდაკებებს შორის ყველაზე ხშირად, ისტორიული ბუდა შაკიაშვილის გარდა, გვხვდება ცოდნით სრულყოფილ მოძღვარ ბოდჰისატებსა და სხვა მომსახურებს შორის მჯდომი ბუდა ამიტაბჰა, რომელიც სიბრძნის ბუდათა შორის ყველაზე პოპულარული და ცნობილია. ამიტაბჰას მარჯვნივ, როგორც წესი, ბოდჰისატვა ავალო კიტეშვარა, ხოლო მარცხნივ — ბოდჰისატვა მაპასტკამაპრატყა გამოსახული.

ქანდაკების უმრავლესობა დამზადებულია თიხისგან, რომლის დუღაბის მხატვის მინარევის შემადგენლობა დღემდე უცნობია. რეკიონი მაღალი სეისმური აქტიურობით გამორჩევა და ხშირი მიწისძვრების მიუხედავად, თიხის ქანდაკების უმრავლესობამ დღემდე მოაღწია. კლდეში ნაკვეთი სკულპტურები, დანარჩენი ქანდაკებებთან შედარებით, გაცილებით მაღალი მხატვრული დირექტულებით გამოირჩევა. აღსანიშნავია, რომ მღვიმოვნი ბუდისტური მონასტერი 12 დინასტიის განმავლობაში შენდებოდა.


**მომზადებული history.com-ის მხედვით**



მღვიმიდან მღვიმეში გადასვლა მხოლოდ უფსკრულის თავზე გადებული კიბეებით შეიძლება. თუდაპირველად ეს კიბეები მხოლოდ ხისა იყო, თუმცა ბოლოს ლითონის საყრდენებით გაამაგრუს



მაიძიშანში 7200-ზე  
მეტი ქანდაკებაა



მოსულის კაშხალი  
ერავის ქურთისტანში



## მითანის იდუმალი იმპერიის ქალაქს ტიგროსი მაღავდა

მდინარე ტიგროსის ნაპირებთან სასახლის ნანგრევებს მიაკვლიერს. ბრინჯაოს ხანის ძეგლი, რომელსაც კემუნეს უწოდებენ, ერავის ქურთისტანში, მოსულის კაშხლის ტერიტორიაზე მიაკვლიერს. აქ ათი წლის განმავლობაში მუშაობდა არქეოლოგთა ქურთულ-გერმანული ექსპედიცია. სასახლის ნაშთები კაშხალში წყლის დონის შემცირების შემდეგ გამოჩნდა. თავდაპირველად ორი მეტრის სისქის კედლები შენიშნეს, რომელებიც სასახლის შიდა კედლები აღმოჩნდა, თაბაშირის სტრუქტურითა და კაშგაშა, კარგად შემონახული კედლის მხატვრობით. იატაკის ფილებად გმომწვარი აგურია გამოყენებული. ნახეს აღწერილობის შემცველი თხის ფირფიტებიც.

სასახლის კედლის მოხატულობის ფრაგმენტი



მეცნიერთა განცხადებით, სასახლის ტერიტორიაზე ორი არქეოლოგიური შრე შეინიშნება, რაც მიუთითებს, რომ შთამბეჭდავი ნაგებობა, რომელიც დროთა განმავლობაში იერსა და მასშტაბსაც იცვლიდა, საკმაოდ დიდხანს იყო მითანის იმპერიის საკანონო შენობა. გამოჩენის შემდეგ გაირკვა, რომ სასახლე თავდაპირველად შემაღლებულ, ტალახის აგურისგან ნაგებ ტერასაზე აუშენებიათ მდინარის აღმოსავლეთი ნაპირიდან 20 მეტრში და ის ტიგროსის ხეობას გადაჰყურებდა. როგორც თავდაპირველი დაკვირვებები მიუთითებს, ამ აღგილას იყო უძველესი ქალაქი ქახიკუ, რომელიც ძვ.წ. 1800 წელს დაარსდა და სულ მცირე, ოთხი საუკუნის განმავლობაში იყო მითანის იმპერიის მნიშვნელოვანი ცენტრი.

სპეციალისტების ნაწილმა აღმოჩენას სენსაციური უწოდა. გერმანიის ტიუბინგენის უნივერსიტეტის არქეოლოგი ივანა პულიცი



ამბობს, რომ ძვ.წ. II ათასწლეულში ახლო აღმოსავლეთის სასახლეებში კედლებს ხატავდნენ, თუმცა ჩვენამდე მხოლოდ იშვიათმა ნიმუშებმა მოაღწია.

სასახლეში აღმოჩენილი თიხის ფირფიტების წარწერების გაშიფრაზე მეცნიერები უკვე მუშაობენ და იმედოვნებენ, რომ მათი გაშიფრაზე შემდგე გაცილებით მეტს შევიტყობთ მითანის იმპერიის შესახებ. ზეობის პერიოდში მითანი გადაჭიმული იყო ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან თანამედროვე ჩრდილოეთ ერაყამდე, აკონტროლებდა მესოპოტამიას და თანამედროვე სირიის ტერიტორიას. უძველეს ჩანაწერებზე დაყრდ-

ნობით, ისტორიკოსებმა უკვე იციან, რომ მითანის მეფეები ეგვიპტის ფარაონებთან ისე ურთიერთობდნენ, როგორც თანასწორებთან. თუმცა ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი იმ ხალხის შესახებ, რომელმაც მითანის იმპერია შექმნა და ისიც ძირითადად სხვა ქვეყნებისა და ცივილიზაციების წყაროებიდან. ისინი ხურიტულად და აქადურად მეტყველებდნენ. უძველესმა სასახლემ შეიძლება, ისტორიის ამ პერიოდის შესახებ არსებული ვაკუუმი მცირედით მაინც შეასოს. კმუნე 2018 წელს იპოვეს, თუმცა მეცნიერებს მისი კვლევის შესაძლებლობა მხოლოდ ბოლო დროს მიეცათ მოშადებულია sciencealert-ის მიხედვით

## ნებისმიერ საკითხთან დაკავშირდეთ

(კითხვა, შენიშვნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)

**კალიტრა მედია გისმენი!**



დარეკო: 219 60 13



მოგვინარეთ: [contact@palitra.ge](mailto:contact@palitra.ge)

ან: „კვირის კალიტრის“ („სიტყვა და საქმის“)

საფოსტო ყუთების საშუალებით

# პირველი ჰომი საკიანის ევროპაში?!




აპილიძეს მღვიმე საბერძნეთში

საბერძნეთში აღმოჩენილი თავის ქალის ფრაგმენტის გაღვენდებული ფრაგმენტის გადამიანის პირველად გამოჩენის შესახებ ახალ პიპოთუზას დაუდი სათავე. საუბარია ორი თავის ქალიდან ერთ-ერთის ფრაგმენტებზე, რომელიც საბერძნეთში, აპილიძეს მღვიმეში 1970-იან წლებში აღმოაჩინეს და მუზეუმში ინახებოდა. ერთი ქალა ნეანდერტალელს ეკუთვნის, ხოლო მეორე, რომელიც დაახლოებით 210 ათასი წლის წინ ცხოვრობდა, აშერად ავლენს თანამედროვე ადამიანის-თვის დამახასიათებელ ნიშნებს.

ლონდონის საბურგების მუზეუმის პროფესორი, კვლევის თანაავტორი კრის სტრინგერი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ამბობს, რომ საბერძნეთში 210 ათასი წლის წინ ადამიანის წინაპართა ჯგუფი ბინადრობდა. ისინი ნეანდერტალელებმა დაახლოებით 170 ათასი წლის წინ ჩაანაცვლეს.

„მოულოდნელობა იყო მტკიცებულების აღმოჩნა, რომ ამ სახეობამ საბერძნეთს მიაღწია. სამწუხაროა, რომ თავის დროზე ამ აღმოჩნას სათანადო ყურადღება არ დაეთმო“, — ამბობს ტიუბინგენის უნივერსიტეტიდან მიწვეული გერმანელი მკვლევარი კატერინა პარვაითი.

აშერაა, რომ საბერძნეთში ნაპოვნ ჰომი საპიენსებს ცოცხალი შთამომავლობა არ ჰყავთ. აფრიკიდან ის გამოსვლა, რომლის შემდეგაც გონიერი ადამიანი მთელ ხმელეთზე გაურცელდა, დაახლოებით 100 ათასი წლით გვიან მოხდა. მანამდე კი აფრიკიდან ევროპაში რამდენჯერმე გადასულმა ადამიანის



210  
ათასი  
წლის  
წინანდელი  
ადამიანის წინაპარის თავის  
ქალის ფრაგმენტი

წინაპრებმა აქ ფქვი ვერ მოიკიდეს. აღმოჩნდას გასაოცარს უწოდებს ნიუ-იორკის ლემანის კოლეჯის მეცნიერ-თანამშრომელი ერიკ დელსონი, რომელიც დარწმუნებულია, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ამ ინდივიდების კვალი შესაძლოა კიდევ აღმოჩნდეს.

სამეცნიერო ჯგუფმა კვლევის შედეგი უკრნალ Nature-ში გამოაქვეყნა. სპეციალისტთა ნაწილი დასკვნებს, მათ შორის, აპილიძეს მღვიმეში აღმოჩენილი თავის ქალის ფრაგმენტის ასაკს, ეჭვქვეშ აყენებს. უორენ შარპი ბერკლის კალიფორნიის უნივერსიტეტიდან, რომელიც გეოქრონოლოგიურ ცენტრში ნამარტების დათარიღების სპეციალისტია, ამბობს, რომ ასაკი 210 ათასი წელი მონაცემებით არცუ მკაფიოდ დასტურდება. პასუხად კატერინა პარვაითი ამბობს, რომ თავის ქალის უკანა შსარე ძალიან კარგი მასალაა Homo sapiens-ის, ანუ გონიერი ადამიანის გასარჩევად ნეანდერტალელისა და სხვა მონათესავ ჯგუფებისგან. აპილიძეს მღვიმეში აღმოჩენილი თავის ქალის ფრაგმენტი რომ ჰომინის საპიენს ეკუთვნის, რამდენიმე ხაზით დასტურდება. მკვლევარს ჯერ არ აქვს პასუხი კითხვაზე, შესაძლებელი იქნება თუ არა გენეტიკური მასალისა და პროტეინების აღდგენა.

თუკი კვლევის შედეგები საბოლოოდ დადასტურდა, ეს ნიშნავს, რომ საქმე გააქვს აფრიკის გარეთ აღმოჩენილ ყველაზე ძველ ჰომინისთან. ის, სულ მცირე, 16 ათასი წლით უფრო ძველია, ვიდრე ისრაელში აღმოჩენილი ჰომინის საპიენსის ზედა ყბის ძვალი. მომზადებული arnews-ის მიხედვით

# ჰაირი ჰაირიობლება:


„ჩემი სურვილია,  
დავანახვო  
თურქეთს  
სამართვალი”

საქართველოს პარლამენტის ეროვნული  
ბიბლიოთეკა, საქართველოს საბიბლიოთეკო  
ასოციაცია, ქართული ხელოვნების სახლი  
სტამბოლში გვითხველს ახალ გამოცემას  
სთავაზობს. წიგნი ეძღვნება გასული საუკუ-  
ნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, XXI  
საუკუნის პირველ წლებში თურქეთში მოლ-  
გაწე ქართველ მეცნიერს — ისტორიკოსა  
და ეთნოგრაფს, მთარგმნელს, პოეტსა და  
პუბლიცისტს, ჰაირი ჰაირიოლუს (ვახ-  
ტახ მალავმაძეს). წიგნის აუტორები არიან  
ისტორიის დოქტორი რომელა გუჯიჯიანი,  
სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლის  
ხელმძღვანელი გიორგი ირგმაძე და ეროვნული  
ბიბლიოთეკას დირექტორის მთადგილე, ეთ-  
ნოლოგის დოქტორი მირიან ხოსტაშვილი.

გამოცემა ორნაწილიანია. პირველ ნაწილში აღწერილია პაირი პაირობლუს (1936-2003) ცხოვრების გზა, მისი დამსახურება ქართული კულტურის წინაშე, აგრძოვე, ურთიერთობა აპმედ მელაშვილთან, ქართველ საზოგადოებასა და ქართულ-ევროპულ ემიგრაციასთან. მეორე ნაწილში კი წარმოდგენილია მისი რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი და თარგმანები როგორც თურქულიდან ქართულ, ასევე ქართულიდან თურქულ ენაზე.

ვახტანგ მალავიძეს თარგმანებითა და სამეცნიერო ჰუბლიკაციებით საფუძველი ჩაეყარა თურქეთში ღაზთა კულტურისა და წარმომავლობის ობიექტები მეცნიერებლი კვლევის ისტორიას. იგი გახლდათ აპმედ მელაზვილის ახლო მეობარი და თანამებრძოლი, თურქეთის რესპუბლიკაში გამომავალი კრებულის „საქართველოსა“ და ურნალ „ჩვენებურის“ ერთ-ერთი დამარსხებლი და ავტორი.

წიგნი შედგენილია პაირი პაირიოლლუს  
პირად არქივზე დაყრდნობით. არქივი, ოჯახის  
გადაწყვეტილებით, ეროვნულ ბიბლიოთეკას  
გადაეცა საქართველოს საბიბლიოთეკა ასო-  
ციაციის მიერ ორგანიზებული ექსპედიციის  
საშუალებით. წიგნის ელექტრონული გვრცია




ჰაირი ჰაირიოლლუ (კახტანგ მალავმაძე)

განთავსებულია ციფრულ ბიბლიოთეკაში  
(ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბი-  
ბლიოთეკა ივერიელი / Iverieli Digital Library.  
[www.dspace.nplg.gov.ge](http://www.dspace.nplg.gov.ge)).

გამოცემის პრეზენტაცია ახლახან გაი-  
მართა თურქეთში, სტამბოლის ქართველი  
ხელოვნების სახლში და მაღე გაიძართება  
თბილისშიც, ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

„ქეთი სურვილია, დაგნახვე თურქეთს საქართველო, მისი წარსული და დღვევანდელობა“, — წერდა განტანგ მალავძაქ და მოული ცხოვრება შეასრულა კიდევ ამ ტითლშემობილურ საჭმეს.

## „ისტორიანი“



# გენერალ მაყაშვილის თავდადება

მას შემდეგ, რაც რუსეთმა თავისი დიდმაყრობლური ფრთა კავკასიას გაღმოაფარა, ქართველი თავდაბაზნაურობა სამხედრო განათლებას რუსეთში იღებდა და გაღვენდებული იყო, სამხედრო სამსახური იქვე გაეგრძელებინა. მათი ნაწილი სამშობლოში არც დაბრუნებულა. თუმცა, გულანთუბულ მაულიშვილებს არ შევძლოთ გულგრილად ცცქირათ, როგორ იძროდა მათი ქვეყანა უთანასწორო ბრძოლაში დამოუკიდებლობისთვის და უცხო მხარის დიდებისთვის ბრძოლას სამშობლოსთვის თავგანწირვა ერჩიათ.

რუსეთის არმიის გენერალი აბელ (ბალო) მაყაშვილიც საქართველოს სამსახურში ჩადგა. იგი დაიბადა 1860 წლის 6 თებერვალი, სოფელ იყალთოში (ოვლავის მაზრაში), ოფიცირის ოჯახში. თავდაპირველად თბილისის კადეტთა კორპუსში შევიდა, ხოლო შემდეგ სწავლა რუსეთში განაგრძო. 1877 წელს დაამთავრა ელიზავეტებრადის სამხედრო პროგიმნაზია. ამავე წელს ჩადგა რუსეთის იმპერიის სამხედრო სამსახურში და ოფიცრად შესახურობდა ახალციხეში მდგარ თენის პოლკში. 1880 წელს ყაზანის ქვეით იუნკერთა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ზაქათალის 164-ე ქვეით პოლკში მეთაურობდა ასეულსა და ბატალიონს. თავი გამოიჩინა იაპონიასთან ომისას და პირველი მსოფლიო ომის დროს თავის პოლკთან ერთად დასავლეთის ფრონტზე იბრძოდა. შეტანელ „სანგრის გენერალი“ შეარქვეს, რადგან მუდამ წინა ხაზზე იბრძოდა. მაყაშვილის თავდადება არაერთი უმაღლესი ჯილდოთია აღნიშნული.

აბელ მაყაშვილი სამშობლოში დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე რამდენიმე თვით ადრე დაბრუნდა. 1918 წლის მაისის ბოლოს დამოუკიდებლობა აზერბაიჯანმა და სომხეთ-



აბელ მაყაშვილი

მაც გამოაცხადეს. საქართველოს პირველ ამოცანას სწორედ ამ ორ სახელმწიფოსთან ურთიერთობის მოგვარება წარმოადგენდა, რადგან მათ საქართველოს საზღვრისპირა ტერიტორიებისადმით თავიანთი პრეტეზიები ჰქონდათ. მაგალითად, სომხეთის მმართველი პარტია დაშნაკცუტუნი ე.წ. დიდი სომხეთის შემადგენლობაში არა მარტო ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებს, არამედ გორსა და თბილისაც მოიახრებდა. გასათვალისწინებელია, რომ ბათუმსა და სამხრეთ რეგიონებში თურქული სამხედრო ნაწილები იყო განლაგებული.

ასეთ ვითარებაში ჩავიდა აბელ მაყაშვილი ახალციხეში და შევხდა შალვა მაღლაკელიძეს, რომელსაც ქვეყნის დასაცავად ოცეული სოხოვა. მალე შალვა მაღლაკელიძე ქუთაისში გადაიყვანეს და მის ნაცვლად ახალციხის მაზრის გენერალ-გუბერნატორის პოსტი მაყაშვილმა დაიკავა. თურქეთის აგრძელის გაძლიერების შემდეგ, საქართველოს მთავრობამ ვითარების მოსაგვარებლად მესხეთ-ჯავახეთში აქტიური მოქმედებები დაიწყო. აქ თავმოყრილი იყო საქართველოს სამხედრო ნაწილები გენერალ ბალო მაყაშვილის ხელმძღვანელობით: „გენერალი ბალო მაყაშვილი

იყო იმ დღვიზიის მეთაური, რომელსაც მიმდინარე წლის დასაწყისიდან მესხეთისა და მისი დედაქალაქის, ახალციხის დაცვა დაუვალა... 39-40 დღის განმავლობაში უდიდესი განსაცდელი გადაიტანა ახალციხემ“, ვკითხულობთ 1918 წელს გამოცემულ გაზეთ „სახალხო საქმის“ ფრანგისის ნომერში.

1918 წლის მუდროსის ზავით, ნოემბერ-დეკემბერში თურქეთმა თავისი ჯარის ნაწილები ბათუმიდან გაიყვანა და მისი ადგილი ქართულმა არმამად დაიკავა. მიუხედავად ამისა, თურქეთი მაინც ცდილობდა გავლენის შენარჩუნებას. საამისოდ საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა სერვერ ბეგ ათაბაგი, რომელმაც ჯერ ყარსის, ხოლო შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობა ჩამოაყალიბა და ხალხს ოსმალეთის ერთგულების კენ მოუწოდა. 1918 წლის 3 დეკემბერს საქართველოსა და ოსმალეთს შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად, თურქეთის ჯარუბმა დატოვეს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები. ამ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთ „სახალხო საქმეში“ ვკითხულობთ: „წუხელის ოსმალებმა... სერვერ ბეგ ქობლანების მეთაურობით ცეცხლი წაუკიდეს თოფ-იარაღს და სახელმწიფო ნივთებს... დილით აჭარის კენ გაიპარა სერვერ ბეგი“. დაცლილი მაზრების დაკავება და იქ წესრიგის დამყარება კვლავ ბალო მაყაშვილს დაევალა. 4 დეკემბერს საქართველოს სამხედრო სამინისტროს სახელშე მიღებულ ტელეგრამაში ნათქვამია: „ლენერალ მაყაშვილის ნაწილი უკვე შევიდა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში. მოსახლეობა დიდი ადტაცებითა და სიხარულით ევებება“. გაზეთი „საქართველო“ იუწყება: „რესპუბლიკის ჯარები შევიღნენ ახალციხე-ახალქალაქში და შემოუერთეს საქართველოს მისი უძართუბულოდ მიხვეჭილი ნაწილები“.

ამგარი მიღწეულის შემდეგ საქართველოს მთავრობამ სამხედრო უწყებას უფლებები შეუკვეცა და მესხეთ-ჯავახეთის დაკავებიდან ორი დღის შემდეგ აქ საგანგებო რწმუნებულად ლერ რუხაძე დანიშნა, ხოლო ახალციხის მაზრის კომისრად — ჰაიდარ აბაშიძე. ამ ყველაფერს კარგი არაფერი მოჰყოლია, რადგან ადგილობრივი მოსახლეობა მეტად უარყოფითად განწყო ახალი მოხელეების მიმართ. ამის შესახებ გაზეთ „სახალხო საქმეში“ ვკითხულობთ „საქართველოს ჯარების“



ბეკ მაყაშვილი შეიღებამ ერთად. მარცხნიდან: გაბრიელი (1888-1962), გახტანგი (1897-1975) და ნიკოლოზი (1890-1920). ფოტო აღებულია იური ჩიქოვანის წიგნიდან: ქაზა მაკაშვილი. ქაზა ჩიჭა (Генеалогическое исследование). Тбилиси. 2006



(ზემოთ) ახალციხის ერთ-ერთ სოფელში 1924 წელს აგებული სახლი. (ქვემოთ) სოფლის წყარო





შავდა მაღლაქელიძე (1918წ.)

სერგერ ბეჭ ათაბაგი (ათაბეკუ-ქაბლიანსკი)



შემოსვლის შემდეგ ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში დაარსდა საგენერალგუბერნატორო, მაგრამ არ გასულა ორი კვირა და ეს თანამდებობა გაუქმდა... ამის შემდეგ გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის ძალაუფლება ახალციხის მაზრაში გადავიდა მაზრის კომისიის პაილარ აბაშიძის ხელში". მოსახლეობას დიდი იმედი ჰქონდა, რომ ეს უკანასკნელი მოაგვარებდა ბევრ პრობლემას, თუმცა „ასეთი რამ არ მოხდა იმიტომ, რომ პაილარ აბაშიძემ თავისი კაბინეტის მეტი არა იცის-რა, რომლის კარხეც უწერია: „მთხოვნელებს ვიღებ 12 საათიდან 2 საათმდე“-ო... დანარჩენ დროს კი პარტიულ მუშაობაში და სოციალ-დემოკრატების ბიუროში ატარებს“, — კვითხულობთ გაზეთში.

ამასობაში სომხეთი მომენტს ელოდა, რათა შეტევა წამოეწყო საქართველოს წინააღმდეგ და ეს დღეც დადგა. 1918 წლის 7 დეკემბერს სომხეთის შეიარაღებულმა რაზმებმა დაიკავეს სანანისა და ალავერდის ტერიტორიები; 8 დეკემბერს მოშალეს სარკინიგზო ხაზი. ამის შემდეგ სომხეთის მთავრობამ საქართველოს მთავრობას წაუკენა ულტიმატუმი, დატოვებინათ ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს დაეკალა სომხეთის მიერ დაკავებული ტერიტორიების გათავისუფლება. გენერალ აბელ მაყაშვილისა და მისი გვარიდის, აგრეთვე ქართული არმიის თავდადებაშ შედეგი გამოიღო. ჯავახეთში სომხეთის ჯარი დამარცხდა. ამ წარმატების შემდეგ მან მიიღო ბრძანება, დაკავებული ტერიტორია დაცვა და მტერს მეტად აღარ გადავნებოდა.

ამ დროს კონფლიქტში ჩაერია ინგლისის მხედრობის ამიერკავკასიის სარდლობა, რომელმაც მოითხოვა, საქართველოს ჯარებს დატოვებინათ ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრები, რომლებსაც საზავო კონფერენციამდე თავად დაკავებდა, თუმცა საქართველოს მთავრობის დაუინიტელი მოთხოვნით, ახალქალაქის მაზრაში შენარჩუნდა ქართული ადმინისტრაცია, ხოლო ბორჩალო ნეოტრალურ ზონად გამოცხადდა.

### აზერბაიჯანის სამხედრო სამსახური გადასვლა

1919 წლის იანვრის ბოლოს სერგერ-ბეგ-მა და მისმა მოსახლეობისგან შეკრებილმა

რაზმებზე დაიწყეს თავდასხმა ქართველ მოსახლეობაზე, დაიკავეს რამდენიმე სოფელი და ხალხის ნაწილის აჯანყებაც მოახერხეს. მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ გენერალი მაყაშვილი იძულებული გახდა, თავისი ძალებით უკან დაეჭია, რის შემდეგაც იგი გადააყენეს და გენერალ გიორგი მაზნიაშვილით ჩაანაცვლეს. როგორც გაზეთ „სახალხო საქმეშია“ ნათქვამი: „ლეო რუხაძემ და მისმა დამქაშებმა დიდი ხანია ნიშანში ამოიღეს იგი (აბელ მაყაშვილი. — ავტ.) და გადააყენეს კიდეც სამსახურიდან, მაგრამ ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ჯარის უკან დახვაში დიდი დანაშაული მიუძღვით სახლო-პანზო სოციალ-დემოკრატებს, ვიდრე გენერალ მაყაშვილს“.

მაზნიაშვილის მონძომების მიუხედავად, მან რაიმეს შეცვლა ვერ მოასწორო: მთავრობამ მალე გაიწვია და მის ადგილას გენერალი გიორგი კვინიტაძე დანიშნა, რომელმაც ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების კვლავ საქართველოსთვის დაბრუნება შეძლო.

გენერალი მაყაშვილი თბილისში დაბრუნდა და შალვა მაღლაკელიძემ, რომელიც იმხანად თბილისის გენერალ-გუბერნატორი იყო, ის თბილისის კომენდანტად დანიშნა. მაყაშვილის დიდი მონძომებისა და შრომის მიუხედავად, ფაქტია, რომ სამთავრობო წრეებმა აიძულეს მაღლაკელიძე და გენერალს დაკავებული პოსტი დაატოვებინეს, ფართო რეორგანიზაციის შემდგა კი მისთვის მხოლოდ ათასეულის უფროსის ადგილი გაიმეტეს. მაყაშვილმა ეს შეურაცხმყოფელ დაქვეითებად ჩათვალა და აზერბაიჯანის ჯარში შესვლა არჩია, სადაც პირველი ქვეითი დღითის უფროსის მოადგილედ დაინიშნა. 1920 წლის მარტში მაყაშვილი დააწინაურეს და განჯის გარნიზონის ხელმძღვანელობა ჩააბარეს.

### ამინდისა და ამინდის აღმართვა

1920 წლის აპრილის მიწურულს ბოლშევიკურმა რუსეთმა კავკასიის გასაბჭოების ოპერაცია დაიწყო. მე-11 წითელმა არმიამ დაიკავა ბაქო და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება გამოიცხადა. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ბოლშევიკებთან ბრძოლაში დახმარება სთხოვა საქართველოს, თუმცა წითელი არმიის სწრაფმა წინსვლამ ყველანაირი იმედი გააქარწყლა. მიმდინარე სასაზღვრო ბრძო-





პაიდარ  
აპაშაძე



გიორგი  
მაზნიაშვილი

ცენტრში — გენერალი  
გიორგი კვინიტაძე





ნავთობმოპოვების რაიონი ბაქოს შემოგარენში (1918 წ.)



სასამართლოს  
შენობა განჯაში

გენერალ მაყაშვილს ამის შემდეგ საქართველოში დაბრუნება სურდა, თუმცა შეკმილი ვითარებიდან გამომდინარე ვერ მოახერხა. ბოლშევიკებმა რეპარესიები დაიწყეს. განკაში სახალხოდ დახურიტეს აჯანყების მონაწილეთა დიდი ნაწილი. ციხეში სკომდნენ აზერბაიჯანის არმიის ოფიცრებსა და მაღალინობებს. ამას ვერც აბეჭდ მაყაშვილი გადაურჩა. გაზეთ „საქართველოს რეპარტიონის“ 1920 წლის ფინისის ნომერში აღნიშნულია: „ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა მდგომარეობა აზერბაიჯანში ძლიერ მიმიქა. მათი რიცხვი უდრის 200 კაცს. ქართველ ოფიცრებს წინადაღება მისცეს, წასულიყვანენ აზერბაიჯანის ფრონტზე, რის შემდეგ დაჭრილ იქნა 40 კაცამდე. სხვათა შორის, დაიჭირეს აზერბაიჯანის ჯარში მომსახურენა გენერლება ჩეიიძე და მაყაშვილი“. ეს უკანასკენელი შეესწრო ქართველი ჯარისკაცების დაპატიმრებას და დამცირებას. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის დროს, როდესაც კომუნისტებმა საქართველოს მისიის წარმომადგენელ დებუატებს ქუჩის გვა დაწყებინეს, მაყაშვილს გულმა ვერ მოუთმინა და მოძალადებს შეკასუხა: „ნება არა გაქვთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს ქუჩა აგვევნოთ! მაგ საქმეს მე არ შეასრულებ როგორც არაის ყავა!“.

დასჯა მიესაჯა 12 ივნისს და 17 ივნისის დამეს იგი სისრულეში მოიყვანეს. „კომუნისტების ეს ბარბაროსული საქციელი არ გვიგვირს, ეს მათი თანდაყოლილი თვისებაა“, წერდა გაზეთი „სახალხო საქმე“.

თავდაპირველი ცნობებით, გენერალი აბელ მაყაშვილი და ხვრიტეს, ისევე როგორც სხვა სიკვდილმისჯილები, თუმცა შემდეგ გაირკვა რომ მას ხელ-ფეხი შეუკრუს და კასპიის ზღვში ჩახრჩეს. ეს აღბათ საბჭოთა რუსეთის მხრიდან სიმბოლური „ჟესტი“ იყო იმ სიტყვების დასამტკიცებლად, რომელსაც ხშირად იმეორებდა: „კასპიის ზღვა ეკუთვნის რუსების“.

ქართულ პრესაში ამ ამბის შესახებ დიდი ხნის განმავლობაში იბეჭდებოდა სტატიები. აღსანიშნავია გაზეთი „ერთობა“, სადაც მწვავედ არის გაკრიტიკებული ყოფილი სამხედრო მინისტრის, გრიგოლ გიორგაძის სიტყვა გაზეთ „ახალი სხივიდან“, სადაც ის პილატე პორტორელის როლში აყენებს საკუთარ თავსა და სხვა მაღალხინობნებს, რომლებიც უშუალო მონაწილენი იყვნენ რეორგანიზაციისა, რის შემდეგაც აბელ მაყაშვილი იძელებული გახდა აზერბაიჯანში წასულიყო; გიორგაძის ეს პოზიცია სრულიად მიუღებელი და გულგრილია. საგარეო საქმეთა სამინისტროს მომხდარიან და სხვა გადაწყვეტილებებთან დაკავშირებითაც პასუხს სთხოვდნენ გაზეთ „სახალხო საქმეშიც“.

გაზეთ „ერთობის“ 1920 წლის 25 ივლისის ნომერში ვწვდებით ვრცელ ტექსტს, სადაც საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის მდივანი ქრისტინე შარაშიძე დიდი სითბოთი გაღმოსცემს აბელ მაყაშვილის ბუნებასა და მის დამსახურებებს საქართველოს წინაშე: „...ჯერ კიდევ ძველი რუსეთის ჯარის დაშლამდის მოიხვეჭა მან „სანგრის გენერლის“ (ოკონიშ გენერალ) სახელი თავისი სიმამაცით და ჯარისკაცებთან დაახლოებით... მისი პირადი სიმამაცის წყალობით შევინარჩუნეთ ჩვენ მესხეთის ნაწილი, როცა ბათუმი დავკარგეთ... გენერალმა მაყაშვილმა პირნათლად მოიხადა ვალი საქართველოს წინაშე — დაუზოგავდ ამსახურა მას თვითი გამოცდილება და მამაცური ხმალი. თუ ბრძოლის ველზე სიკვდილით არა, საგმირო საქმეებით ხომ მაინც მიანიჭა სიცოცხლე და უკვდავება მშობელ ქვეყანას“.

## გვარეთი ფილიონი



გრიგოლ  
გომრგაძე  
— 1918-1919  
წლებში  
საქართველოს  
დემოკრატიული  
რესპუბლიკის  
სამხედრო  
მინისტრი



ქრისტინე  
შარაშიძე —  
ისტორიკოსი,  
დამფუძნებელი  
კუნძულის წევრი



აბელ მაყაშვილი. ფოტო აღვებულია იური ჩიქოვანის  
წიგნიდან კнязია მაკაშვილი. კнязია ჩიჩუა  
(Генеалогическое исследование). თბილის. 2006

# „დედათა საპითხი“ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

1918 წლის 26 მაისს, კვირას,  
ნაშაუაღლევს, 17:10 საათზე, თბილისში,  
გოლოვინის (დღეს რუსთაველის)  
პროსპექტზე მდებარე კავკასიის  
მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში  
საქართველოს ეროვნული საბჭოს  
მიერ ხელი მოწერა საქართველოს  
დემოკრატიული რესპუბლიკის  
დამოუკიდებლობის აქტს.

ბარბარუ ჯორჯაძე



საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა ერთგვარი ასპარეზი იყო ქართველი ქალებისთვისაც. თუმცა, ეს ასპარეზი ერთ დღეში არ შექმნილა. მას მეტად საინტერესო წინაისტორია აქვს, რომელსაც სათავე იმ პერიოდში დაედო, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე ქალთა პოლიტიკურ და სოციალურ უფლებებზე დაიწყო საუბარი.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში ჩაისახა მოძრაობა პატრიარქალური საზოგადოებიდან ქალების ქმანისპაციისთვის. 1879 წელს დაარსებული „ქართველთა შორის წერა-კოთხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ქალთა უფლებებისთვის ბრძოლის სათავეებთან იდგა. სწორედ ამ საზოგადოების წევრთა მეცადინეობით გახდა აქტუალური „დედათა საკითხი“. ამ თემით დაინტერესება უნდა განვიხილოთ, როგორც ქართველი საზოგადოების მოდერნიზაციის მცდელობა. სამოციანელები თავიანთ პუბლიცისტიკაში ვვროკაში მიძღინარე ქმანისპაციაზე საუბრობდნენ და ქართულ რეალობასთან პარალელებს ავლებდნენ. იმავდროულად, ცდილობდნენ გენდერული პრობლემების პოპულარიზაციას საზოგადოებაში, რომელიც მაშინ ამგვარი საკითხებისთვის საკმაოდ დახურული იყო.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ქალთა უფლებებზე საუბრის დაწყებას ბიძგი ბრიტანელი ეკონომისტის, ფილოსოფოსისა

და სახელმწიფო მოღვაწის, ჯონ სტიუარტ მილის ბეტიციამ მისცა 1866 წელს, როცა მან ბრიტანეთის პარლამენტისგან ქალებისთვის საარჩევნო ხმის უფლების მინიჭება მოითხოვა. ევროპისგან განსხვავებით, ჩვენთან ამ საკითხებზე საუბარი მამაკაცებმა დაიწყეს. „თურგდალეულა“ მოსაზრებებს საფუძვლად ედო სწორედ გააზრებული საზოგადოებრივი ინტერესი, და არა ქალთა პრობლემების სიღრმისეული ცოდნა. ისინი მოუწოდებდნენ ქალებს, საზოგადოებრივ ასპარეზზე თავად წარმოებინათ თავიანთი რეალური პრობლემები. ამაზე აქტიურად წერდნენ იმდროინდელ პრესაში. XX საუკუნის დასაწყისში შედეგიც გამოჩნდა, ამ პერიოდში ქალის სამოქალაქო უფლებები აქტუალური გახდა. ითარგმნა ავგუსტ ბებელის „ქალი და სოციალიზმი“. ჩამოყალიბდა ქალთა არაერთი ორგანიზაცია („ქართველ ქალთა საქველმოქმედო ორგანიზაცია“, „თბილისელ ქალთა წრე“, „ქართველ ქალთა საზოგადოება“, „ქალთა თანასწორობის საქართველოს კავშირი“, „მანდილი“, რომლებმაც დაიწყეს ზრუგვა ქალთა უფლებებზე, განათლებასა და სოციალური პრობლემების გადაჭრაზე).

XIX საუკუნის მიწურულს ქალებმა პირველად დაიწყეს საჯარო გამოსვლები. ისინი საუბრობდნენ თავიანთ პრობლემებზე და ქალთა ემანისპაციას ესწრაფოდნენ. ერთ-ერ-

თი პირველი ამ საქმეში ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე იყო, რომელმაც ხმა აიძალლა პატრიარქალური საზოგადოების წინაშე. იყი აქტიურად იბეჭდებოდა ამ პერიოდის პრესაში („ცისკარი“, „ვერა“, „ჯეჯილი“, „გალი“ და „დროება“). 90-იან წლებში კი „ქალთა საკითხის“ გარშემო გამარიულ პოლემიკას მან სპეციალური წერილი მიუძღვნა („ორიოდე სიტყვა ყმაწვილ კაცების საყურადღებო“), რომელიც სამართლიანად მიიჩნევა ქართული ფეხინიზმის მანიფესტად. წერილში ბარბარე საუბრობდა ქალების შეზღუდული უფლებების შესახებ განათლებასა თუ პოლიტიკაში. „პირველიდანვე დაწებული ყოველი კაცი დედაკაცების გაკილვაში ყოფილა და არის; ყოველივე ბრალეულობა ქალს მიაწერს და დიდად ცდილობდნენ ეს თავის ამხანაგი ყოვლის გზით დაეცათ და დაემდაბლებინათ. სიყრმიდანვე ამას ჩასძახონენ: შენ, რაღაც შემოქმედს ქალად დაუბადები ხარ, შენი წესი ეს უნდა იყოს: ხმაგამენილი ჩუმად იყო, არავის შეპხედო, არსად წახვიდე, ყურები დაიხშო, თვალები დახუჭე და ოჯექ, სწავლა და სხვა ენებით განათლება რა შენა საქმეა“, — წერდა ბარბარე და დასხენდა, — „საბრალო ქალებს იმ დაჩაგვრით ვერ დაუთორგუნეს ნიჭი და გონება: თუ განათლება არ მისცეს, თავიანთ დედაქანაზე მაინც კარგად და საძირკვლიანად შეეძლოთ ნათელი მსჯელობა და საქმიანობა. ვინ იყო მწიგონბრობის პატრიონი და წერა-კითხვის გამვრცელებელი ჩვენში, თუ არა ქალი, როდესაც კაცები მამულის დასაცელად თოფ-იარაღზე იყვნენ დაყუდებულნი? თუ აქამდე მოაღწია მდიდარმა ქართულმა ენამ, ქალის მეოხებით მოაღწია“.

1917 წელს ქართველი ქალის ხმა ქუთაისიდან გაისმა — „ინტერპარტიულმა ქალთალიგამ“ დაიწყო ყოველგვირულ საპოლოტიკო და სალიტერატურო გაზეთ „ხმა ქართველი ქალისას“ გამოცემა, რომლის რედაქტორი კატო მიქელაძე იყო. „თუ რომ საუბრის დროს საჭიროა ერთისათვის, ძეორე ადამიანის ცნობა, მით უფრო საჭიროა საზოგადოებისათვის გაგება ყოველივე ახლათ გამოსულ ბეჭდვითი ორგანოს მიმართულებისა. ამისათვის ვაცხალებთ საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ჩვენი გაზეთი სდგას ყოველ პარტიულ მიმართულების გარეშე. თვალყურს ვაღვნებთ თითოეული არსებულ პარტიების პრინციპებს. ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ გარკვეუ-



გაზეთის „ხმა ქართველი ქალისა“ პირველი და მეორე ნომერები (1917 წლის 5 და 17 აპრილი)





**მწერალი ქალები.**  
**სხედან:** ანა  
**სახუტაშვილი**  
**(ცქატი),**  
**ანასტასია**  
**ორმანიშვილი-**  
**წერეთლისა,**  
**გატერინე**  
**გაბაშვილი,**  
**გატერინე (გეჭ)**  
**შესხა; ღვანა:**  
**ან. ღვანასაშვილი,**  
**პარიჯნი (პარიამ**  
**აღვეტისებ-**  
**ტყემაღაძე), დარია**  
**ახვლედახინ, საფო**  
**მგელაძე ნინო**  
**ტყემელაშვილი,**  
**ლიდა მეგრულიძე**

ლი შეხედულება არ გვქონდეს ცხოვრებაზე და მისგან წამოჟენებულს საჭირ-ბოროტო კითხვებს და საზოგადო მოვლენას ანგარიშს არ ვუწევთ. ...ჩვენ გვსურს შევაერთოთ დღეს დაქსაქსული ქალთა ძალა და დაწერილ-მანებულ პიროვნებას მოვუპოვოთ საზოგა-დოებრივი ცხოვრება. ჩვენ ვიბრძით ჩვენი ადამიანური პიროვნების აღდგენისთვის და ჩვენი საშმობლოს თავისუფლებისთვის. დე-დაკაცის უფლებრივათ მონური ყოფა და ჩვენი საშმობლო ქვეყნის ადგილობრივი საჭიროებანი იმდენათ მნიშვნელოვანია და იმდენათ მწველი ყოველი გონიერი ქართველი ქალი-სათვის, რომ დარწმუნებული ვართ, სურვილი ერთისა და მეორის აღდგენისა განამტკიცებს ჩვენს ერთობას“. — წერია გაზეთის პირველ ნომერში, რომელიც 5 აპრილს გამოვიდა. ამავე ნომრის ერთ-ერთ სტატიაში სათაურით „რას მოვითხოვთ ჩვენ“, გაზეთის მესვეურებს მკაფიოდ აქვთ ჩამოყალიბებული თავიანთი მოთხოვნები: „ქალი არის ისეთივე გონიერი, როგორიც მამაკაცი და უნდა სარგებლობდეს ადამიანის სრული უფლებით. ...ქალს უნდა მიენიჭოს იგივე ხმა არჩევნებში და იყოს არჩეული, როგორც საკანონმდებლო კრებაზე, ისე პროვინციალურ და კომუნალურ მმართველობაში, როგორც ყოველი მოქალაქე მამაკაცი. ...გაუქმებულ იქმნას დღვევანდელი სამეცნიერო პრივატულობისა და თოთოეულს შეიღის ქალია ის თუ ვაჟი, ედგას თანასწორი წილი დედ-მამის ქონებაზე. ...ერთი და იგივე ხელფასი თანასწორი შრომისათვის“.

გაზეთი ფლებდა პარალელებს ვეროპასთან, არგუმენტებითა და მაგალითებით ესაუბრებო-


და მკითხველს და ემანისპაციის აუცილებლობაში არწმუნებდა. ეს სტატიები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ ეს ქალები ღიად დაუკირისპირდნენ პატრიარქალურ სამყაროს. წერდნენ არა როგორც დედები, ცოლები, დები ან შვილები, არამედ როგორც მოქალაქები, რომლებიც არა მამაკაცების, არამედ ადამიანების უფლებებს ითხოვნ. შეახსენებდნენ მამაკაცებს: „მომეტებული წილი იცოდეთ, რომ თქვენი დები და შვილებია, რომელნიც სიღარიბითა და უუფლებო ცხოვრების გამო უწეო მამაკაცთა ტლანები უინის მსხვერპლი რომ ხდებანა. და იღუპებან“.

1918 წლის 5 თებერვალს გაზეთის კიდევ ერთი ნომერი გამოიდა, სადაც საინტერისო სტატიაა დაბეჭდილი — „საუბარი ქალიშვილებთან“. „დებო, თქვენს წინაშე საუბრობს მოპირდაპირუ სქესის წარმომადგენელი, რომელმაც განიცადა თვის არა ადამიანური მოქმედება ქალებისადმი და რომელმაც ჩაიხედა თვის სქესის, მამაკაცების ბოროტ გულდვი-ძლში, ამითითხა ის გაიძერული გრძელები და შიამსო მითაც, რაც მასაც განუცდა“. სტატიის უცნობმა უტორმა კითხვა დასვა: „რა არის მამაკაცი?“ და თავადევ უპასუხა: „მე კი, როგორც მათი სქესის წევრი, თამამად შემიღლია ვსოება, რომ მრავალი მამაკაცი ადამიანი არაა, არამედ არაადამიანია, ვინაიდან ადამიანი მონობის წინააღმდეგი არის და უკანასკნელიც მაშინ იქნება ადამიანი, თუ მან შეიგნო თვის დანაშაული მონებისადმი (ქალებისადმი)“. უტორი გამოთქმაში მწუხარებას, რომ „ქალიშვილი ქალიშვილს მხარს არ უჟერს“.

ასევე ამ ნომრის სტატიაში „ქალები და კოოპერაცია“ შალგა ჩაჩიბაია წერდა: „ამ დიდმა საერთაშორისო ომმა ბევრი ნაკლი და უწესრიგობა გამოააშკარავა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ ნაკლით შორის პირველი და თვალსაჩინო ადგილი უკავია ჩვენი კოოპერატივების ცალმხრივობას და მის მიერ გამოწვეულ უხერხულობას. როგორც მოგეხსენებათ, დღემდე ჩვენს კოოპერატიულ დაწესებულებაში მსახურობენ მხოლოდ მამაკაცები, ქალები კი ძალიან ნაკლებათ იღებენ მონაწილეობას ამ დაწესებულებათა მოქმედებაში, თითქოს შევრიგებოდეთ იმ აზრს, რომ კოოპერაცია მათი საქმე არ იყოს“. სტატიის ბოლოს ავტორი დასძენს, რომ მამაკაცებმა აუცილებლად უნდა იზრუნონ ქალების საზოგადო საქმით დაინტერესებაზე.

თურგდალეულთა პუბლიცისტური მექანიზრების არაპირდაბირი გავლენა შეიძლება დავინახოთ აგრეთვე რუსეთის რევოლუციის შემდგომ ქალთათვის ფართოდ დეკლარირებულ საარჩევნო უფლებებში. საქართველოს ტერიტორიაზე ქალთა საარჩევნო უფლება პირველად ამოქმედდა რუსეთის დროებითი მთავრობის 1917 წლის 15 აპრილის განკარგულებით ამ პირობით გაიმართა საქალაქო ზმოსანთა არჩევნები. 1917 წლის 11 სექტემბერს კი ძალაში შევიდა რუსეთის დამფუძნებელი კრების დებულება, რომლის მიხედვითაც, 20 წლის ზემოთ ყველა მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცა.

1918 წელს, როცა საქართველოს ეროვნული საბჭო არჩევნებისთვის ეზადებოდა, სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთ შეკრუბაზე ნინო ტექშელაშვილმა განაცხადა: „მე მჭერ-მეტყველი არა ვარ, საზოგადოებაში ლაპარაკს გაუურბივარ წარსულმა, ქალის ფქშეკრულმა ცხოვრებამ ქალი დაამუნჯა, მაგრამ თქვენ ახლა ისეთი უსამართლობის წინაშე დაგგაყენეთ, რომ ქვაც ენას ამოიდგამს. ქალი ოჯახს უვლის, შვილებს უზრდის ქვეყანას, საზოგადოებას ემსახურება, რითაც და როგორც შეუძლია, ცოტა გვევანდნენ რევოლუციონერი ქალები? თქვენ 20 კაცში ერთი ქალიც ვერ ამოგირჩევიათ“. გამოსვლის ბოლოს, ნინომ პარტიას 5 კანდიდატი ქალი შესთავაზა, მაგრამ ამაოდ. გაწბილებულმა ორატორმა და მისმა თანამოაზრებმა (კატო მიქელაძე, ანა ლეინიაშვილი, ანა ხახუტაშვილი, დეს-



ამონაწერი  
ეროვნულ  
სადომის  
ოქმიდან

ფარი-ხანუმ  
სოფიაშვილი  
შემორჩენილი  
სურათი



ბინადორა  
ორჯონიშვილ-  
ტოროშვილიძე



ანა  
სოლოდაშვილი



საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი. მარცხნიდან: თუმჯდომარის მოადგილები ექვთიმე თაყაიშვილი, ალექსანდრე ლომაძეთივე, სეიმის მდიხანი, დამფუძნებელი კრების მდგრადი ქიანსტისე შარაშიძე. მარჯვნივ მოურობის ლოუში სხედან მოურობის თუმჯდომარე და მინისტრები

პინე გელოვანი, ბაბილინა ხოსტაშვილი) პროტესტის ნიშნად დემონსტრაციულად დატოვეს კრება.

ბარბარე ჯორჯაძე თავის წერილს ამთავრებს ფრაზით: „ახლა მაინც ჩვენმა კაცებმა დაანებონ თავი ზვაობას და მეშურნეობას, მისცნ თავიანთ დებსაც თანასწორი სწავლა და მიმართულება, რომ შეეძლოთ კიდეც კვალში ჩადგომა და ანგარიშის მოთხოვნა თანამედროვე ქალებისა, ...ახალი თაობის ქალებიც ღვაწლსა და შრომას არ შეუძრევებიან, თუკი საქმე უშველიან რასმე“.<sup>10</sup> თითქმის 30 წელიწადი, მსოფლიო ომი და რევოლუცია — სწორედ ეს გზა გაიარა საქართველომ ამ წერილის გამოქვენებიდან პირველი ქართველი ქალი პარლამენტარის გამოჩენამდე. სოციალისტ რევოლუციონერი მარიამ ჩხეიძე 1918 წელს რამდენიმე თვით იყო ეროვნული საბჭოს წევრი. ითვლებოდა ძალიან კარგი იურისტად და შედიოდა საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობაში. მონაწილეობდა 1919 წლის არჩევნებიც. ასევე მან გამოაქვეყნა 1921 წელს კონსტიტუციის ალტერნატიული პროექტი. მარიამი 1937 წელს დახვრიტეს.

1918 წელს ქართველი პრესა სიამაყით წერდა: „აღსანიშნავია ერთი ფრიად სამხიარულო

მოვლენა: ხმოსანია რიცხვში შედის ყარაიაზის ოლქიდან წამოყენებული მუსულმანელი ქალი, პარი-ხანუმ სოფიევი. პირველი საერობო ყრილობა დაანიშნა 2 დეკემბერს“... „ყარაიაზის მატრიარქმა“ მოულოდნელად, წამყანი პარტიების — სოციალ-დემოკრატებისა და ფედერალისტების, „ჰუმმეთის“, ეროვნულ დემოკრატებისა და ესერების კანდიდატების ჭიდილში პროპარციულ სიებს აჯობა და უპარტიოდ თბილისის სამაზრო ერობის მქუთი ხმოსანი განდა ყარაიაზის ოლქიდან.

34 წლის მუსლიმანმა ქალმა მუსლიმანი მოქალაქეების მხარდაჭერით პოლიტიკური თანამდებობა დემოკრატიული გზით მოიპოვა. ამ თანამდებობის მოპოვებამდე სოფიევა თავად სოფელშიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ადგილობრივების თქმით, ფარი-ხანუმი სისტემატურად არღვევდა მუსლიმანი ქალის შესაძლებლობების შესახებ არსებულ სტერეოტიპებს. ის თავიდანვე გამხდარა ოჯახის ლიდერი, იმ ფონზე, როცა ხუთი მმა ჰყავდა. შთამომავლების გადმოცემით, ქრეოდა ჩიბუს, რაც დღესაც სასტიკად აკრძალულია მუსლიმანი ქალისთვის. სცოდნია კურანის კითხვა და არაერთ რიტუალზე ყოფილა მიწვეული წმინდა წიგნის წასაკითხავად. ასევე

ფარი-ხანუმ სოფიევას იწვევდნენ შუამავლად სხვადასხვა დავაში. დროთა განმავლობაში მისი სიტყვა იძღვნად მნიშვნელოვანი გახდა, რომ სოფლის უხუცესი — ადსაპკალებიც კი აღიარებდნენ და ემორჩილებოდნენ.

1919 წლის თებერვალში საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესუბლიკაში დამფუძნებელი კრების არჩევნები გაიმართა. არჩევნებში კანკს იყრიდა 26 ქალი, სადაც ყველაზე მეტი — ცხრა ქალი კანდიდატი საარჩევნო სიაში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას ჰყავდა წარმოდგენილი, ყველაზე ნაკლები — ერთი ქალი კანდიდატი რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიას. საბოლოოდ, საკანონმდებლო ორგანოს წევრი ხუთი სოციალ-დემოკრატი ქალი გახდა. თითოეულ მათგანს საკმაოდ როგორი გზა ჰქონდა განვლილი. ვიდრე ქვეყნის მართვის სათავეებთან აღმოჩნდებოდნენ, ისინი ხელმძღვანელობდნენ ადგილობრივ ქალთა ორგანიზაციებს, პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში და ეწეოდნენ არსებული წეს-წითობილების საწინააღმდეგო აგიტაცია-პროპაგანდას. საარჩევნო სიაში კი იმიტომ მოხვდნენ, რომ მათი განვლილი გზა და ბიოგრაფია პარტიას ხმებს მოუტანდა. ეს არ ყოფილა გენდერული ბალანსითვის გადადგმული ნაბიჯი, ანუ ეს ქალები საკანონმდებლო ორგანოს წევრი მხოლოდ მათი სქესის გამო არ გამსხდარან. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ დამფუძნებელი კრების მუშაობაში, იყვნენ სხვადასხვა კომისიის წევრი:

მინადორა ტოროშელიძე — კანდიდატთა სიის მე-60 ნომერი, შრომის კომისიის მდივანი და სახალხო ჯანმრთელობის კომისიის თავმჯდომარე.

ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძე — კანდიდატთა სიის 71-ე ნომერი, საბიბლიოოთეუკო, სარედაქციო და სახალხო განათლების კომისიების წევრი და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის უძცროსი მდივანი.

ანა (ოლა) სოლოდაშვილი — კანდიდატთა სიის 108-ე ნომერი, სარედაქციო და ცენტრალური კომისიების წევრი. საბიბლიოოთეუკო და საპენსიო კომისიებისა და სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მდივანი.

ელისაბედ ბოლქვაძე — პარტიული სიის 78-ე ნომერი, შრომისა და მომარაგების კომისიების წევრი.

ელეონორა მახვილაძე — პარტიული სიის 25-ე ნომერი, შრომის, საპენსიო და სახალხო ჯანმრთელობის კომისიების წევრი.

ადსანიშნავია, რომ 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციების შემდეგ ხუთივე მათგანი ქვეყნაში დარჩა. ისინი ჩამდებლი იყვნენ წინააღმდეგობის ორგანიზაციებში და არალეგალურად მუშაობდნენ პოლიტიკური პატიმრებისა და მათი ოჯახების დასახმარებლად.

როგორც მინადორა ტოროშელიძე წერდა: „მუშაობა დუღდა!“ და მათაც კოლეგა მამაკაცებთან ერთად შექმნდათ წვლილი დემოკრატიული რესპუბლიკის შენებაში.

სხვა მიზეზებთან ერთად, ამ დვაწლის დამსახურებითაც, ქალებმა 1921 წლის 21 თებერვალის კონსტიტუციაში რიგი მუხლები მიიღეს. 39-ე მუხლში ჩაიწერა: „ოროვე სქესის მოქალაქე თანასწორია როგორც პოლიტიკურ, ისე სამოქალაქო, ეკონომიკურ



ელეონორა  
მახვილაძე-  
ტერ-ფარსეგვა



მარჯნივ —  
ელისაბედ  
ბოლქვაძე-  
ქარეველი  
პოლიტიკური  
პატიმრები  
გადასახლებაში

ელისაბედ  
ბაგრატიონ-  
ორბელიანი



მეღვა  
დამბაშიძე  
ქალიშვილთან  
ერთად



ნატალია  
აზიანი


და საოჯახო უფლებებით“. მე-40 მუხლმა მისცა ქალებს ქორწინებაში თანაბარი უფლება. 126-ე მუხლმა კი განსაზღვრა ქალთა შრომითი პირობები: „აკრძალულია ქალის მუშაობა დედობისათვის მავნე წარმოებაში; მუშა ქალი შემობარობის დროს არანაკლებ 2 თვესა თავისუფალია მუშაობისაგან, ჯამაგირის მოუსახობლად; დამქირავებელს ევალება მუქუმწოვარ ბავშვთა მოსავლელად შესაფერ გარემოებაში ამყოფოს მუშა ქალები“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1918 წლის 3 სექტემბრის დებულებით, გარანტირებული იყო ორივე სქესის ხელმისაწვდომობა უსაღლეს განათლებაზე: „ტფილისის უნივერსიტეტის სტუდენტებად შეიძლება ორთავე სქესის პირი იყვნენ, რომელთაც საშუალო სკოლა უნდა ჰქონდეთ გათავეჭული, თვითურლს ფაკულტეტს უფლება აქვს, თუ საჭიროდ სცნობს, უნივერსიტეტში შემომსვლელთ რომელიმე დამატებითი საგნის ცოდნა წინასწარ მოსთხოვონ“ (პარაგრაფი 15). უნდა აღინიშვნოს, რომ უნივერსიტეტის პირველი სტუდენტი ქალი იყო მედეა ლაპბაშიძე. ქალები იყვნენ ასევე პირველი პროფესორები: ვანდა პოპე-ლამბაშიძე (ფანე ჯაფახიშვილის მოწვევით ინგლისურ ენას ასწავლიდა) და ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანი (ისუ-ში იგი პროფესორთა საბჭოს მიწვევით ფრანგულ ენას ასწავლიდა).

მიუხედავად ამგვარი მიღწევებისა, ქალი პუბლიცისტები ამ პერიოდში არაერთ კრიტიკულ სტატიას წერდნენ. მათ მიაჩნდათ, რომ კონსტიტუციური გარანტიები და რეალობა ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებოდა. სწორედ დემოკრატიის, როგორც ლირებულების გაუფასურებას მიუძღვნა ნატალია აზიანმა წერილი „ინტერვიუ ქალბატონ დემოკრატიასთან“, სადაც იგი აღნიშნავს, რომ მეზის რუსეთის ჩინოვნი კუბმა და მეზმვი კუბმა იძედები ვერ გაამართლეს. მისი აზრით, ასეთვე პირი უჩანდა ბოლშევიკურ წყობასაც.

საბორო ჯამში დღეს, მრავალი ისტორიული ქარტებილის ჩავლის შეძლება, ქართველი ქალის უფლებები მათ ლირებულებით მონაპოვარზე დგას. წინასწარმეტყველური აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „შორს არ არის ის დრო, როდესაც დედათა საქმე თავისას გაიტანს და ეს მოული ნახევარი სქესი კაცობრიობისა მოწვეულ იქნება წუთისოფლის სუფრაზედ თავისი კუთვნილის ადგილის დასაჭირად“.


**ირმა ზანთურია**

უკვე გამოსულია 9 წიგნი



## მსოფლიოს საგანძურად ქცეული ზღაპრები

“ჩლაპარი არის ხალხურ ცოდნასა და გამოცდილებაზე  
დაფუქნებული ერთგვარი კონცექტი, რომელიც  
ადამიანს შეიძლება ნებისმიერ დროს გამოაღებს”



ორ კვირაში ერთხელ  
შურნალ „გზასთან“ ერთად



დიმიტრი ტატიშვილი  
მსახიობი

იყითხეთ წიგნის მაღაზიებსა და პრესის გავრცელების წერტილებში ან დარეკეთ  
ნომრებზე: 0(32)2382673; 0(32)2382674 და [www.elva.ge](http://www.elva.ge) ადგილზე მოგაროოვთ



# უფლისენული, რომელსაც დავით გურამიშვილმა „დავითიანი“ მიაწარა

მირიან ბაგრატიონის  
ცხოვრებისა და  
მოღვაწეობის ისტორიიდან

ბაგრატიონთა დინასტიის კახეთის შტოს წარმომადგენელი მირიან ბატონიშვილი (1767-1834) განდღარ მეუე ერეკლე II-ის ერთ-ერთი გაფი, რომელიც სახელმწიფო მოღვაწეობას ჭაბუქობიდან შეუდგა. მას მინიჭებული პქნენდა რუსეთის არმიის გენერლისა და ნამდვილი საიდუმლო მრჩევლის წოდებები. იყო საიმპერიო სენატის წევრი და წმინდა ანას I ხარისხის ორდენის კავალერი. ამის პარალელურად, იგიც ლიტერატურულ მოღვაწეობასაც წევრია. აქვე აღვნიშნავთ, რომ ბაგრატიონთა დინასტიის კახეთისა და ქართლის შტოების დემოგრაფიული განვითარების ისტორიის ცალკეული საკითხების შესწავლას არაერთი ნაშრომი მოუძღვნით.

მეუე ერეკლე II (1720-1798) სამჯერ დაოჯახდა. მისი პირველი მეუღლე იყო ქეთუებან ზაალის ასული მხეიძე (ფხეიძე), მეორე — ანა ზაალის ასული აბაშიძე (1730-1749), ხოლო მესამე — დარეჯან კაციას (გიორგის) ასული დადიანი (1734-1807).

დარეჯანი იყო ოტია დადიანის (მთავრობდა 1728-1757 წლებში) ძმის — კაციას (გიორგის) ასული. ამ ქორწინებაში 23 ბატონიშვილი დაიბადა.

მირიანი — ერეკლე II-ისა და დარეჯან დადიანის რიგით მეთერთმეტე შვილი, 1767 წლის 19 აგვისტოს დაიბადა. ერმა უფლისწულს იმ მეფის სახელი დაარქვეს, რომელმაც 326 წელს ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.

მირიანს ნახევარმად ეკუთვნილა მეუე გიორგი XII, რომელიც ერეკლე II-ს მეორე ქორწინებიდან შეეძინა. მირიანის დანარჩენი (ღვიძლი) ძმებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიაში.



უფლისწული მირიან ერეკლეს ძე ბაგრატიონი  
(მხატვარი — ალექსანდრ გრინგა, 1827 წ.)

## ეპოგის დიალოგაზი და რუსეთის სამხედრო მოღვაწე

ქართლ-კახეთის სამეფოს მართვა-გამგეობაში უფლისწული მირიანი ჭაბუქობიდან მონაწილეობდა. გვირგვინოსანი მამის სურვილის შესაბამისად, იგი ჯერ კიდევ 17 წლის ასაკში ჩართეს რუსეთში მიმავალი დიპლომატიური მისიის შემადგენლობაში.

მირიანი იყენებდა რვაკუთხა ფორმის საუფლისწულო ბეჭედს, რომელზეც ამოტიფიტული იყო ოთხსტრიქონიანი ლეგენდა ქართულ ენაზე (მხედრული შრიფტით): „დავითის ტომთა სქესისა, ძე ვარ ირაკლი მეფისა, მირიან“.

კათოლიკოს-აპტორიარქ ანტონ I-ის მიერ 1768 წლის 20 თებერვალს გაცემულ დოკუმენტს — „წყალობის წიგნი სოლომონ კუალიაშვილისადმი“ ერთვის როგორც ანტონ I-ის ხელითვა, ასევე, ერეკლე II-ის, დედოფალ დარეჯან დადიანისა და მათი რამდენიმე ვაჟის ბეჭედი. მათ შორის არის მირიანის ბეჭედიც — ზემოხსენებული ლეგენდით.

1780 წლის 2 ივნისით დათარიღებულ დოკუმენტს – „წყალობის წიგნი ანტონ I-ისა სახლობუცეს ამილბარ მაღალაძისადმი“ ერთვის როგორც კათოლიკოს-პატრიარქის ხელმოწერა, ასევე, ქართლ-კახეთის მეფე-დედოფლისა და მათი რამდენიმე ვაჟის ბეჭედი, მათ შორის – მირიანისაც.

მირიანის ბეჭედით ასევე დამოწმებულია შემდეგი განჩინებანი: 1779 წლის 20 ივნისით დათარიღებული „განჩინება სოლომონ ბეგ-თაბეგიშვილის ქმების საქმეზე“; 1780 წლის 21 ივლისით დათარიღებული „განჩინება ადამ გარანგოზიშვილისა და იგანე ბურდულის მამულის საქმეზე“; 1781 წლის 19 იანვრით დათარიღებული „განჩინება საგინაშვილების ქმების დათუაშვილების საქმეზე“; 1782 წლის 22 ივნისით დათარიღებული „განჩინება შერმაზნ აფხაზისშვილის მკვლელობის საქმეზე“; 1783 წლის 3 აპრილით დათარიღებული „განჩინება არქიმანდრიიტ ანტონისა და ბაყალ მიკიორტუმას სახლების საქმეზე“; 1783 წლის 19 ოქტომბრით დათარიღებული „განჩინება გვიო და უთრუეთ ციციშვილების გაყრის საქმეზე“; 1784 წლის 8 იანვრით დათარიღებული „განჩინება გოსტუშაბაშვილებისა და ციციშვილების მამულის საქმეზე“; 1784 წლის 11 ოქტომბრით დათარიღებული „განჩინება შეეჭაბუქ მდიგან-ბეგის ქმების შაბაშვილების საქმეზე“ და სხვ.

1782 წლის 12 აგვისტოს ერეკლე II-მ უბრანა თავლიდარ ნასყიდას, მირიანის მსახურის – ფულუხ დიმიტრი ქუმსიშვილისთვის ხელწერილით გადაეცა ხუთი მინალოუნის ღირებულების ფარჩა.

1783 წელს გეორგიევსკე ხელმოწერილი მფარველობით ტრაქტატის შემდეგ, ერეკლე II-მ ეკატერინე II-სთან გაგზავნა საგანგებო დელგაცია გარსევან ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით. დელგაციის შემადგენლობაში ჩარიცხეს იეროდიაკვანი ანტონი (ერისკაცობაში – უფლისწული თეიმურაზ ერეკლეს ძე, მომავალში – კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II) და მისი უცროსი ძმა მირიანი.

1784 წლის მაისის მიწურულს ქართლ-კახეთის დაპლომატიური მისია ამალიოურთ რუსთავის დედაქალაქში გაემგზავრა. 20 სექტემბერს იმპერატრიცამ მიიღო დელგაციის მეთაური გარსევან ჭავჭავაძე, რომელმაც ეკატერინე II-ს რწმუნებათა სიგელი გადასცა.

მირიანი საკუთარი ნებით ჩაირიცხა იმპერიის შეიარაღებულ ძალებში შემავალ

იზიუმის საკავალერიო პოლკში, სადაც ეკატერინე II-ის ბრძანებით, მას პოლკონიკის წოდება მიენიჭა.


ბაგრატ ბატონიშვილი (1776-1841) მოგვითხოვთ რობერტის: „წელს 1784 წარავლინა მეფემან ირაკლიმ როსიად ძენი თვისწინი ანტონი – შემონაზვნებული მთავარ-დიაკრი და მირიან, რომელსაც უბობა იმპერატრიცამ პოლკონიკისა ცხენოსანს ჯარში“.

მირიანმა მონაწილეობა მიიღო რუსეთ-ოსმალეთის 1787-1791 წლების ომში.

მები – ანტონ და მირიან ბაგრატიონები სამი წლის განმავლობაში პეტერბურგში ცხოვრობდნენ. მათთვის ახლო კუშიორი ჰქონდა ქართული წარმომავლობის რუს სახელმწიფო მოღვაწეს, საიდუმლო მრჩეველს, საგარეო საქმეთა კოლეგიის წევრს სერგეი ლაზარევს (1739-1814), რომლის ნამდვილი



გარეგან  
ჭავჭავაძე



სერგეი  
ლაზარევს ძე  
ლაშვარიაზი



გევა ერეკლე II და დარჯან დედოფლალი



გვარიც იყო ბიბილური. 1787-1788 წლებში ბატონიშვილები ცხოვრობდნენ კრუმენჩუგში, გენერალ-ფელდმარშალ გრიგორი პოტიომ-კინთან, რომელსაც ევალებოდა რუსულ-ქართული ურთიერთობების გაძლიერება. არსებობს მოსახურება, რომ ეს უფლისწულები საპატიო მძღვანელი იყვნენ.

მირიანს მიძრება პქონდა ქართლ-გახეთის სამეფო კართან და თავის გვირგვინოსან მამასთანაც. ერეკლე II-მ მირიანს მისწერა, რათა მას დაესვა საკითხი რუსეთის ხელი-

სუფლების წინაშე და აეცილებინა აღა-მაჰმად-ხანის მოსალოდნელი თავდასხმა საქართველოზე. მას შემდეგ კი, რაც ეს თავდასხმა მოხდა, ამის თაობაზე მეფემ შვილს დაუყოფნებლივ შეატყობინა. კრწანისის ბრძოლიდან სულ რამდენიმე დღეში, 1795 წლის 15 სექტემბერს, ერეკლე II თავის ვაჟს მირიანს და გარსევან ჭავჭავაძეს შესხიოდა — ფიცით რომ არ ვყოფილიყვათ დაკავშირებული რუსეთთან და აღა-მაჰმად-ხანთან თანხმობა გვქონდა, ეს უბედურება არ დაგვატყდებოდა.

გარსევან ჭავჭავაძე შეძლებისდაგვარად მფარველობდა უფლისწულს და ფინანსურადაც ქმარებოდა. 1795 წელს მან მირიანს ათასი რუბლი ასესხა.

რუსეთის სამხედრო სამსახურში მყოფი უფლისწული სწრაფად მიიწვედა წინ კარიერულ კაბეზე. 1793 წელს მას მიენიჭა გენერალ-მაიორის, ხოლო შემდგომში — გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდებები.

მირიანი შახურობდა კავკასიის სამხედრო ხაზზე განლაგებული რუსთა ჯარის სარდლის, გენერალ-ფელდმარშალ გრაფ ივან ვასილის ძე გუდოვიჩის არმიაში და ირიცხებოდა ყაბარდოს ქვეითი პოლკის შეფად (1796-1798). იგი იყო რუსეთის სენატის წევრი, რომელსაც მინიჭებული პქონდა ნამდვილი საიდუმლო მრჩევლის წოდება.

პოლონელი მეცნიერი იან პოტიოცი (1761-1815) თავის მოგონებებში მიუთითებდა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მოგზაურობისას შეხვდა მირიანს. 1797 წლის 1-ლ დეკემბერს პოტიოციმ თავის ლიიურში ჩაწერა: „ეპატერინოგრადში მე საქართველოს მეფის ძის, უფლისწულ მირიანის სტუმარი ვარ, რომელიც რუსეთის არმიაში გენერალ-მაიორის ჩინით მსახურობს. ახალგაზრდა ბატონმა შშვნივრად იცის რამდენიმე ენა და აზიის ისტორია“.

გვირვინოსანი მამის ავალმყოფობის შესახებ ცნობის მიღებისთანავე, მირიანი მოზღოვიდან საქართველოსკო გამოემგზავრა. მას თან ახლდა ადიუტანტი შეწმინი და გერმანული წარმომაგლობის ასტრახანელი ექიმი გირთციუსი, რომელსაც ერეკლე II-ისთვის უნდა ემკურნალა. მირიანმა მამას ცოცხალს ვეღარ ჩამოუსწრო. იგი დაესწრო მეფის დაკრძალვას, რის შემდეგაც, რუსეთის არმიაში სამსახურიდან თავისი სურვილით გათავისუფლდა.

მირიანი სამშობლოში აპირებდა დარჩენას, თუმცა განგებამ სხვაგვარად განსაჯა.

დაქვრიფებული დედოფალი დარეჯანი 1798 წლის მარტში იმპერატორ პავლე I-სადმი გაგზავნილ წერილში აღნიშვნადა, დაგვი-ბრუნდა მირიანი, რომელიც „14 წელი არ გვინახვსო“.

მირიანი მხარს უჭირდა თავის უფროს ღვიძლ ძმას იულონს, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე. იულონის მომხრენი განსაკუთრებით გააქ-ტიურდნენ გიორგი XII-ის გარდაცვალებისა (1800 წლის 28 დეკემბერი) და პავლე I-ის მიერ ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის ღვევიტიმურ მემკვიდრედ ჯერ კიდევ 1799 წელს აღიარებული დავით ბატონიშვილის (1767-1819) ამ სამეფოს გამგებლად დადგინდის შემდგე.

სამეფოს გამგებლის, უფლისწულ დავითის წინააღმდეგ გაერთიანებული მისი ბიძები (გიორგი XII-ის ნახევარმები) თავიანთი პრეტენზიას საფუძვლად იყენებდნენ ერეკლე II-ის მიერ 1791 წელს შედგენილ დოკუმენტს – „განწესებანი“, რომელიც მეფე დარეჯან დედოფლის ჩაგონებით დაწერა. მართალია, მეფემ შემდგომში თავადვე უარყო ეს დოკუ-მენტი, მაგრამ მან უფლისწულთა შორის უთანხმოება მაინც გამოიწვია.

პლატონ იოსელიანი აღნიშნავს, რომ დარეჯან დადიანის ვაჟებს და მათ შორის, მირიანსაც „სურდათ აღსრულებულიყო მეფი-სა ირაკლისა უგანი ანდერძი დასაღუპავად ქვეყნისა შედგენილი. ანდერძითა ამით უნდა მისცემოდა მეფობა პირველსა – იულონსა, მერეთ – გახტანგსა, მერეთ – მირიანსა, მე-რეთ – ალექსანდრეს, მერეთ უკანასკნელსა შვილსა ირაკლისსა – ფარნაოზს. შემდეგ ამათსა უნდა გარდასულიყო გვირგვინი შე-ფობისა მეფისა გიორგისა შვილებზედ, ე.ი. პირველად უნდა მისცემოდა მეფობა დავითსა, მერეთ იოანეს, მერეთ ბაგრატს, მერეთ თეი-მურაზს, მერეთ მიხაილს და სხვათა. შემდეგ ამათსა მეფობა უნდა გარდასულიყო იულო-ნის შვილზედ, მერეთ ვახტანგისა შვილზედ და სხვა... შეფესა გიორგის სხვაცა აქვნდა ანდერძი მამისაგან დაწერილი. ამა ანდერ-ძით ირლვეოდა ანდერძი, გამოცხადებული დარეჯან დედოფლისაგან. ესე იყო მიზეზი, რომელმანცა დაბადა შფოთი მმათა შორის და გადაუყენა ერთგულობიდამ მრავალნი“.

1800 წლის 20 დეკემბერს, როდესაც გიორგი XII ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მისმა ნახევარმებმა – იულონმა, ვახტანგმა (ალ-

მასხანმა) და მირიანმა მოწოდებით მიმართუს გორის მოსახლეობას, მხარი დაეჭირათ იუ-ლონის გამეფებისთვის.

პ. იოსელიანივე გვამცნობს, რომ 1801 წლის 14 იანვარს თბილისში გამოქვეყნდა იმპერატორ პავლე I-ის სიგელი უფლისწულ დავით გიორგის ძის სამეფოს გამგებლად დადგინების შესახებ, რომელიც „სცნესცა ყო-ველგან. გარნა არა მიიღეს არცა ბიძათა მისთა და არცა დედოფალმან დარეჯან... იულონი, ვახტანგ, მირიან, ფარნაოზ შეგროვდნენ დუ-შეოს, აქედამ მივიღნენ მუხრანს და უნებდათ დაეგვირგვინებინათ მეფედ იულონ მცხეთას. ლაშარევმან, რჩვითა თვით მემკვიდრისა დავითისა, წარგზავნა მუნ 250 სალდათი. ამან დააბრკოლა განხრახვა მათი“.

რუსეთის ხელისუფლება დაინტერესე-ბული იყო, რომ ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის წევრები რაც შეიძლება სწრაფად გადაესახლებინა პეტერბურგში, სადაც მათი





ქათოლიკოს-  
პატიათოვანი  
ანტონ II

ცხოვრება, მუდმივად მოჯანყე ქვეყანაში ყოფინისგან განსხვავებით, იმპერიის ინტერესებისთვის საშიში აღარ იქნებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ თავისი დვიძლი მმების: იულიანის, ვახტანგის (ალმასხანის), ალექსანდრესა და ფარნაგაზისაგან განსხვავებით, მირიანს არ უბრძოლია რუსეთის წინააღმდეგ, იგი მაინც გადასახლებულთა შორის აღმოჩნდა. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოთ ჩამოთვლილთაგან მირიანი ყველაზე აღრე გაასახლეს, თორუმ არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ საქართველოში დარჩენის შემთხვევაში, მას შეარი დაეჭირა მშებისთვის.

პეტერები მყოფი გადამდგარი გენერალი მირიანი იძულებული გახდა, დამორჩილებოდა თავისი მთავარსარდლის — იმპერატორის მოთხოვნას და საშობლო დაეტოვებინა. 1801 წლის 15 მარტს იგი ჩრდილოეთისკენ გაემგზავრა. ამის შემდეგ იგი გარდაცვალებამდე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა რუსეთში, ძირითადად — სანქტ-პეტერბურგში, ხოლო დროდადრო — მოსკოვშიც.

### საუფლისწულო მაულები

გვირგვინოსანმა მამამ თავის ძეს — მირიანს სხვადასხვა დროს უბოძა ყმები და ასევე მამულები კახეთსა და შიდა ქართლში. ქვემოთ თანამიმდევრულად ვიმსჯელებთ მათ შესახებ.

მირიან ბაგრატიონის კუთვნილი საუფლისწულო მამულებიდან თბილისთან კევლაზე ახლოს მდებარეობდა ყანდიაური, რომელიც ისტორიულ გარეგანეთში, ცივ-გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე გაშენებული სოფელია. ამ ანთროპონომიული წარმომავლობის ტოპონიმს საფუძვლად უდევს მამაკაცის საკუთარი სახელი — ყანდია. სოფლის თანამედროვე დასახელებაა ყანდაურა (შედის საგარეჯოს რაიონში).

ყანდიაური საყურადღებო ისტორიული წარსულით გამოირჩევა. სოფელი ძველთაგანვე შეწირული იყო ალვერდის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძრისადმი. შავაპაბას I-ის გამანადგურებელი ლაშქრობების შედეგად კახეთს აუნაზღაურებელი ზარალი მიადგა. განსაკუთრებით დაზარალდა გარეგანეთი. მოსახლეობის ნაწილი მტერთან ბრძოლას შეწირა, ხოლო ნაწილი სპარსეთში დაასახლეს. უამრავი დასახლებული პუნქტი ნასოფლარად იქცა. მათ შორის იყო ყანდიაურიც. მტრისგან აოხრებული ეს სოფელი საუკუნე-ნახევრის განმავლობაში დაუსახლებელი რჩებოდა.

XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში, ერეკლე II-მ ნასოფლარ ყანდიაურის აღორძინება დაიწყო. აქ სხვადასხვა დროს დამკაიდრდნენ შიდა ქართლიდან, იმერეთიდან, რაჭიდან და სამეგრელოდან გადმოსახლებულები. ამ სოფლის აღდგენის მნიშვნელობაზე მეტყველებს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის მიერ 1797 წლის 23 თებერვალს გამოცემული განჩინება „სოფელ ყანდიაურის თაობაზე“, რომელშიც ვკითხულობთ: „ქ. ყანდიაური სოფელი მევლთაგანვე ალვერდის წმიდის გიორგის ეკლესიის შეწირული არის და შავაპაბენს რომ კახეთი მოურნებია, მასუკან ხარაბათ (დაუსახლებელი. — ღ.ჯ.) იყო, რომ ყანდიაურის სოფელში შენობა აღარა ყოფილა. ახლა მისმა უმაღლესობამ, მეფებან ქართლისამან და მეფებან კახათამან და სხვათა ირაკლი მეორემან იგულა და იგულისმოდგინა ამ ყანდიაურის სოფლის გაკეთება, მოიყვანა და თავისი სახასო კაცნი დაასახლა და სხვაც მრავალი ხარჯი ჰქმნა. ახლა ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა კათალიკოს-პატრიარქმან, ალვერდელმან, მემან მისის უმაღლესობის მფლის ირაკლი მეორისამან — ანტონიმ ჩვენის დიკასტირი-

ის თანდასწრებით ასე განვსაჯეთ: რაღგანაც კაცნი მისის უმაღლესობის მეფის ირაკლის სახასო ქმანი არიან და მამული ალავერდის წმინდის გიორგის ეკლესიისა არის, რაც ამ სოფლის გამოსავალი იქნებოდეს, ნახევარი სამეფოდ მიერთმეოდეს და ნახევარი წმინდის გიორგის ალავერდის ეკლესიას მიერთმეოდეს; როგორც წინასაგარეჯო და უკანსაგარეჯო სამეფოთა და სვეტიცხოვლისათვის სანახევროთ დევს, ესეც იმ განწესებით უნდა იყოს. სადაც რომ დღეს ყანდაური სოფელი სახლობს, იმის ჩამოსწვრივ ალავნითვე თავის გასადევრით ყანდაურის სოფლისათვის დაგვიდევა სამკვიდროდ და საბოლოოდ, და თუ სადმე ალავნელი მეტკვიდრე კაცი არის, მოვა და თავის მამულს ხელს მოჰკიდებს, იმას თავის მამულს ვერავინ შემცილება და იმისი გამოსავალი საკუთრად ალავერდის ეკლესიისა იქნება. და კიდევ ვინ იცის, როგორ მოხდეს, რომელიც კაცნი მისმა უმაღლესობად მეფეზე ყანდაურსა და ალაკანში დაასახლა, ესენი რომ იქ ადარ დადგნენ და დაიფახტნენ, ის მამული ისევ საკუთრად ალავერდის წმინდის გიორგის იქნება. და თუ რომ იქ ესახლებიან და როგორც ზემოთ დაგვიწერია, როგორც წინასაგარეჯო და უკანსაგარეჯო სამეფოთა და სვეტიცხოვლისათვის სანახევროთ დევს, ეს ყანდაური სოფელიც იმ წესით და იმ რიგით უნდა იყვნენ“.

განჩინების ბოლოს არის ასეთი მიმართვა: „ყანდაურის მოურავო ჯანდივერიშვილო როსებ ნასახიბიაში! როგორც განგვიწესბია და გაგვირიგბია, ამას ასე აღასრულებდე, მეფეს თავის წილს მიართმევდე და ეკლესიას თავის წილს მიართმევდე“.

განჩინებას ერთვის როგორც კათოლიკოს-პატრიარქის ხელრთვა და მაღალი თანამდებობის მქონე სასულიერო პირების (მათ შორის — ბოლებელი და ნინოწმინდელი მთაროპოლიტების) ხელმოწერა, ასევე, ქართლ-კახეთის მეფე-დედოფლისა და მათი რამდენიმე ვაჟის ბეჭედი, მათ შორის მირიანისაც, რომელიც ყანდაურის მფლობელი იყო.

დოკუმენტის ბოლოს კვითხულობთ „ქ. ჩვენ, სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა მეფის ძე, დიდებულის ხელმწიფის იმპერატორ პავლე პეტროვიჩის სარდალი — მირიან, მისის უწმინდესობის კათალიკოზ-ალავერდელ ჩვენის მმის და მისის დი-

კასტირიის განსჯილსა და გარიგებულსა ამას გამტკიცებთ“.


იოანე ბატონიშვილის (1768-1830) ნაშრომში „ქართლ-კახეთის აღწერა“ ცალკეა გამოყოფილი გარეკახეთის ტერიტორიაზე მდებარე დასახლებული პუნქტები, რომელთავან საუფლისწულოდ ისსენიება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული სოფელი, მის მფლობელად კი მითითებულია მირიანი.

ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის მეფობის პერიოდში ყანდაურის მოურავი იყო განჩინებაში მოხსენიებული თავადი როსებ (იოსებ) ზალის ძე ჯანდივერი. სხვადასხვა დროს ის მოურავად იყო ასევე ჯიმითსა და კალაურში. მისი ვაჟი სეიმონ ჯანდივერი, ისევე, როგორც ყანდაურის მცხოვრები, აქტიურად მონაწილეობდნენ 1812 წლის სახალხო აჯანყებაში, რომელსაც საწყის ეტაპზე (თებერვალ-მარტ-ში) ხელმძღვანელობდა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გრიგოლ I (1789-1830).

ერეკლე II-მ მირიანს ასევე უწყალობა მამულები კახეთის სოფლებში: შალვაურში (ამეამად — შალაური), ბახტონინსა და მაღრანინში, ხოლო ქისტაურში, ზემო ხოდა-შენსა და აწყურში მოსახლე ბოჭორმელები მის ყმებად ჩარიცხეს.

შიდა ქართლის ტერიტორიაზე მირიანს უწყალობეს ყმა-მამული „სააზნაუროთი და





დაჭით  
გურამიშვილი  
(ძალგარი  
— უნი  
ჯაფარიძე)

საეკლესიოთი“ ხეფინისხევის სოფლებში, რომელთა შორისაც იყო: ბჟინევი, გრიგალათი, გესამანია (ამჟამად — გეღსამანია), ვერტყვიჭალა, მლაშე, ნადაბური, ფონა, ციცქაური (ამჟამად — ციცქიური), ხევიჯგარი და ხუნევი. ეს სოფლები, რომლებიც იმ პერიოდში ქართლ-კახეთის სამეფოს უკიდურეს დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა და ესაზღვრულია იმერეთის სამეფოს, ამჟამად ზოგიერთის (მლაშე, ხევიჯგარი) გარდა, ადმინისტრაციულად შედის ხარაგაულის რაიონში.

საქართველოში მყოფი მირიანი ცდილობდა მოქწესრიგებინა თავის კუთვნილ მამულებში მცხოვრებთა ყოფითი პრობლემები.

სოფელ ფშავლის (თელავის რაიონი) ეკლესიაში მოღაწე მღვდელმა მათე ყოდალაშვილმა 1799 წლის 14 მარტს მირიანს მიართვა არზა სოფელ ხორბალოში (ახმეტის რაიონი) მდებარე მისი მამულის თაობაზე, რომელშიც ვკითხულობთ: „ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყვალის ძეფის ძის მირიანის ჭირი მოსცეს მათს სამარადისო მლოცველს ყოდალაშვილს მღვდელს მათეს.“

მერე ამას მოგახსენებს: ხორბალოში ჩემს მამა-პაპათ თქვენგან წყალობა ქონიათ სასაფლაო საყდრით გაწყობილი. გხლებივართ, ამას წინათ არ გაკეთდებოდა ხორბალოში ვენახები, მაგრამ ჩემი რომ გახლავს, ვერ გააკეთეს და მის მიზეზით ვერც სანატრელმა

ბატონმა უბოძა. ახლა ოქმი გიბოძებიათ თუშთ მოურავზედ, ხორბალოსკენ ვენახებად დაუყაო. ჩემი ხელმწიფევ, თუ ამაზედ მიწყრებით, აქ, ფშაველში გახლავართ მე სამწყსოს გულისათვის, ჩემს შვილს იმის მეტი რა ბინა აქვს. ახლა ამ მოწყალებას გვედრებით, რაც თქვენმა უგანათლებულესობამ ცნოს ეს ჩემი მოხსენება, იმის მოწყალება მაღირსეთ“.

ამ სათხოვარს მირიანმა შემდგეთ რეზოლუცია (ოქმი) დაადი: „ქ. ბატონო თუშთ მოურავ დურმიშხან! (იგულისხმება თავადი ჩოლოყაშვილი. — დ.ჯ.) მათე მღვდელს არზით ასე რომ მოუხსენება, ამას, როგორც სანატრელის მათის უმაღლესობის, ბატონის მეფის, მამის ჩვენის ოქმებში უცხადებს, ასე უნდა აღუსრულოთ და გაურიგოთ. ამის მამულთან საქმე არავისა აქვს“.

1801 წლის 15 მარტს სამპერიო ხელისუფლების მოთხოვნით რუსეთში გამგზავრებულმა მირიანმა თავისი ყმა-მამული საპატრონოდ დაუტოვა დედას — დარეჯან დედოფალს.

### იმარის სახელმწიფო მოღვაწე, აოეთი და თბილგმენელი

პეტერბურგში ჩასული მირიანი დააჯილდოეს წმინდა ანას I ხარისხის ორდენით. იგი საპატიო სტუმრის რანგში ესწრებოდა აღექსანდრე I-ის კორონაციას, რომელიც მოსკოვში 1801 წლის 15 სექტემბერს გაიმართა.

მირიანმა, როგორც რუსეთის სენატის წევრმა, 1812 წელს, ნაპოლეონის არმიის რუსეთში ლაშქრობისას, ცეცხლმოკიდებული მოსკოვიდან გამოიტანა სენატის არქივი და ნიუნი ნოვგოროდში წაიღო.

1826 წელს მირიანი დაინიშნა უმაღლეს სასამართლოში დეკაბრისტების საქმის განხილვასთან დაკავშირებით.


სახელმწიფო მოღვაწეობასთან ერთად, მირიანი ლიტერატურულ მოღვაწეობასაც მისდევდა, წერდა იამბიკოებს. მის კალამს ეკუთვნის: „ჩახრუხაული“, „ჩამოკითხვანი ტაეპბად“, „სვეტიცხოვლის ქება დღეოცისკრის ხმაზედ“, „ფერისცვალების შესხმა დღეოცისკრის ხმაზედ“, „მეფის ერეკლეს ქება დღეოცისკრის ხმაზედ“, „გორგარის ხმაზედ“, „იამბიკო“ „გარლაამ არხიერთან მიწერილი იამბიკონი“ და სხვ.



▲  
დავით  
გურამიშვილის  
სკულპტურა და  
სახლ-მუზეუმი  
მირგოროდში  
(უძრაინა)

▼  
მემორიალური  
დაფა  
სახლ-მუზეუმის  
შესახვაველობა

▼  
დავით  
გურამიშვილის  
საფლავი  
მირგოროდში



უცხოეთის ცის ქვეშ იმულებით მყოფი  
და სამშობლოს მონატრებული უფლასწული  
საკუთარ განცდებს ლექსებში გადმოსცემ-  
და. მან თარგმანი გერმანელი დრამატურგის  
იოაკიმ ვილჰელმ ფონ ბრავეს (1738-1758)  
ტრაგედია „ათეისტი“, ასევე, „სწავლა თქ-  
მული ილია მინიატისგან“, რომელიც 1818  
წელს გადაწერა ტარასი ალექსი-მესხიშვილმა  
და სხვ.

მირიანს წილად ხვდა პატივი — 1787  
წელს, კრისტიანული ცხოვრების პერიოდში  
შეხვედროდა მირგოროდიდან ჩამოსულ დავით  
გურამიშვილს და სამშობლოში ჩამოტანა  
მისი უნიკალური ლიტერატურული მემკვი-  
დრეობა, რომელიც ცნობილია „დავითიანის“  
საერთო სახელწოდებით.

1814 წლის 22 აპრილს მირიანმა ცოლად  
შეირთო მარია ხილკვე (1788-1815), ასელი  
ნამდვილი სახელმწიფო მრჩევლისა, პო-  
დბოლკოვნიკისა, თავად ალექსანდრ იაკობის  
ძე ხილკვისა (1755-1819). მომდევნო წელს  
მარია უშვილოდ გარდაიცვალა.

მირიანთა ურთიერთობა პქონდა პლატონ  
იოსელიანს, რომელიც პეტერბურგში 1831  
წლიდან სწავლობდა.

1834 წლის 15 ოქტომბერს, 67 წელს  
მიღწეული მირიან ბატონიშვილი პეტერ-  
ბურგში გარდაიცვალა. იგი დაკრძალუს წმინ-  
და ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

#### დავით გურამიშვილი

ისტორიის დოქტორი, საქართველოს  
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის  
ეროვნული სააგენტოს თანამშრომელი

# ՖՐԱՅԼԻ

2019 ԵՊՈՎ ՀԱՅՈՎԻ ԹԱՐԱՎՈՒՄ ԵՊԱԳԽԱՌ ՈՎՈՎԵՐԻ



# შანკები ხანძარს ებრძვიან

1991 წლის თებერვალში, ქუვეითიდან ერაყის ჯარების გასვლისას, ერაყელმა მესანგრეებმა რამდენიმე ასეული ნავთობმომპოვებელი ჭაბურლილი დანაღმეს და ააფეთქეს. ცეცხლი დღეში 5-6 მლნ ბარელ ნავთობს ნოჟავდა, ხოლო შავი კვამლი რამდენიმე ასეულ კმ-ზე იყო გადაფენილი და ახლომდებარერაიონებს ფარავდა. დაუმნვარი ნავთობი მინაზე იღვრებოდა, მიედინებოდა და შავ ტბებს ქმნიდა. სპეციალისტთა შეფასებით, ნავთობის მარაგი ხანძრებს დაახლოებით 40 წელი ეყოფოდა. შექმნილი მდგომარეობა ეკოლოგიაზე კატასტროფულად მოქმედდა, ამიტომ ცეცხლთან ბრძოლა სასწრაფო და უჩვეულო ტექნიკურ მიდგომას მოითხოვდა.

ხანძარს ქუვეითში ერთი თავისებურება ჰქონდა – მიწიდან წნევით ამოსული ნავთობის ნაკადი წვეთებად იყოფოდა, ჰაერს ეროდა და მიწის ზედაპირიდან 2-3 მ-ზე წვას იწყებდა. სხვადასხვა კომპანიის წინადადებიდან ყურადღება უნგრულმა MB Drilling-მა დაიმსახურა – უნგრელები ჭაბურლილთან რაც შეიძლება ახლოს მისვლასა და მძლავრი აირწყლიანი ნარევით ნავთობის ნაკადის დაბალ სიმაღლეზე „გადაჭრას“ აპირებდნენ, როთაც ხანძარი წვისთვის ნავთობს ალარ მიიღებდა და თავისით ჩაქრებოდა, მაგრამ ჭაბურლილთან მიახლოება ძნელი იყო, გარდა ამისა, მაღალი ტემპერატურა და წვის პროდუქტები სახანძრო ტექნიკის გამოყენებას შეუძლებელს ხდიდა...



# სარო სასჯელები

## პართიანი გული საქართველოს სამაფოში

(XI-XIII ს.)



თამარ მეფის  
დროს საქართველო  
სასჯელები  
ნაკლებად  
მკაცრი გახდა,  
ვიდრე მასი  
მამის, მეფე  
გიორგი III-ის  
პერიოდში

„უსამართლოდ გინებისთვის“ დამნაშავე 10 ათასი  
თოთრის გადახდით ისჯებოდა...

სამართლის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დასჯის კონკრეტულ  
საშუალებებს — სასჯელებს. ეს უძველესი დროიდან გავრცელებული სამართლებრივი  
ბერკეტია, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში მიმართულენ დამნაშავეს  
პასუხისმგებაში მისაცემად. სასჯელი დღემდე რჩება ბოროტმოქმედის დასჯის ყველაზე  
გავრცელებულ საშუალებად.

ძველ ქართულ სამართალში სასჯელის ბის საქართველოში საჯარო (საერო) სასჯე-  
ლები ფართოდ, მთელი ქვეყნის მასშტაბით,  
შედარებით გვიან დამკვიდრდა. ფეოდალურ  
საზოგადოებაში დიდი დრო სჭირდებოდა  
სახელმწიფოს მიერ დამნაშავეთა დასჯისა და

გასამართლების საქმის ხელში აღებას, ვინაიდან ეს პრეროგატივა ფეოდალების მიერ იყო უზურპირუბული. კონკრეტულ მამულში კრძო ფეოდალი წყვეტდა თავისი ქეშვერდომების დასჯასა და შეწყალებას. ამას, პირობითად, კრძო სამართლს უწოდებენ. როცა სასჯელი კრძო პირის მიერ არის ინიცირებული, შესაბამისად, სასჯელი კვლიფიცირდება, როგორც „კრძო სასჯელი“. საქართველოს ხელისუფლების მიერ ქვემის ცენტრალიზაციამ ამგარი პრაქტიკა შეამცირა, ხოლო სახელმწიფოს მეტი საშუალება მიეცა, მთელი ქვეყნის მასშტაბით თავად განეხორციელებინა სადამსჯელო დონისძიებები. სწორედ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიცირებული საერო ანუ საჯარო სასჯელები წარმოადგენს ჩენეს მთავარ განსახილებულ თემას.

საქართველოში სასჯელი მრავალი სახის იყო. სასჯელების ნაწილი გულისხმობდა დამნაშავისთვის რამე ტანჯვის მიყენებას, მის ცემას, სხეულის რომელიმე ნაწილის მოკვეთას, დასახიჩრებასა და დაზიანებას. ყველაფერი ეს სათანადოდ აისახა სასჯელის ცნების გამომხატველ სიტყვებში — „ტანჯვა“, „სატანჯველი“, „პატიიშა“ და ა.შ.

შეუ საუკუნეებში საქართველოში დასჯის პოლიტიკის ჩამოყალიბება მთელ რიგ ფაქტორებზე იყო დამოკიდებული. — იგანე ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, რომ ძელ ქართულ მართლმასაჯულებას განსაზღვრული სასჯელთა სისტემა ჰქონდა. იგი წერს: „სასჯელთა ერთი ჯგუფი ქონებრივი თვისებისა იყო, მეორე ჯგუფი დამნაშავის თავისუფლების აღკვეთისთვის იყო განკუთვნილი, მესამე გვემთი იყო, მეოთხე გაპატიუება და მეზურე კი დამნაშავის სიცოცხლის მოსპობა“.

ქართული სამართლის ცნობილ ძეგლს, ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნს დართული აქვს ე.წ. ბაგრატ კურაპალატის სამართლი, უფრო სწორად, სამართლის წიგნის ფრაგმენტი, რომელიც 61 მუხლისგან შედგება (99-160). მასში მოყვანილია შემდეგი სახის დანაშაული: მკლელობა (117, 135, 150, 159, 160); სხეულის დაზიანება (106-109); ცილისწმება, სქესობრივი დანაშაული, ქალის მოტაცება, ცოლის დაგდება, გაძარცვა, ქურდობა, ღალატი, თვითნებობა და სხვა.

სამართლის წიგნის ფრაგმენტში ვკითხულობთ, რომ თუ ვინმე დიდებულთაგანი ეპისკოპოსს სიტყვიერ შეურაცხყოფას მია-

ყენებდა, დამნაშავე დიდებული დაისჯებოდა ორმოცი ათასი თეთრის გადახდით და „დიდად შეზუეწით“.

„დიდად შეზუეწა“ აქ დამოუკიდებელი საჯარო, სახელმწიფო სასჯელია, რომელიც თან სდევს კრძო სასჯელს, სისხლის დაურვებას. შეზუეწა ისხენიერა, როგორც სასჯელის სახეობა რამდენიმე მუხლში (106, 107, 108).


„თუ ეპისკოპოზსა დიდებულმან აგინოს, ორმოცი ათასი თეთრი დაუურვოს და დიდად შეზუეწით“ (106).


„თუ ეპისკოპოზსა აზნაურმან აგინოს, დიდითა შეზუეწითა ოცი ათასი თეთრი დააურვოს“ (107).

„თუ აზნაურმან ანუ დიდებულმან მღვდელსა აგინოს, ანუ უქუემოებას, მესამედი სისხლისათ დაუურვოს და დიდად შეზუეწოს“ (108).

ნათელაა, რომ სასულიერო პირთა პატიოგასა და ღირსებას ქართველი კანონმდებელი ლიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. სისხლის სამართლებრივ ჯარიმისთან ერთად, დამნაშავეს ბოლიშის მოხდაც ეკისრებოდა. სწორედ დანაშაულის მონაციებისა და ბოლიშის მოხდის ეს განსაკუთრებული სახეობა იყო „შეზუეწა“.

რაც შეზება „დიდად შეზუეწას“, ეს უნდა ყოფილიყო ბოლიშის მოხდის განსაკუთრებით მძიმე ფორმა, რადგან მას კანონმდებელი ბეჭედისა და დაბუღას სამართლის წიგნის გვერდი (გადაწყვეტილი XVIII საუკუნეში)





შეკვეთის სასტიკი სახელების აღწერილობა  
უხარ შემოჩნდა გვრობის ქვეყნებში

სხვანაირად არ მოიხსენიებდა. „შეხვეწა“, „შეხვეწილობა“ ქართული ფეოდალური ყოფისთვის დამახასიათებელი მოვლენა იყო, სწორედ აქედან არის წარმოშობილი „შეხვეწილი“. ეს უკანასკნელი კი ნიშნავს იმ პირს, რომელმაც მონანია, ბოდიში მოიხადა და შევეძრა. კანონმდებელი აგრეთვე სუბრობს „უსამართლოდ გინებაზე“. ასეთი დანამაულისთვის პირი ისჯებოდა 10 ათასი თეთრის გადახდით (127).

ცალკე აღსანიშნავია „დიაცის გინება“. ამ შემთხვევაში სახელი მკაცრი იყო დაწესებული. შევეძლობაში მიიღებოდა შეურაცხეოფილი და შეურაცხემყოფელი მხარეების წოდებრივი მდგომარეობა („საპატიობა“) (130).

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში ასევე გვითხულობთ: „მექობრისა და ზედა დამსხმელის სისხლი არ არის“ (138). ე.ი. მექობრისა და „ზედა დამსხმელის“ მოკვლისთვის მექლელი პასუხს არ აგებდა. აქედან, საფიქრებელია, რომ თუ „ზედა დამსხმელისა“ და მექობრეს მართლმსაჯულება ხელთ ჩაიგდებდა, მკაცრად, უსასტიკესად დასჯიდნენ.

საერო სასჯელების მხრივ XII-XIII საუკუნეები გამორჩეული და საინტერესო ეპოქაა. ზუსტად ამ პერიოდში მიმდინარეობს საერო სასჯელების ჰუმანიზაცია. ეს იყო არა რომელიმე მეფისა თუ მთავრის ზნეკეთილობის, არა-

მედ ქართული სახელწიფოებრივი ცხოვრებისა და ქართული კულტურის აღმავლობის ნაცოფი.

ხელისუფალნი იშვიათად მიმართავდნენ დასჯის სასტიკ მეთოდებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ გიორგი III-ის (1156-1184) მეფობის დროს სიკვდილით დასჯა ხშირად გამოიყენებოდა. ასეთი დასჯის კაბლიიფიცურ სახებს წარმოადგენს: თავის მოკვეთა, წყალში ჩახრჩობა, ხმლით თავის მოჭრა და სხვ.

საქართველოში გიორგი III-ის დროს მოიწვიეს საკანონმდებლო კრება, რომლის შესახებაც ვარდან არეველცი (XIII ს.) წერს თავის „მსოფლიო ისტორიაში“:

„619 (1170 წ.) გიორგი შეფერ თავის ქვეყანაში მპარავი და მეკობრე მოსპო, რადგან ყოველთა ლაშქართა თანადგომითა სჯულად დასდო მცირისა და დიდისა საქმისათვის უწყალოდ ყოვლისა კაცისა ძეგლზე აღბმა და ჩინებულთაგან მრავალნი ძეგლზე ჩამოახრჩვეს. ნაბოგნი ნიკო მოპქონდათ და სასჯელის ძელზე ჰკიდებდნენ“.

ვარდან არეველცი XIII საუკუნის დამლევს ცხოვრობდა და საკამოდ როტელია მისი ცნობა ბოლომდე სარწმუნოდ ჩავთვალოთ. ვარდან არეველცის საისტორიო წყაროს წინააღმდეგება გიორგი III-ის სიგელი, რომელშიც ვკითხულობთ:

„თუ მრავალჯერ ეპაროს კაცსა, ანუ ჩამოარჩონ ჩუენთა ჩენილთა ანუ გაპატიჟონ“.

ამგარად, ვარდანის ცნობაში გიორგი III-ის მიერ შემოღებული კანონის ძირითადი აზრი დამახინებულია. გიორგი III-ის საბუთის მიხედვით ვიგებთ, რომ არათუ მცირე პარვისთვის, არამედ არც დიდი პარვისთვის არ მიმართავდნენ სიკვდილით დასჯას. გიორგი III-ის დროს სიკვდილით დასჯის მეთოდს მხოლოდ რეციდივისტი ქურდების წინააღმდეგ იყენებონ, რომლებიც მრავალჯერ იყნენ შემჩერული ქურდებაში. „ძელსა ზედა აღბმავ“ გამოიყენებოდა მოღალატისა და ადამიანებით მოვაჭრის წინააღმდეგ. საბუთის მეშვეობით ვიგებთ იმასაც, რომ XII საუკუნეში საქართველოში არსებობდა ისეთი დაწესებულება, რომელიც მიზნად ისახვდა მექობრეებისა და ქურდების დევნას და შემდგომში მათ გასამართლებასაც.

1177 წელს გიორგი III-ის წინააღმდეგ დიდი აჯანყება მოქწყო (ის ცნობილია დემაუფლისწულის აჯანყების სახელით). ამბობებულები თითქოს იცავდნენ დავით V-ის შვილის,

დემა (დემეტრე) უფლისწულის ინტერესებს, რეალურად ისინი სამეფო ხელისუფლების შეუღებისა და საკუთარი უფლებების გაფართოებისთვის იბრძონენ. აჯანყებულებს სათავეში ედგა ამირსპასალარი ფანე ორბელი.


ამბობებულებმა საწადელს ვერ მიაღწიეს. გიორგი III-მ ისინი დაამარცხა, აჯანყებულები გაასამართლა და მკაცრად დასაჯა. დემას თვალები დათხარეს და დაასაჭრისეს. იგანე ორბელს თვალები დათხარეს, სიკვდილით დასაჯეს ივანეს მმა, ქავთარი და შვილი, სუმბატი. გიორგი III-მ სხვა ამბობებულთა წინააღმდეგ მიმართა დასჯის ერთ-ერთ ცნობილ მეთოდს, ექსორიობას (მწირობა, გადასახლება, გაძევება). ამ ტერმინს ჩვენ ვხვდებით თამარის პირველ ისტორიკოსთან.

ექსორიის სახეები იყო მუდმივი და დროებითი, რაც ძირითადად სახელმწიფო დანაშაულებისთვის გამოიყენებოდა. ექსორიის ადგილად ხშირად ჩანს მაკედონია და კონსტანტინოპოლი. არსებობდა ასევე ტერმინი გაძევება, ანუ გადასახლება. ამ დროს დამნაშავეს მოაშორებდნენ თავის საცხოვრებელ ადგილს, სხვაგან გაძევებით.

ერთი სიტყვით, გიორგი III-ის მეფობის დროს სახელმწიფო თავისი ინიციატივით დევნიდა ქურდებსა და მეკოტრებებს. იგი სიკვდილით დასჯასა და დამასახირებლი სასჯელების გამოყენება აკრძალა, გამონაკლისის სახით, ერთ დამნაშავეს თვალები მაინც ამოუწევს — ეს გახლდათ გუზან ტაოსკარელი. ამ მოღალატე დიდებულის დასჯა თამარის ქმარმა, დავით სოსლანმა ითავა. დავითმა თამარის დაუკითხავად დაასჯვინა იგი, რადგან კარგად იცოდა საქართველოს მეფე-დედოფლის გულმრწყალე ხასიათი. მემატიანების მიერ აღნიშნული თამარ მეფის გულმრწყალება არ უნდა განვიხილოთ, როგორც მხოლოდ მეფის პირადი ინიციატივა, ყველაფერი ეს ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკის მაჩვენებელია, რომელიც მიმართული იყო სასჯელების შესუბუქებისკენ, მათი ჰუმანიზმისკენ.

რისგან განსხვავებით, გიორგი III-ის მეფობის დროს ძლიერი იყო სამძებრო ელემენტებიც. მისი მექვიდრე თამარის (1184-1210) მეფობის დროს კი მართლაც საგრძნობლად შეიძინება სასჯელთა სისტემის შემსუბუქება. თამარ მეფის ისტორიკოსის, „ისტორიანი და აზმანი შარგანდედანის“ ავტორის ცნობით, თამარმა თავისი მეფობის დროს აკრძალა მათრახით ცემა, „არცა თუ ტაჯგანაგი უბრძანა ვის სადმე კრგად“. მისთვის უცხო იყო ისეთი სასჯელები, როგორებიცაა: დაბრძმავება, დასახიჩება და სხვ. თუმცა, თამარის პირებელი ისტორიკოსის სიტყვებიდან ჩანს, რომ მართალია, მეფე სხულის დამასახიჩებელი სასჯელების გამოყენება აკრძალა, გამონაკლისის სახით, ერთ დამნაშავეს თვალები მაინც ამოუწევს — ეს გახლდათ გუზან ტაოსკარელი. ამ მოღალატე დიდებულის დასჯა თამარის ქმარმა, დავით სოსლანმა ითავა. დავითმა თამარის დაუკითხავად დაასჯვინა იგი, რადგან კარგად იცოდა საქართველოს მეფე-დედოფლის გულმრწყალე ხასიათი. მემატიანების მიერ აღნიშნული თამარ მეფის გულმრწყალება არ უნდა განვიხილოთ, როგორც მხოლოდ მეფის პირადი ინიციატივა, ყველაფერი ეს ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკის მაჩვენებელია, რომელიც მიმართული იყო სასჯელების შესუბუქებისკენ, მათი ჰუმანიზმისკენ.

XIII საუკუნის ქართველ ისტორიკოსთა



სარზე  
აცმა



წეონდა  
გოორგის  
წამება ურმის  
თვალზე,  
სკნეთი,  
ნაკიფარი,  
ჯვრაგის  
ეკლესია,  
1130 წ.

აზრით, თამარ მეფის დროს გატარებულმა სახელმწიფო ღირისძიებებმა თავის შედეგი გამოიღო. შემცირდა ქურდობა, მყვლელობა და ავაზაკობის შემთხვევები. თამარ მეფეს გეზი აღებული ჰქონდა სასჯელთა სისტემის შემსუბუქებისკენ. ასევე მეტად მოწყალე მეფე გახლდათ თამარის მემკვიდრე გიორგი IV ლაშა (1210-1222), რომელსაც მეძატიანე ახასიათებს როგორც, „მონისაცა ერთისა მათრანისა არამკვრელი“. ამ სიტყვებიდან ჩანს მეფის შემწენარებელი ბუნება. ეს კი თამარის სამართლებრივი პოლიტიკის გაგრძელებად შეიძლება ჩავთვალოთ.

XII-XIII საუკუნეებში ქართული სამართლი აღმავლობის გზაზეა. ეს პერიოდი წარმოადგენს საქართველოს გაერთიანებისა და

ძლიერი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნისა და ჩამოყალიბების ხანას.

შუა საუკუნეების საქართველოში მრავალი სახის საერო სასჯელი იყო დაწესებული, თუმცა ჩვენ XI-XIII საუკუნეების საერო სასჯელებზე გავაძახვილეთ ყურადღება. ამ პერიოდში ერთიანი საქართველოს სამეფო ეკლეზე შეტად იყო ცენტრალიზებული, ხოლო საერო სამართალი სამეფო ხელისუფლების ხელში იყო მოქცეული. ძლიერი ხელისუფლების პირობებში ქვეყანაში სამართლის უმეტესწილად ცენტრალური ხელისუფლება არყელირებდა. საერო სასჯელების პრაქტიკა, წლების განმავლობაში იხვეწებოდა და სულ უფრო მეტად ჰუმანური ხდებოდა...

**ლუკა კარაბაშვი**

## რამდენიმე ეპიზოდი ყაჩაღად გავარდნილი თავაღის ცხოვრებიდან



კარგულები ტფილისში, მთავარმართებლის სასახლეში

ცნობილი საზოგადო მოღვაწე და რევოლუციონერი გიორგი ლასხიშვილი, როცა ქუთაისის ციხეში იჯდა, იხსენებდა ვინმე გიორგი მიქელაძეს (ალექსანდრ ფრენკელი წიგნში „კავკასიაში ყაჩაღობის ისტორიისთვის. ტატო წულიკიძე“ ასახელებს ცნობილ ყაჩაღს, თავად გრიგოლ მიქელაძეს. საფიქრუბელია, რომ ეს ერთი და იგივე პიროვნებაა), იმდროინდელ „დასავლეთ საქართველოს ზელიმ-ხანს“ (ჩეჩენი ყაჩაღი გუშმაზუკავი. — ი.მ.), რომელმაც, როცა სახსრები შემოაკლდა, ყაჩაღობა დაიწყო. „მთელი ჯარი, პოლიცია ფეხზე დააფენეს მის დასაჭრად, მაგრამ ამაღლ სასწავლებრივ უქრებოდა ხელიდან მდვრნელთ. რამდენჯერმე ციხიდანაც გაიქცა“.

ზელიმ-ხანისა რა მოგახსენოთ და როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, გრიგოლ მიქელაძე ჩვეულებრივი ყაჩაღი და მკვლელი კოფილა. მამამისი, თავადი პეტრე მიქელაძე შეძლებული კაცი იყო. „კაცად გამოყვანისთვის“ სასწავლებლად შვილი პეტერბურგში გაგზავნა, სადაც იგი მაღლ მეფის ბადრაგში — კანვოიში მოხვდა. სამსახურის მოხდის შემდეგ, ჩინებულად გაუვლია ოფიცრობის

სავალდებულო გამოცდა, გადაუყვანიათ ულანების პოლები კორნეტის წოდებით და გზის ფულად ათასი რუბლიც მიუციათ.

მიქელაძე გაამწესეს ხივაში, შუა აზიაში „თევის გამოსაჩენად და ღენერლობის საშოგნელად“. მაგრამ ხივაში წასვლის ნაცვლად ის შემობლიურ კულაშში ჩავიდა, სამსახურს თავი მიანება და შინ დარჩა. სამი წლის შემდეგ მამამისი გარდაიცვალა და მოული მისი ქონება



გიორგი  
ლასხიშვილი



ზელიმ-ხან  
გუშმაზუკავი



ქართველი კანოელები და რუსი მოხელეები

ქართველი კანოელები



მემკვიდრეობით ერგო. იქამდე და შემდგომშიც გრიგოლ მიქელაძე განაგრძობდა ქუთაისში (სადაც დიდი პოტულარობით სარგებლობდა) ქეფისა და დროს ტარებას, ქუთაისური ქალების „გულთა პერიბას“, მუშტი-კრიფსა და აზარტულ თამაშებს. თუ ჩხუბში მას ღონიერი კაცის სახელი გაუვარდა, თამაშში ბედი არ სწყალობდა: სულ მუდამ წაგებაში იყო. ცოტა ხანში საკუთარი უზარმაზარი ქონება გააიზა.

ერთხელ, კულაშის მახლობლად ვიღაც ნანეიშვილი გაძარცვეს, ეჭვი მიქელაძეზე აიღეს, მაგრამ სასამართლომ იგი გაამართლა. ამასობაში კი ჩვეული ტემპით განაგრძობდა ქეფისა და აზარტულ თამაშს, თუმცა გასაყიდი აღარაფერი ჰქონდა. მის შესახებ სამი წლის განმავლობაში, ამბობენ, ნაცვარ წელიწადს ოსმალეთში იმყოფებოდათ.

დამეს სამტრედის სადგურთან რკინიგზის თხტატის ცოლი მოკლეს. რამდენიმე ახალ-გაზრდა, მათ შორის მიქელაძეც დააპატიმრეს. ყველამ ადვოკატი იშვა, მიქელაძის გარდა, რადგან უფულოდ იყო დარჩენილი. მას მიუ-საჯეს კატორდა და გადააგზავნეს მეტების სა-პყრობილები. გზაში მატარებლიდან გადახტა და აჯამეთის ტყეს შეაფარა თავი. უშედეგოდ ეძებდნენ სამი წლის განმავლობაში, ამბობენ, ნაცვარ წელიწადს ოსმალეთში იმყოფებოდათ.


ამ წლის განმავლობაში მიქელაძეს ბევრი ძალის მისამართის დაბრალდა: 1877 წელს სენაკის მაზრაში, აბაშასთან, გაძარცვეს ვაჭრები. გაზეთი „დროება“ (1880, №124) წერდა, რომ ორი ცხენოსანი მიუახლოვდა ვაჭრებს, „დაპკიფლეს, იშმველებ ერთმა ხმალი და მეორემ რეგოლევერი და გულ-და-გულის იერიშით ეგბერენ ზარ-დაცემულთ ვაჭრებს და მხლებელს. აუზა კებმა ცხენიდამ გადააგდეს ურია და ერთხელ ხმლის ყუა დაარტყეს კი-სერში, ფადავას კი ხელი არ ახლეს, მხოლოდ ცხენი მოუკლეს. მისდგენ მხოლოდ სტეფანე გულაგას, რომელსაც ახალუხის უბეში ჩაე-რიცხული ჰქონდა 4.000 (ვითომც) რუბლი. ეს უკანასკნელი ნაკუწ-ნაკუწად ააგეს თუ ხმლით, თუ რევოლვერით, ააჭრეს ფულიანი უბეები. დასჭრეს აგრეთვე მოკლულის მდა პავლე გულფა და შემდეგ გაპერუცხლება“.

ცხელ კვალზე ხელისუფლებამ მიქელაძეს მიაგნო: ის კულაშში ერთი ლამაზმანის სახლში იმაღლებოდა. სახლს ორმოცმა შეიარაღებულმა მხედარმა შემოარტყა ალყა და ცეცხლი გაუხსნა. „კეკლუც არსების ალერსით ღონე მიხდილი მიქელაძე პერან-გამარა, ცალ ხელში სატკერით და მეორეში რევოლვერით გამოვარდება კარში, მაგრამ იმავ „კეკლუცის“(?) თხოვნით იარაღს პსდებს და პნებლება“ (იხილეთ გაზეთი „დროება“, 1880, №№122, 123, 124, №128, 129). გამოძიება მას დაუმორჩილებლობასა და იარაღის ხმარება-საც აბრალებდა — რამდენჯერმე გაასროლა, თუმცა საბოლოოდ ამ საქმეში რაღაც მანქანებით გმართლდა, მაგრამ ციხეს, როგორც ჩანს, თავი მაინც ვერ დააღწია. „ქუთაისის ციხეში ჩემი ყოფნის დროს, — წერდა გიორგი ლასხიშვილი, — იგი უკვე მოხუცებული და დავრდომილი იყო. უკადმყოფობის გამო კარტორდაშიც არ გზავნიდენ, რომელიც კარგა ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა მას“.

## ირაკლი მახარაძე



# კლასიკურსები მნიშვერისთვის



ის, რძსაც არ ეღოღით!

აღექსანდრე ღიულია ~ დიდი ფანტაზიორი  
და ოთხი დაუვიწყობი ბლაპრი ბავშვებისთვის!



ლევ ტოლსტოი, ვირჯინია ვულფი,  
ჭეკ ლონდონი, უილიამ ფოლკნერი,  
ოსკარ უაილდი, ტოლკინი...

თვეში ერთხელ „პეირის პალიტრასთან“ ერთად

იკითხეთ ნიჩნის მაღაზიასა და პრესის გავრცელებას წარტილები

ან დარეკა ნომრებზე: 0(32)2382673; 0(32)2382674

და [www.elva.ge](http://www.elva.ge) თქვენის სასაჩველ აღზილზე მოახსინეთ



# როგორ წარმოადგინათ საქართველოს დროშა 1917 წლის გაზაფხულზე

ეროვნული აღამი  
საქართველოს  
დამოუკიდებლობის  
კომიტეტის მემკონი  
თვალსაზრისით



საქართველოს, ისევე როგორც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აუცილებელ ატრიბუტს სახელმწიფო სიმბოლიკა წარმოადგენს. სახელმწიფო სიმბოლიკაში შემავალ ცალქულ ატრიბუტზე, კრიძოდ, დროშაზე, გერბზე, ფერზე ნიშანსა და ჯილდოზე აღბეჭდილი წარწერები და გმოსახულებანი უაღრესად საყურადღებო ინფორმაციას შეიცავენ თანადროული ეპოქის შესახებ.

ქვეყნის სახელმწიფო სიმბოლიკაში უპირველესად სახელმწიფო დროშა მოაზრება.

ტერმინი „დროშა“ ძველ ირანულ (ავესტურ) ენაზე „სინათლეს“, „ნათელს“, „თვალსაჩინოს“ ნიშანებია. მისი სინონიმებია ასევე ქართულ ენაში დამკვიდრებული არაბული წარმომავლობის ტერმინი „ალამი“ და ოურქულენოვანი „ბაირალი“.

დროშა წარმოადგენს ერთი ან სხვადასხვა ფერის მქონე განსაზღვრული ზომის ქსოვილის ნაჭერს, რომლის ცალი მხარე ხის ტარზეა დამაგრებული. მასზე ტრადიციულად გამოსახუდნენ რაიმე ემბლემას — სახელმწიფოს, ჯარის, კორპორაციის ან საჯულტო სიმბოლოს.

დროშებს შეიძლება ისტორიის მეცნიერების ერთ-ერთი, საგანგებო დამხმარე დარგი — ვექსილოლოგია. მისი სახელწოდება მოძღვინარებს ლათინური ტერმინიდან — Vexillum („ვექსილუმ“), რომელიც ქწოდებოდა რომაელთა სამხედრო ნაწილების, ძირითადად კი — ცხენოსანი რაზმის დროშას.

ტერმინ „ვექსილოლოგი“ ეკვივალენტურ ქართულ შესატყვისად შესაძლოა ჩაითვალოს — „დროშათმცოდნეობა“.

ქართული დროშების ისტორია ისეთივე

ქველია, როგორიც თვით ქართველი ერის ისტორია, რომელიც სათავეს ათასწლეულთა სიღრმიდან იღებს.

საქართველოში დროშების მეცნიერული შესწავლა გასული საუკუნის შუა ხანებიდან დაიწყო მეცნიერების დამსახურებულმა

თამარ მეფის  
თრდები



მოღვაწემ, ხელოვნებათმცოდნების დოქტორმა სარა ვასილის ასულმა ბარნაგველმა (1902-1984), რომელიც წიგნის „ქართული დროშები“ (თბილისი, 1953) შესავალში წერდა: „დროშები მატერიალური კულტურის იმ საყურადღებო საგანთ წარმოადგენენ, რომელთა როლი უძველეს დროიდან ჩვენს დრომდე ცოცხალია. დროშის მნიშვნელობა ძველ საქართველოში ძალიან დიდი და მრავალგვარია: იგი არის ძალაუფლების გამომხატველი, სამხედრო საქმეში ჯარის ნაწილებისა და სარდლების განმასხვავებელი ნიშანი, აგრეთვე, სხვა სპეციფიკურ საბრძოლო დანიშნულებათა მქონეც; ამას გარდა, ზეიმთა მონაწილეა და სკულტო საგანიც“.

ვფიქრობთ, საყურადღებოა, როგორ წარმოედგინა ქართველი საზოგადოების ერთ ნაწილს საქართველოს დროშა რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ, — 1917 წლის გაზაფხულზე, კრიძოდ, მანამდე, სანამ ეროვნული ალმის სტატუსს სამთეროვანი დროშა შეიძებდა. ამის თაობაზე ქვემოთ მოგითხოვთ.

აქვე უნდა ითქვას, რომ აღნაშნულ საკითხეებურადღება აქამდე არავის გაუმახვილება.

\* \* \*

1914 წელს, თბილისის სათავადაზნაურო გიმაზიის მასწავლებლის პეტრე სურგულაძის მესვეურობით, შეეიცარის ქალაქ უენევაში ჩამოყალიბდა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ (იგივე — „დამჭირი“), რომელშიც გაერთიანდნენ: მქები ლეო და გიორგი კრესელიძეები, გიორგი მაჩაბელი, მიხეილ წერეთელი, ნესტორ მაღალაშვილი, შალვა გარდიძე, მელიტონ ქარცევაძე, ზია-ბეგ აბაშიძე და სხვები.

I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი ბერლინში გადავიდა და მჭიდრო კავშირი დაამყარა გერმანიის იმპერიის მმართველ წრებთან. მათვე დახმარებით, დამოუკიდებლობის კომიტეტმა ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე, კრიძოდ, ჭანეთში (იგივე ლაზეთი) ჩამოაყალიბა საჯარისო შენაურთი „ქართული ლეგიონი“.

სწორედ გერმანიის მხარეზე მებრძოლი დამჭირისა და ქართული ლეგიონის ისტორიას უკავშირდება პირველი ქართული ორდენის — თამარ მეფის ორდენის დაწესება და არსებობა. ამ წარჩინების ნიშნის კავალერთა შორის არიან როგორც გერმანელები, ასევე




გერმანიის იმპერიის სახელმწიფო დროშა 1919 წლამდე



საქართველოს პირველი რესუბლიერის სახელმწიფო დროშა (1918-1921 წწ.), შექმნილი გერმანიის საიმპერიო დროშის მიბაძვით



გერმანიის ფედერაციული რესუბლიერის სახელმწიფო დროშამ შექმნილი დროშის მიმდევად მასზე დარჩა ტრადიციული შეფერი და წითელი ზოლები, ხოლო ფირრი ფერი კვათულმა ჩანაცვლა



საქართველოს თანამედროვე სახელმწიფო დროშა

კონსტანტინოპოლის, | შეის | 1917 წ.



Monsieur le Comte F. W. Schulenburg  
Chambellan de S. A. R. le Duc de Brunswick  
Capitaine au 1<sup>er</sup> R<sup>e</sup> d'artillerie de la Garde Impériale  
Commandant de la Légion géorgienne

გიასულინებლად იმ მფირფასი სამსახურისა, რომელიც თქმის  
მივიძეთ ჩემ სამსახური, გვისას ჰატიფი მოგაწოდოთ სამსა-  
ხური ნიშანი ქართველთა ლეგიონისა.

ნიშანი უნდა იტარებოდეს მარცხენა მეტრზე ქვემოდან.

ქართველთა კომიტეტის

თავმჯდომარე  
წმიდანი  
M. ქართველი  
გ. ა. სამარა  
I. მარა



საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიის ხელმძღვანელი კომიტეტის მიერ გაცემული სიგელი ქართული  
ლეგიონის საპატიო ნიშანი ფრიდრიხ ვერნერ ფონ დერ შულენბურგის დაჯილდოვას შესახებ. ხელს აქვრენ  
ქართველთა კომიტეტის თვალმარჯ პეტრ სურგულაძე და წვერები (1917 წლის 1 მაისი, კონსტანტინოპოლი)

ქართველები. აქედან გამომდინარე, თამარის ორდენი, არსებითად, გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ჯილდოა. ამ ორდენის კავალერი შეიძლებოდა გამხდარიყო ისიც, ვინც არ შედიოდა ლეგიონში, მაგრამ რაიმე სერიოზულ სამსახურს გაუწვდა გერმანულ-ქართულ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსს. ასეთია შორის იყვნენ როგორც ქართველები, ასევე გერმანელები (აღნიშნული საკითხი მონოგრაფიულად გვაქვს შესწავლილი წიგნში „თამარ მეფის ორდენი / გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ისტორიიდან“, თბილისი, 1998).

ვიზიქომთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, როგორ წარმოედგინათ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებს ეროვნული დროშა სახელმწიფო ბრიობის აღდგენის შემდეგ.

როგორც ცნობილია, მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის მიერ შექმნილი სამფეროვანი (შავი, თური და შინდისფერი) დროშა, რომელიც გერმანიის იმპერიის სახელმწიფო დროშის მსგავსი იყო (იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელს სამფერო ფერი ბოლომდე გასდევდა), 1917 წლის 19 ნოემბერს აფრიალდა, როცა თბილისში საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველი ყრილობა გაიხსნა. ამ ყრილობის მონაწილეებს მკრდს სწორედ ასეთი ფერის ბაფთები უშევენებდათ.

ეს დროშა, სულ რამდენიმე თვის შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო დროშად იქცა.

საგულისხმოა, რომ შემორჩენილია ოფიციალური დოკუმენტი, გაცემული ზემოხსენებულ თარიღამდე ნახევარი წლით ადრე, საიდანაც ირკვევა, თუ როგორ ჰქონდათ წარმოღვენილი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო დროშა.

1917 წლის 1-ლი მაისით დათარიღებული ამ საბუთით დგინდება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თამარ მეფის ორდენით დაუჯილდოებია გრაფი ფრიდრიხ-ვერნერ ფონ დერ შულენბურგი (1875-1944), რომელიც I მსოფლიო ომამდე იყო გერმანიის იმპერიის კონსული თბილიში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მოგვიანებით, გრაფი შულენბურგი მსახურობდა გერმანიის ელჩად სსრ კავშირში (გერმანია-სსრების ომის დაწყებამდე). „ანტისახელმწიფო ბრივ შეთქმულე-

ბასა“ და 1944 წლის 20 ივნისს, გერმანიის (პრუსიის) ქალაქ რასტენბურგში, ე.წ. მგლის ბუნაგში, კანცლერ ადოლფ ჰიტლერზე (1889-1945) განხორციელებულ აფეთქებაში მონაწილეობის ბრალდებით, გრაფი შულენბურგი დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს.

ომალეთის იმპერიის დედაქალაქ ისტანბულში გაცემულ დოკუმენტს, რომელზედაც მითითებულია ამ ქალაქის ისტორიული დასახელება — კონსტანტინოპოლი, ხელს წერენ დამკომის თავიჯდომარე პეტრე სურგულაძე და წევრები: ზია-ბეგ აბაშიძე (მემებეგ-ბეგ აბაშიძის ბიძაშვილი), ო. ქარცვაძე და მ. მაღალაშვილი.

საბუთში ვკითხულობთ: „მოსაგონებლად იმ ძეირფასი სამსახურისა, რომელიც თქვენ მიგიძვით ჩვენ საქმეში, გვაქვს პატივი მოგაწოდოთ სამახსოვრო ნიშანი ქართველთა ლეგიონისა. ნიშანი უნდა იტარებოდეს მარცხნა მკერდზე ქვემოდან“.

დაჯილდოების დამადასტურებელ ამ სიგელს, ქვედა მარცხნა მხარეს აქვს დასტური მრგვალი, ლურჯი ფერის ბეჭედი შემდეგი წარწერით: „დამოუკიდებელ საქართველოს კარტის ხელმძღვანელი კომიტეტი“.

საბუთზე, ტექსტის ზემოთ, ცენტრში გამოსახულია თამარ მეფის ორდენი, რომლის




ფრიდრიხ  
შულენ  
ფრედ  
შულენბურგი  
და მისი  
ფრანგულ-  
გრიგორი  
სავაზიტო  
ბარათი. ის  
დაბატონილია  
მაშინ, როცა  
შულენბურგი  
რუსეთს  
იმპერიის  
საგუბერნიო  
ქალაქ  
თბილისში  
გერმანიის  
კონსულად  
მსახურობდა

COMTE F. W. SCHULENBURG

Chambellan de S. A. Le Duc de Brunswick  
Consul de L'Empire Allemand

r. Pasquiewitch 14.

Tiflis.



ქართული ღვეობისა საქატიო ნიშნით გერმანელი ოფციოს დაჯილდოების დამადასტურებელი სიგელი, გაცემული „საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიის უცხოეთში მოქმედი კომიტეტის“ მიერ წინა წელს გაცემული სიგლებისგან განსხვავდით, მასშე დროისის გამოსახულება აღარ გვხვდება

ორივე ქხრიდან აღმართულია დროშა — წი-  
თელი (შინდისფერი) და შავი ჰორიზონტული  
ზოლებით. ასეთივე ფრინის ლენტი (ბაფთა) მო-  
ლიახად აქვს გარს შემოკლებული დაჯილდო-  
ბის დამატასტურებელ აღნიშნულ სიგელს.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, რატომ იყო  
აღნიშვნულ დროშაზე მანცდამანც წითელი  
(შინდისსავერი) და შავი ფერები?

შოთა რეზოსაცელის გენიალურ ქმნილებაში „ვეფხისტეულის“ რომელიც გარკვეულწილად ასახავს ქართულ სინამდვილესაც, ვაკითხულობის:

„ავმართე დოკტა მეფისა,  
ალმითა წითელ-შავითა“.

პროფესორები აპოლონ სილაგაძე და  
გოჩა ჯაფარიძე 20 წლის წინ გამოცემულ  
თავიანთ ბროშურაში, რომელსაც სათაურად  
აქვს „ვეფხისტყაოსნიდან“ ამოღებული ზე-  
მოხსენებული სიტყვები, წერდნენ: „დღოშები  
ფერთა ასეთი შეხამებით არ არსებობდა ჩვენს  
მეზობელ არც ისლამურ სამყაროში, არც  
ბიზანტიაში. ამჯერად არა აქვთ პრინციპული

მნიშვნელობა, მოტანილი სტრიქონი რუს-  
თველურია, თუ ჩანამატი, — ორსავე შემთხ-  
ვევაში საქართველოში არსებობდა ტრადიცია,  
რომ შავი ფერი ალამზე, წითლის გვერდით,  
სულაც არ არის არაჩვეულებრივი და მიუ-  
ღებელი“ (იხ.: აპოლონ სილაგაძე, გოჩა  
ჯაფარიძე, „ავმართ დროშა მეფისა, ალმითა  
წითელ-შავითა“, თბილისი, 1999, გვერდი 30).

გამომდინარე კოველივე ზემოთქმულიდან,  
უნდა ვიყარაულოთ, რომ საქართველოს დამოუ-  
კიდაბლობის კომიტეტის წევრებს, როგორც  
ქართველ მამულიშვილებს და განათლებულ  
ადამიანებს, აღნიშნული ფერები შემთხვევით  
არ შეურჩევიათ ღროშისთვის, რომელსაც,  
როგორც ჩანს, ისინი მოიაზრებდნენ საქართვე-  
ლოს მომავალ სახელმწიფო დროშად.

რასაკვირველია, ასეთი დროშა ბევრად  
უფრო ტრადიციული და შესაფერისი იქნებოდა  
საქართველოსთვის, ვიდრე სამფეროვანი ალა-  
მი, რომელიც 1918 წელს იქცა პირველი ქარ-  
თული რესპუბლიკის სახელმწიფო დროშად.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ჩანს,  
დაჯილდოების სიგელებს, მსგავსი გაფორ-  
მებით, საქართველოს დამოუკიდებლობის  
კომიტეტი მოგვიანებით აღარ გასცემდა.  
კერძოდ, დამკაიმის მიერ 1918 წელს გაცემულ  
სიგელებზე დროშის გამოსახულება საერთოდ  
აღარ გახვდება.

სავარაუდოდ, საქართველოს დამოუკი-  
დებლობის კომიტეტმა ანგარიში გაუწია იმ  
ფაქტს, რომ სამფეროვანმა ღროშამ იმხანად  
უკვე ოფიციალურად მიიღო საქართველოს  
დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო  
ოროშის სტატუსი.

ამრიგად, ზემოთ განხილული დოკუმენტური მასალიდან ნათელი ხდება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებს, რომელებიც ქართული სახელმწიფო ობიექტების აღდღენას I მსოფლიო ომის პერიოდში გერმანიის იმპერიის მხარდაჭერით ცდილობდნენ (რაც 1918 წლის 26 მაისს რეალობად იქცა), ჩევნი სამშობლოს დროშად წარმოედგინათ ალამი — წითელი (შინდის-ფერი) და შავი ჰორიზონტული ზოლებით. ეს კი საკუთრივი და ნათლად ქმნიანება შოთა რუსთაველის „ვეფხისტეფაოსანში“ დაცულ ზემოხსენებულ უაღრესად საყურადღებო ისტორიულ ცნობებას.

ମୋଡ଼ୁଲ୍ସ ଅନୁଷ୍ଠାନିକ ପରୀକ୍ଷାରେ

ଓক্টোবৰীয়ে মুসলিমদের কাছে ফেনোফোবি

# ქართველთა თავსაპურავი სამოსელი ბ30რბ30ნ0

ქართველ მეფეთა შესამოსელში  
ოდითგანვე განსაკუთრებული  
მნიშვნელობა პქონდა სამეფო  
გვირგვინს, რომელიც მონარქის სამოსში  
გამორჩეულ აღგიღს იყავებდა. ეს  
საკითხი არაერთი ქართველი მკლვერის  
ინტერესის საგანი გამზღარა, თუმცა  
ამ თემას განსაკუთრებული ყურადღება  
აკადემიკოსმა ფანე ჯავახიშვილმა  
დაუთმო, აგრეთვე პროფესორმა ჯაბა  
სამუშაომ.



ივანე ჯავახიშვილმა საკითხის ძირითადი  
მიმოხილვა შეასრულა, კვლევისას ხშირ  
შემთხვევაში განსაზღვრა გვირგვინების უორ-  
მები, პარალელები გაავლო და შექმო გენეზი-  
სის ოქმასაც. ჯაბა სამუშაო კი შეისწავლა  
გვირგვინის როლი და მნიშვნელობა მეფეთა  
ინსიგნიებში და კრისტოფორო დე კასტელის  
ალბომის ნახატების მიხედვით, ოთხი მათგანი  
აღადგინა და დაახასიათა.

საქართველოს ხელოვნების სასახლე ამ-  
ჟამად ახორციელებს პროექტს „ქართველთა  
თავსაბურავი“, რომლის მიზანია თემის კომ-  
პლექსური შესწავლა, აგრეთვე ქართველთა  
თავსაბურავის (მათ შორის, გვირგვინების) განვითარების ეტაპების, განეზისის, მნიშვნე-  
ლობისა და რაობის სრულად განსაზღვრა.  
როგორც პროექტ „ქსოვილი საქართველო-  
დან“ პირველი ეტაპის შემთხვევაში, აქაც  
ამ საკითხის შესასწავლად ორიგინალური  
მეთოდი გამოვიყინეთ. შემოქმედებითი ჯგუ-  
ფის წევრებმა საქართველოს თითქმის ყველა  
მნიშვნელოვანი ეკლესია-მონასტრიდან გად-  
მოიხატეს ისტორიულ პირთა როგორც გვირ-  
გვინები, ისე სხვა ფორმის თავსაბურავები.  
მოხდა ამ ყველაფრის შედარება სხვა ტიპის  
ვიზუალურ მასალასთან (მინიატურები, გრა-  
ვიურები, ესკიზები და სხვ.), ქრონოლოგიური



(ცემით) ბაგრატ III-ის ფრუსკის ერთ-ერთ  
შემორჩენილ გამოსახულება. (ქვემოთ) ამ აღგიღას  
ბაგრატ III-ის ფრუსკასთან ერთად გამოსახული იყო  
უცნობი პირის ფრუსკა წარწერით. დღეს ეს მხოლოდ  
მცირე ფრაგმენტია დარჩენილი



**Σαμοθράκη** παρατείνεται στην οποία τοποθετείται η θέση της Αγοράς των Ελλήνων, όπου οι Έλληνες από την Καστοριά μέχρι την Καρδίτσα έφεραν τα προϊόντα της γης τους. Η θέση της Αγοράς των Ελλήνων είναι στην περιοχή της Αγοράς των Ελλήνων, όπου οι Έλληνες από την Καστοριά μέχρι την Καρδίτσα έφεραν τα προϊόντα της γης τους.




დახარისხება და მიმდინარეობს პუბლიკაციის მომზადება. ეს ერთგვარი წნციელობებია სათანადო განმარტებებით თუ სამეცნიერო ტექსტებთან ერთად კარგად გვიჩვენებს, როგორ ვითარდებოდა და იცვლიდა ფორმებს საქართველოში თავსაბურავი, განიცდიდა სხვადასხვა ცოდნიზაციის გავლენას, თუმცა ორიგინალურობის მუდმივად ინარჩუნებდა.

დღე მისი ტარება. „წესი და განვეპი მეფის კურთხევისაში“ საგანგებოდ არის მითითებული, რომ „ხოლო ყოველთა დღეთა სამ დღე-მდის მეფე ტახტს ზედა ჯდეა ჯვირგვინითა და პორფირითა“. როგორც ისტორიკოსი ჯაბა სამუშა აღნიშნავს, ვინაიდან „წესი და განვეპია“ მეფეს ავლდებულებს, სამი დღე სამეფო რეგალიებით წარმდგარიყო საზოგადოების

შეუა საუკუნების ქართული წერილობითი წყაროების, მონეტების, ოქრომჭვდლობის ნიმუშებისა და განსაკუთრებით, ფრესკული მხატვრობის საშუალებით შესაძლებელი ხდება, დეტალურად აღვადგინოთ როგორც ქართველ მეფე-დედოფალთა გვირგვინები, ისე საერთოდ ჩვენში გაფრცელებული თავ-საბორივები.

ქართული ისტორიული წყაროებიდან  
ირკვევა, რომ გვირგვინს, როგორც მეფის  
რეგალიას, სამეფო კარზე დიდი მოწინებით  
ექვემდებარდნენ. აუცილებელი არ იყო ყოველ-

ბაგრატ IV-ის გვირგვინი გელათის ფრესკიდან



დღე მისი ტარება . ,წესი და განგება მეფის კურთხევისაში “ საგანგებოდ არის მითითებული, რომ „ხოლო ყოველთა დღეთა სამ დღე-მდის მეფე ტახტსა ზედა ჯდეს გვირგვინთა და პორტირითა ” . როგორც ისტორიკოსი ჯაბა საქუშა აღნიშნავს, ვინაიდნან „ წესი და განგება ” მეფეს ყალღებულებს, სამი დღე საქვეო რეგალიებით წარმდგარიყო საზოგადოების წინაშე, ეს გვაფიქრებინებს, რომ სხვა დროს ამის აუცილებლობა არ იყო.

გვირგვინით გამოდიოდა მეცე ოფიციალურ შტატებრებსა და სამეცო დარბაზობისას, სხვა დროს კი მონარქს შეეძლო ქუდი და ქურა. სამეცო კარზე შეასტულ თითოეულ გვირგვინს თავისი სადგამი ჰქონდა. რუსი ელჩების, ნიკიფორე ტოლოზანვისა და ალექსი ივალევის „მუხლობრივ აღწერილობაში“ საგანგებოდ არის მითითებული, რომ იმერთის მეცესთან შეხვედრის შემდეგ გამართულ წევულებაზე „ალექსანდრე მეფებ გვირგვინი მოიხადა და იქვე მოიტანეს ვერცხლის დაბალუქებიანი შვი ხავერდით გაწყობილი გვირგვინის დასადგომი, ხავერდს ოქრო ჰქონდა გარს შემოულებული და მასზე დააბრძანეს გვირგვინის „

გვირგვინები, რომლებიც წინა მეუკებს ეკუთხნოდა, სასახლეში ან ტაძარში ინახებოდა. იძრებოს მეუკეთა გვირგვინები გელათში, მთავარი ტაძრის საკურთხეველში მოწყობილ კარადაში იყო მოთვესტებული. რუსი ელჩები მოვგითხრობენ: „ამ საყდარში საკურთხევლის მარჯვენა მხარეს სალაროს (ხაზინის) შესანახი კიდობანია, სიღრძე-სიგანე და სიმაღლე თითო საქმინი აქვს, ამ კიდობანში მოთავსებუ-

ლი გვირგვინები, ჯვრები, ძვირფასი ქვებით არის შემკული. უოლოსფერი იაგუნდით, ალ-მასის ჟიუმატებით ერთ გვირგვინს სამ წევებად აქვს მარგალიტის მწკრივი გარს შემოყოლებული, სამ ადგილას უოლოსფერი იაგუნდი და წახნაგოვანი ზურმუხტებია ჩამტელი“.

შემორჩენილია ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის (975-1014) გამოსახულება ბედიის ტაძარში. ვხედავთ მის გვირგვინსაც. ხელმწიფეს თაგზე მაღალი, თაღის ფორმის ოქროს გვირგვინი პატურვს. გვირგვინზე პორიზონტალურად ოთხი წევება ძვირფასი თვლების რიგია ჩალაგებული. ქვემოთ წითელ, საყრაუდოდ, ლალის თვლებს ვხედავთ, აქვე უნდა იყოს დიდი ზომის ფირუზები ან საფირონები და სამკუთხა ფორმის ლალები. გველა თვალზე ცხადად მოჩანს თეთრი ფერის საჭიდურები, რაც გვაფიქრებინებს, რომ ძვირფასი და კეთილშობილი თვლები ვერცხლის ბუდეებში იყო ჩამტელი. გვირგვინის ორივე შხარეს ჩამოყიდებულია ვერცხლის ტოტები, მათ ივანე ჯავახიშვილი „ვერეთ წილებულ პიდვესკი“-ს უწოდებდა. ტოტები წარმოადგენს თავის სებურ ვერტიკალურ ძეგვს, რომელიც ბაგრატის გვირგვინის შემთხვევაში ხუთ-ხუთი ოთხეუთხედი და ოვალური ფორმის ლალის თვლისგან იყო შექმნილი. ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის გვირგვინში რომ წითელი, ანუ ლალის თვლების ასეთ სიუხვეს ვხედავთ, ბუნებრივია, ამ ქვის პოპულარობაზე მიუთითებს.

ძველ ინდოეთში, სანსკრინიტში, ლალს rat-naraj-ი ჰქვია, რაც ქართულად „ქვების მეფეს“ ნიშნავს. გამჭვირეალე წითელი ფერის ლალი ისტორიულად ძირითადად აღმოსავლეთის ქვეებიდან შემოქმნდათ. მისი სახელიც არაბულ-სპარსული წარმოშობისაა, ხოლო ევროპულ ქვეებში რუბინი ქწოდება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძვირფასი ქვა ძნელი საშონელი იყო, ლალის თვლებით ქართული ოქროძჭვედლობის არაერთი ნიმუშია შემკული. ლალის გამოყენება საქართველოში გაიზარდა შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით საეკლესიო ნივთებში. ქართულ მწერლობაში ლალი იქცა ბრწყინვალე წითელი ფერისა და სილამაზის სიმბოლოდ. ღვინოც კი ქართველს ლალისთვის შეუდარებია.

ქართველ მეფეთა თავსაბურავების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, დიდი



**ზემო კრიხის  
მთავრანგელოზის  
გვლესის  
ქუთამურების,  
გაჩანგბას სამი  
თაოქშის ერთნაირი  
ფორმის ქუდი  
ახურავთ**





(ზემოთ) სუმბატ აშოტის ძის თავსაბურავი, XI  
საუკუნის II ნახვარი. (ქვემოთ) ატენის სიონი



ზემო ქრისტის მთავარანგელოზის ეკლესიის ფრესკა



მნიშვნელობა ენიჭება ბაგრატის შვილის, მეფე გიორგი I-ის გამოსახულებას, რომელიც შემორჩენილია ესპანეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ ხელნაწერში, ე.წ. მადრიდის სკილიცეში. აქ ქართველთა ხელმწიფე ბიზანტიის იმპერატორ ბასილი II-ისგან დამარცხებული გარდის, ოუმცა ჩვენს შემთხვევაში საინტერესოა ორი მონარქის თავსაბურავი. თუ ბასილს თავზე მაღალი, თუთოი მარგალიტებით დამშვენებული ოქროს გვირგვინი ახურავს, გიორგი უგვირგვნოა, ის ერთგვარ ქუდშია წარმოდგენილი. ასეთ თავსაბურავებს პარალელები იმავე ეპოქის ფრესკებზე შეგვიძლია მოუწებნოთ. კერძოდ, ზემო კრისტის მთავარანგელოზის ეკლესიის ქტიიტორების, გაჩინების შესანიშნავ ფრესკებზე. წარმოსადეგ მამაკაცებს აქ სამი თითქმის ერთნაირი ფორმის ქუდი ახურავთ. ქუდებიდან ორს ცილინდრული მუზარადის, მესამეს კი შეისრული თაღის ფორმა აქვს. ყველა ქუდი დეკორატიული ელემენტით, თავისებური შპილით სრულდება. მათზე არ-სებული ორნამენტები გვაფიქრებინებს, რომ ქუდების კორპუსი ძირითადად ქსოვილით ან ტყვაით იყო დაფარული. მათ ასევე ამკობდენ ბეწვით. საქართველოში სიასამურის, კვერნის, სინჯაფის (თრითინა), კურდღლის ბეწვით გაწყობილი (დაბეწვილი) ქსოვილი გამოიყენებოდა. X საუკუნის ნიკორწმინდის სიგელში იხსენიება მელიის ბეწვით შემქული ქსოვილიც. იყო საკმაოდ ძვირფასად ითვლებოდა და საფასურადაც ერთი ყანა ყოფილა განსახლვული.

ამ ქუდების შეფერილობამ არ შეიძლება არ გაგვასენოს ისტორიკოს ვესტათი თე-სალონიკელის ერთ-ერთი სამეცნიერო ნაშრომი, სადაც ახსენებს „იბერიულ ყაიდაზე შეკერილ კვამლისფერ ქუდს“, რომელიც დამზადებულია სახიანი ნაკეცებითა და ქობით. ეს ქუდი ქურა ბიზანტიელ წარჩინებულ დავით კომნენოს. სხვათა შორის, ამ აგტორისვე ცნობით ირკვევა, რომ ქუდს სიმბოლური დანიშნულება ჰქონია. კერძოდ, ქუდის კვამლისფერი აღიქმება, როგორც კომნენოსის განზრახვა, კვამლში გაქვია ყველა მოწინააღმდეგე, ვინც მის ძალაუფლებას არ დამორჩილდებოდა. თავსაბურავის სიმბოლური დატვირთვა მიღებული იყო როგორც ძველი აღმოსავლეთის, ისე დასავლეთ ევროპის ხალხებში. ქუდი ხომ უძველესი

დღოიდან ითვლებოდა ადამიანის თანამდებობის, მდგომარეობისა და ღირსების ნიშანად.

ბიზანტიურ მემატიანესთან, იოანე სკილიოცესთან მოღწეული გიორგი I-ის გამოსახულება გარკვეულწილად ქმიანება ვახუშტი ბატონიშვილის ერთ ცნობას: „პირველ, ერთმეულობასა შინა, სცმიათ სხუაგუარ: თავს ქუდი გრძელი, რომლის კუნჭული ბეჭა ზედა მცემელი და გრძელ-ბეჭოსანი“ იყო. სკილიოცეს მინიატურას თუ კარგად დაფაკვირდებით, დავინაზავთ, რომ გიორგის თავსაბურავიც უკანა მხრიდან გრძელია და ის მეფეს ბეჭება მცდე ჩამოსდის.

მაღრილის სკილიცეში გიორგი I-ის გამოსახულების თავსაბურავს ფორმის მხრივ პარალელი ატენის სიონშიც შეგვიძლია მოუქმებით. აქ XI საუკუნის II ნახვრის მოღვაწე სუმბატ აშოტის ძეს ძალიან საინტერესო თავსაბურავი ახურავს. პირველი ეფექტით ის შესაძლოა ორნამენტით გაფორმებული ქსოვილის ქუდად მივიჩნიოთ, თუმცა დაკვირვებით აღმოვაჩნთ, რომ ის ქუდის მსგავსი გვირგვინია, უფრო სწორად, ისეთივე ბიზანტიური ტიპის გვირგვინი, რომელიც უნგრეთის ხელმწიფე წმინდა იმტვანს ქურა. ეს რელიგია, როგორც მეცნიერები ვარაუდობს, 1070-იან წლებში ბიზანტიაში დამზადდა და იმპერატორმა მიხეილ VII დუკამ (1050-1090) უნგრეთის მეფეს გეზა I-ს (1040-1077) აჩუქა. თუ გვირგვინს ზემოდან დავხედავთ, დავინაზავთ, რომ ის ემალით გაფორმებულ მრგვალ

სალტეს წარმოადგენს და ოქროს ფირფიტები გადაჯგარედინებულად ახურავს. სუმბატის გვირგვინი, მართალია, წმინდა იშტვანისას ფორმით ძალიან ჰგავს, თუმცა გაფორმების მანერითა და სიმდიდრით საგრძნობლად ჩამორჩება, აქ ვერ ვხედავთ ე.წ. ტოტებს, ემალის მწირი ორნამენტი კი მხოლოდ გვირგვინის ქვედა ნაწილშია წარმოდგენილი.

ამავე ეპოქისთვის მეტად საყურადღებოა მევე ბაგრატ IV-ის გვირგვინის გამოსახულება ატენის სიონიდან. მიუხედავად იმისა, რომ ფრესკა დაზიანებულია, საბოლოო ჯამში მაინც ხერხდება სამეფო ატრიბუტიკის რეკონსტრუირება. ამ შემთხვევაში ერთანი საქართველოს მესამე მეფის გვირგვინი ძალიან ჰგავს ფორმით ბაგრატ III-ისას, თუმცა დიდია განსხვავება გაფორმების სიმდიდრესა და სტილში. აქ შედარებით ნაკლები — სულ რვა ძვირფასი თვალია გამოსახული: ოთხი ლალი (ან ძრწი) და ამდენივე მოთეთრო ოპალი. ოვლები ერთმანეთის მორიგეობით ორ მწვრივად არის ჩასმული გვირგვინში, მათ შორის კი საგარაულოდ, მუქი მინანქრისა და მარგალიტების თვლების საშუალებით ოთხკუთხედი ჩარჩოებია გაკეთებული. ბაგრატ III-ის გვირგვინისგან განსხვავებით მას ტოტები არ გააჩნია.

(გაგრძელება მომდვერი ნომერში)

### გიორგი პალანდია

**ხელოუნების სასახლის დირქტორი,  
პროფესიონალი**



# რუსეთ-საქართველოს რმი არ დასრულავსალა!..



მოთხრობილი  
ამბავი ამ  
სახლში  
მოხდა...

„ერთი დაბომბილი სოფლის ამბავი“ ელექტრი საღარიძის რომანია, რომელშიც აღწერილი ამბები სამაჩაბლოს ერთ დროს ბეჭნიერ სოფელ ქსეუსზე და ქსეუსელეგზეა. რომანში მოყვანილი შიდა ქართლის ძირძველი სოფელი მართლა არსებობს, უფრო სწორად, აღარ არსებობს! — მიწასთან გაასწორა მტერმა 2008 წლის გამოუცხადებელ რუსეთ-საქართველოს ომში. რომანის გმირები, ანუ ამ სოფლის ფუძეულიდან შვილები, ჩვენ გვერდით არიან და ჩვენგან ტკიფილის გაყოფასა და თანადვომას ედიან. რომანის თითო თვი — თითო ოჯახის ტრაგედიაა, რომლებიც მოურჩენელ იარად დამჩნევაა უკვე ამ ფუძემოწყვეტილ და კურაჩამქრალ აღამიანებს და მთლიანად საქართველოს. ერთი-ერთი ამბის გმირი ქართველი გოგონა მანქეტენზე გაიცნობს ოს ბიჭს და ერთმანეთი შეუყვარდებათ მაგრამ როგორც გოგონა ამბობს, მათი სიყვარული წარმოუდგენელია, რადგანაც მათი მშობლები რუსეთ-საქართველოს ომს ერთმანეთის მტრებად უქცევაა. ამიტომაც არის სხვათათვის მნიშვნელოვანი მისა სიტყვები: „სიყვარული მხრილობ ჰეპიზრდიან ფილმებში იძარჯვებს ან სულაც იმ ზღაპრებში, რომლებითაც ბავშვობას გვიღამაზებდნენ“...

გთავაზობთ მცირე ნაწყვეტს ამ რომანიდან, რომელშიც სოფელ ქსეუსში, შოშიტაშვილების საგვარულო სახლის დაბომბების ამბავია მოთხრობილი. აქ მხოლოდ სახლებია შეცვლილი... დანარჩენი ნოველებიც რეალურ სინაძვილეს ასახავთ, თუმცა მრავალი გმირი გამოგონილია.

(მარცხნივ) ომადე ერთი წლით ადრე დღეს გადამწვარი სახლის კიბეჟე თბილისიდან ჩამოსული შვილოშვილები ამონიონენ... უფროისი, 15 წლის ნიკოლოზი ქსეუსში დარწუნებასა და ახალი სახლის აშენებას აპირებს.  
(მარჯვნივ) ეს ეზო-კარი მტერს სათავისოდ „შემოუღობაზე“



## აროლოგის მაგივრ

იმ გამთენიას ავისმომასწავლად დაღუმდა სოფელი. არავის აუნთია სინათლე, არც ბავშვი ატირებულა რომელიმე სახლში, არც შევარებულებს დასოფებიათ თავზე სოფლის ორდობეში, მამლებსაც ვერ გაუბედავთ ყოვილი...

მოელი დამე ტყვიიბი აწვიამდა აქაურობას. მოელი დამე ცივი სარდაფის კედელთან მიყუჟულს თვალი არ მოუხუჭავს მარიამს. ერთიხანობა ისეთი ცეცხლი წამოვიდა, იფიკრა, სადაცაა ცა ჩამოიმზობარ...


ერთი პირი წყალსაც ჩაეძინებაო და ტყვიის ზუტუნში ჩასთვლიმა. ნახევარი საათი თუ ებია შხოლოდ. სიჩუქრე წამოაგდო ფქბზე. რიყის ქვებიდან გამომზირალი ერთადერთი მომცრო სარგმლიდან ალიონმა შემოიხედა. შეე ჯერ არსად ჩანდა. ვინ იცის, სოფელში დარჩენილ შიშით დაზაფრულ მოხუცებთან შეხვედრას აღარც ჩქარობდა.

გუშინაც დაურევეს თბილისიდან შვილებმა და შვილიშვილებმა, რადას ელოდები, შენც წამოდი, ხომ ხედავ, მანდ თითქმის აღარავინ დარჩა, ვინ იცის, მტერს როდის რა მოუვა თავში, რამდენი ზანია შიდა ქართლის სოფლების დაბომბვით იმუქრებაო. ისიც უთხრეს, ჩვენ ტყვიას იქით აღარ გვიშვებენ, არ გეგონოს, მიგატოვეთო...

მანც გაჯიუტდა. რა დროს ომა! ოსები რახანია თავისუფლად მიმოდიან ჩვენს სოფლებში, ქართველებიც გადადიან ცხინვალში. უქვილი და საპონი იქიდან მოგაქვს, ჩვენი ხილის ერთ ნაწილს იქით ვყიდით. ჩვენი სოფლის ბაგშვებს გლანდების თუ ბრმა ნაწლავის ოპერაცია ცხინვალში გაუკეთეს, იქ ბევრად იაფი დაუჯდათ. შერიგება სხვა რაღაა, არა მგონია, ომი გაბედონო...

მაგრამ პოლიტიკოსებს, ეტყობა, სხვაგვარად აქვთ ტვინი აწყობილი. ცოტაც დაეცლიათ და ხალხი თვითონ გადაწყვეტდა თავის ბედს... შევრიგდებოდით, აბა, რას ვიზამდით ამათ კიდევ, ავტომატები ააკავანეს და ტყვიამტერქევები დაუშინეს ერთმანეთს! ამას თავისთვის ფიქრობდა, თორუებ დარდის გამზიარებელიც არავინ ჰყავდა გვერდით. მობილური ტელეფონი გუშინეუ გამოირთო, დენი აღარ ჰქონდათ სოფელში და ვეღარც ტელეფონი დამუხტა.

ნეტავ გუშინ მართლა გავყოლოდი აუტობუსს, ინანა. ხელჩანთა მოიძია. ძლიერი ვობით გახსნა, ხელები ისედაც უკანკალებდა



საუკუნებუნი ჭადრის ქვეშ მრავალი თობა გაიზარდა. ზედა ფოტო ომამდევა გადაღებული, მარც ზენა კი შარმანდელია... ჩვენ დაგრუნდებით და აღარც ეს ჭადრი იქნება მარტოსული, — ამბობენ ლტოლვილი ქსუსელები

### ნახახლარი ქსუსები



ელინგ სალარიძის წიგნის გარებანის ფოტო გადაღებულია 2008 წლის ქამოღვიაზე ერთ-ერთ ე.წ. საზღვრისპირა სოფელში გამართულ ბაგშეთა ნახატების გამოფენაზე. უტორი უცნობია და სასამოგო იქნება, თუ გამოვკვებაურება...



## ერთი ესპოზიცია სოფლის ამბავი

08.08.08



ასე იწვოდა სახლები...



იქითაც  
და აქეთაც  
ქართული  
მიწა

და ამჯერად მთლად ძალა დაკარგვოდა. სარკმლიდან შემოღწეულ მკრთალ სინათლეს მიუშვირა, ერთი კარგად დავინახო, ხომ არა-ფერი დამვიწყებიაო.

ხელჩანთაში საბუთები იდო, კიდევ — ახალ-გაზრდობის ფოტოები (გუშინ ამოარჩია ძველი ალბომიდან), ზოგიერთი ისეთი ნივთი, რაც დასატოვებლად არ ემეტებოდა. დედისეული ოქროს მძიმე ძწის მოხვდა ხელში, ძელებური ოქროსევე მედალიონით, თბილისელი ამერის წევრი ოქრომჭედლის ნახელავი. მოსახელე შეილიშვილისთვის ინახავდა საგულდაგულოდ, ისიც გუშინ ამოიღო „სამალავიდან“, ჩემს გოგოს ჯვრისწერაზე ვაჩუქქბო.


მოულოდნელად, ღმერთო მომკალიო! — წამოიძახა. მარჯვენა ხელის არათითზე ნიშნობის ბეჭედი აღარ ეკეთა. გაახსენდა, გუშინ მოიხსნა ჭურჭლის რეცხვისას. ხუთი წელიწადია, რაც ქმარი ამ სოფლის მიწას მიაბარა, ბეჭედს კი ვერა და ვერ შეელია, სულ ეკეთა. თავს შეუწირა, რაღა გუშინ მოვიხსნიო...

ქორწინების ათი წლისთავზე შეძლო მხოლოდ მისმა შშრომელმა და მოსიყვარულე ქმარმა უბრალო ოქროს რგოლის ყიდვა. ბაჯალლოს ვერ გასწვდა სამშვილიანი ოჯახის მამა. ეს ბეჭედი იმ წლების სახსოვარი იყო, როცა მიიჩნევდა, რომ მიუხედავად მძიმე შრომისა და არცუ დალწნილი ცხოვრებისა, მაინც ბედინერი იყო. კარგი შეიძლები გაზარდეს, შვილიშვილებსაც მოესწრნენ. იმ წელს, გიორგი რომ გამოეცალა ხელიდან, შეილთაშვილიც გაუჩნდათ... გუშინ კი ნიშნობის ბეჭედი მოიძრო თითოდან და კარგად არც ახსოუს, სად დადო!

ფრთხილად გამოიაღო სარდაფის კარი. მაღალ კიბეს აუყვა მეორე სართულის სკენ. ბეჭედს ვიპოვი და მერე სოფლის ბირჟაზე გავალ. ან ავტობუსი მოუკავშირდა, ან ვინმეს გავყვაბი თბილისის სკენ მიმავალსო, — როგორც იქნა, გადაწყვიტა. თან შიშობდა, წუხანდელი სროლების ამბავს რომ გაიგებენ, შვილებს შინრა გააჩერებთ, ჩემს წასაყვანად წამოვლენ და ვაითუ ფათერაგს გადაუყარონ!

კიბის ბოლო საფეხურზე რომ შედგა ფეხი, უცბად შებარბაცდა. გამაყრუებელმა გუგუნმა ყურები დაუხშო. კიდევ კარგი, მოასწრო, ორთვე ხელით კიბის სახელურს ჩაებდაუჭა... მეტი აღარაფერი ახსოუს.

გონს ტყვიავის სახელდახელო საველე ჰოსპიტალში მოეგო.



მკვდარა  
სოფელი



გერის წმინდა  
გორგის  
სასწაულმოქმედი  
გვლესია სოფელ  
გერმი, შიდა  
ქართლის  
სოფლების  
სალოცავი,  
რომელიც  
აძგამად  
ოკუპაციურ  
ტერიტორიაზე

— მოხუცი ქალია, ზურგი და მარცხენა მკლავი სულ მინის ნამსხვრევებით პქნიდა საკე. ფრთხილად გადაუხვიეთ, შეოძლება ნამსხვრევები ისევ ჰქონდეს ჩარჩნილი!.. — ქიორუგი მორიგ დაგალებას აძლევდა ახალ-გაზრდა ექთანს.

პირქვე იწვა... ჭრილობები არ აძლევდა ზურგზე დაწოლის საშუალებას.

— ბებო, ნუ გეშინია, შენს წასაყვანად ჩამოვედით!.. — უცინოდა და თან ცრემლები დაპალუბით ჩამოსდიოდა მის მოსახლე შვილიშვილს.

— მარიამ, შენ აქ რა გინდა, ბებო და-გეწმლოს!.. ისერიან, შვილო! — შიში ჩასდ-გომოდა თვალებში.

— არა, ბებო, აქ არ ისერიან... — მარიმ ჩაიჩქა და ბებოს ლომაზე აკოცა.

მარიამა თვალით რაღაცას დაუწყო ძებნა. შვილიშვილი მიუხვდა, მოზრდილი პარკიდან

ბებოს ხელჩანთა ამოილო და დაანახვა, აქ არის, მშვიდად იყავიო.

მარიამა ისევ მოისინჯა მარჯვენა ხელის არათითი. გული დასწყდა. ვერ მომისწრია ნიშნობის ბეჭდის აღებაო.

დაბომბილ სახლში დარჩა 40 წლის წინ ნაყიდი ნიშნობის ბეჭედი, ქორწინების 10 წლისთაგს საჩუქარი! გიორგი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ამ შემოღომაზე ოქროს ქორწილს გადაიხდინენ, რამდენჯერ უოცნებიათ ამაზე!

გიორგის საფლავი? ახლადა გაახსენდა და გამოუცნობმა, თვეზარდამცემმა შიშმა ერთიანად მოიცავა, — გაითუ, სასაფლაოც დაბომბეს!

ეს 8 აგვისტო იყო. რუსეთ-საქართველოს გამოუცხადებელი ომის პირველი დღე!..

### ლონი სალარი

აკტორი მადლობას უხდის თუ რაზმაძეს, ხატა ხეცურიანსა და ლუან კუდუხაშვილს ფოტომასალის მოწოდებისთვის

პატარა  
ლიახვიც  
წაგვართვეს...



# გრიგოლ წერათელი

## დიდი ელიტისტი და პაციროლობები

ადოლფ ჰიტლერი ამბობდა: „თუ გინდა მოსპო ერი, უნდა გაანადგურო მისი ინტელექტი“. მისი ღირსეული თანამოაზრე ვლადიმირ ლენინი დასძენდა: „სახელმწიფო არის ადამიანების გასრუსის მექანიზმი“. მათ კვერს უკრავდა და საუსებით ეთანხმებოდა ოსებ სტალინი: „არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა“.



გრიგოლ  
წერათელი

პროფესორ გრიგოლ ფილიმონის ძე წერათელზე (1870-1939) სტატია ამ ამონარიდებით შემთხვევით არ დაგვიწყია. მსოფლიოში აღიარებული მეცნიერის, დიდი ელინისტის, პაპიროლოგის მოქამეობრივი აღსასრული, ვფიქრობთ, ამის კიდევ ერთი ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. მისი სახით საქმე გვაქეს სტალინური ტერორის ერთ-ერთ ყველაზე დიდ უსამართლობასთან.

სტატიაზე მუშაობისას გამახსენდა ცნობილი ფრანგი ისტორიკოსის, ლუსიენ ფერის გამონათქვამი გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსის, მარკ ბლოკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით: „ყველა ადამიანური დანაკარგიდან, რომელიც საფრანგეთმა განიცადა 1940-1945 წლებში, შესაძლოა ეს იყო ყველაზე მტკფრნეული და აუნაზღაურებელი“. ეს სიტყვები ვფიქრობ, მიესადაგება გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, დიდ ელინისტსა და პაპიროლოგს, „მეცნიერების კონილშობილ რაინდს“, „სულის არისტოკრატის“, მის მოწამეობრივ აღსასრულს. „ყველა ადამიანური დანაკარგიდან, რომელიც საქართველომ განიცადა სტალინის დიდი ტერორის დროს, შესაძლოა, ეს იყო ყველაზე მკაცრი და აუნაზღაურებელი“.

დიდი ფანე ჯავახიშვილის თანამოაზრებს შორის გრიგოლ წერათელი, უდავოდ, ერთ-ერთი კოლორიტული და გამორჩეული პიროვნება იყო. ის გახლდათ ევროპული ყაიდის

მეცნიერი. XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ მეცნიერებაში დიდი იყანე ჯავახიშვილის შემდგა ფელაზე თვალსაჩინო ფიგურა, ჩვენი აზრით, სწორედ გრიგოლ ფილიმონის ძე წერათელი უნდა იყოს. მისი სახით საქმე გვაქეს ვროპაში აღიარებულ ელინისტსა და პაპიროლოგთან. ასეთ ადამიანებს გაფრთხილება უნდათ. ჩვენ კი რა ვქენით? ავიღეთ და სიცოცხლე მოუსწრაფეთ, რაც იმ უბედური ეპოქის რეგენციის ანარეკლად დარჩა.

ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მეცნიერების განუმეორებელ ტანდემს ქმნის ორი დიდ ბუბბერაზი — იყანე ჯავახიშვილი და გრიგოლ წერათელი.

დიდი ხნის გამავლობაში გრიგოლ წერათელის სახელი, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევკიური რეჟიმის ძალისხმევით, თითქმის სრულიად მიიღიწყეს. ამგვარი ინდიფერენტული მიღორება, ცხადია, შემთხვევითი არ იყო, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩევლი გააჩნდა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს გაასწოროს ეს შეუსაბამობა. ამ საკითხის დეპოლიტიზაცია და დეიდეოლოგიზაცია ამის ლოგიკური შედეგია. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და წინგადადგმული ნაბიჯია. გრიგოლ წერათელის სახელის რეაბილიტა-

ცია თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის პლუსია. ეს შრომები საყურადღებოა და მისი მოწამეობრივი ცხოვრების შესწავლის ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების პირველ მოკრძალებულ მცდელობად გვევლინება. ამ მუხლაში უხრები შრომის ლოგიკურ დაგვირგვინებად გვევლინება პროფესორ ვალერი ასათიანის ნაშრომი „კლასიკოსი. გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთლი. 1970-1939“, რომელიც 2018 წელს გამოვიდა.

ვალერი ასათიანი დიდი ხანია იკვლევს გრიგოლ წერეთლის ცხოვრებასა და მოლგვარეობას, მის შემოქმედებას. ეს ნაშრომი ერთ-ერთი საუკუთხოსოა, რაც გრიგოლ წერეთლზეა დაწერილი და, რომელსაც მისი ვერც ერთი ბიოგრაფი გვერდს ვერ აუკლის. ფაქტობრივად, ავტორმა ხელთუმჭნელი ძეგლი დაუდგა გამოჩენილ ელინისტს და პაპიროლოგს და მისი სახლის გაცოცხლებაში დიდი წელილი შეიტანა.

ეს არ გახლავთ პროფესორ ვალერი ასათიანის წიგნის რეცენზია, ამის არც პრეტენზია გვაქვს და ეს ჩვენს კომპეტენციასაც სცილდება. გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და პატივი მივაგოთ მეცნიერის ხსოვნას, ორიოდე სიტყვა ვთქვათ მასზე, უფრო მოგონებების სახით.

მე არ გახლავართ ძეელი ბერძნული ლიტერატურის სპეციალისტი. მე ვარ დასავლეთ ეკონომიკის ახალი ისტორიის სპეციალისტი, მაგრამ მთებულებად ამისა, უნდა ითქვას, რომ გრიგოლ წერეთლს პატივს მივაგებ, როგორც ეკონომიკი ყაიდის მეცნიერს. ეს პატივისცემა სათვეს იღებს 1970 წლიდან, როცა პირველად შევდგი ფქი თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტში, როგორც ისტორიის ფაკულტეტის პირველურსელმა. მასზე პირველად გავიგე და დავინტერესდი პირველ კურსზე, ღოცებზე გია გელაშვილისგან, რომელიც საქართველოს ისტორიას მიკითხავდა. ეს არც არის გასაკვირი, ის ხომ აკადემიკოს სიმონ ყაუხებიშვილის შეილიშვილი და პროფესორ თინა ყაუხებიშვილის შვილი იყო. გრიგოლ წერეთლის ღვაწლისამდი პატივისცემა ფაქტობრივად, მათ ოჯახურ ტრადიციად გვევლინება. მე მაშინვე მონუსხული დავრჩი გრიგოლ წერეთლის, როგორც მეცნიერი ელინისტისა და ცნობილი პაპიროლოგის მონუმენტური ფიგურით, რომელსაც უვრცელი მეცნიერებიც ამ დარგის კომპეტენტურ სპეციალისტად

აღიარებდნენ. მისი მოწამებრივი აღსასრული ამ დაინტერესებას კიდევ უფრო აღვიყებდა და მძლავრ სტიმულს მატებდა. უნებლიერ მახსენდება ცნობილი რუსი მწერლის, მიხაილ ბულგაკოვის სიტყვები: „შეურაცხყოფა არის საუკუთხოსო ჯილდო კარგად შესრულებული სამსახურისთვის“. რას ვიზამთ, ამგვარი იყო საბჭოთა რეალობა. ვის დევნიდნენ და ვინ აღმზევს? თუ გამოჩენილ მეცნიერებს საბჭოთა ხელისუფლებამ ისტორიაში არნახული ტერორი დაატენა თავს და პირდაპირ ფიზიკურად გაუსწორა ანგარიში, ვაიმეცნიერების აღმზებაში დიდი წელილი შეიტანა და სასათბურე პირობებს უქმნიდა. „კონდიტრატივებინა“, „ლისოუკოვებინა“ ამის გამოძახილა.

ჩვენ ყოველთვის გააინტერესებდა ერთი სერიოზული პრობლემა — მეცნიერის ბედი ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში. ამ თვალსაზრისით, გრიგოლ წერეთლის მოწამებრივი აღსასრული თვალსაჩინოა და ჩვენს მეცნიერულ ინტერესებს შეესატყვისება.

ვაჟა-ფშაველა ამბობდა: „თუ ერთი თავის შვილებს ღირსეულად აგასებს, მე ეს განთიადის დასაწყისად მიმაჩნია“. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში გრიგოლ წერეთლის მოღვაწეობის რეაბილიტაცია. პროფესორ ვალერი ასათიანის ზემოხსენებული სოლიდური მონოგრაფია, ვფიქრობ, ამის კიდევ ერთი ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს.

## მომავალი კალანდაპარაგონი



# ევროპალების მონათვაზართა ჯუდგულებები




ქრისტიან ტყვევებს მონებად ჰყიდიან ქალაქ აღურის მოქადანე (იან ლიონენი, 1684 წ.)

საყოველთაოდ გაფრცელებული შეხედულების მიუხედავად, მრავალი ისტორიკოსი ასაბუტებს, რომ XVI და XVII საუკუნეებში დასავლეთი ევროპიდან გაცილებით ბევრი ტყვე გაიყვანეს აფრიკაში, ვიდრე პირიქით — ბებერ კონტინენტზე შემოიყანეს აფრიკიდან. ოუმცა, ამ მოვლენას რატომდაც ნაკლები ინტენსიურობით იკვლევენ და ისიც თანდაონ დაფინანსებას ეძლევა.

ესპანეთის ქალაქ ტოლედოში, წმინდა გიორგის მონასტრის კედლებზე უზარმაშარი ბორკილებია ჩამოკიდებული. ეს 220 ბორკილი, რომელთაც ევროპელ ქრისტიან ტყვეებს ადებდნენ გრენადის ბატონები, როდესაც ამ მხარეს არაბები ფლობდნენ, მეტად მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს. ზოგი ექსპერტის აზრით, ტყუილად როდი იხარჯება უზარმაზარი ფული ისეთი ფილმების გადასაღებად, რომლებშიც აფრიკელთა დატყვევება და გაყიდვა აღწერილი. მათი მიზანია, ამის

საფუძველზე „თეთრ ადამიანს “გამუდმებით აწუხებდეს სინდისის ქენჯნა.

„დონ კახოტის“ ავტორმა 5 წელიწადი ალექსირში ტყვეობაში გაატარა. 1575 წლის 26 სექტემბერს, მაშინ 28 წლის სერვანტესი, უკვ დიდებით მოსილი სამხედრო ვეტერანი, თავისი მშობლიური სანაპიროს ახლოს დაატყვევეს ალექსირელმა კორსარებმა. მეფე ფილიპე II-ის ძმის წერილმა, რომელსაც თოთქოს მისთვის ყოფა უნდა გაეუმჯობესებინა, საპირისპირო შედეგი გამოიღო.



ზღვის ყაჩაღები სწორედ ამ წერილმა მიახვდრა, რა ძვირფასი ტყვე პყავდათ ხელთ და მისი გამოსასყიდი ფასი 1.000 ესკუდოშე ასწიეს (დაახლოებით დღევანდველი 180 ათასი ევრო). თუ გავითვალისწინებთ, რომ ყაჩაღებს ტყვედ სერვანტესის მმაც ჰყავდათ წაყანილი, ნათელი გახდება, რომ ოჯახი დიდხანს ვერ შეძლებდა გამოსასყიდი თანხისთვის თავის მოყრას. ხოლო როცა ბოლოს ის მოაგროვეს, მთელი თანხა მიგელმა შეკობრებს თავისი მმის გამოსასყიდად გადასცა. თავად კი ოთხეჯერ სცადა ყაჩაღებს ხელიდან გასხლტომოდა, მაგრამ ამაოდ მეკობრები გაქცევის ყოველი მცდელობის შემდეგ მის ყოფას კიდევ უფრო აუტანელს ხდიდნენ. ამ პერიოდს ქება მისი მოგონებები, რომელიც მწერალმა შემდგომში ნაწარმოებებში ასახა.

სერვანტეს შეეძლო გამხდარიყო თავისუ-


ფალი მოქალაქე, გამდიდრებულიყო კიდეც, დიდვაჭარი გამხდარიყო, უფრო სწორად, საყაჭრო შუამაგალი, ოღონდ ამისთვის ერთი პირობა უნდა შეესრულებინა: რწმენა უნდა შეეცვალა. სერვანტესმა ასეთი „გამოსავალი“ ერთხელ და სამუდამოდ უარყო და ამას ტანჯავა-წამება და შესაძლო მოწმებრივი სიკედოლი არჩია. ტყვეობის ის წმინდა სამების ორდენის მმებმა იხსნეს. იმ ეპოქაში ბერები ფულს აგროვებდნენ ტყვეობის გამოსახსნელად. მეტიც, ზოგ შემთხვევაში დატყვევებული კათოლიკეს ნაცვლად, თავად ბარდებოდნენ ტყვედ. მათ უკანასკნელ წუთებში მიუსწრეს სერვანტეს. ეს უკანასკნელი ჯაჭვით პყავდათ მიბული ჰასან ბეის გალერაზე და კონსტანტინოპოლის კენ აპირებდნენ მის წაყვანას.

33 წლისა დაუბრუნდა სერვანტესი მშობლიურ კერას. სახლი სრულიად იაყარებილი დახვდა. მრავალი წლის შემდეგ ის გენიალურ „დონ კიხოტს“ დაწერს, რომლის ფურცლებზეც მისი ტყვეობის მოტივებიც გაიუღერებს. ბერის არ ჰქონია ამდენი მოსაგონარი, ამხელა „ბერი იერება“, რამდენიც სერვანტესს.

მეკობრე ბერბერები ძალიან მკაცრი, მრისხანე ყახაღები იყვნენ. ისინი ერთგვარ არაფორმალურ არმიას ქმნიდნენ, რომელიც დაუნდობლად ნადირობდა ქრისტიანებზე მა-

მიგელ დე სერვანტეს საკედრა არაბებს 5 წელიწადს პყავდათ ტყვეობამ. მრავალი წლის შემდეგ „დონ კიხოტში“ მისი ტყვეობის მოტივებიც გაიუღერებს





თურქი  
მოგაჭრე და  
ქრისტიანი  
სასულიერო  
პირი თურქი  
მონების  
ბაზარში (იან  
ლოთიკინი,  
1684 წ.)

როკოს ნაპირებიდან დღვეანდელ ლიბიამდე. მონების გასაყიდად ძირითადად ოთხი დიდი საკაჭრო ცენტრი არსებობდა: ტუნისი, ალ-ჟირი, ტრიპოლისი და სალა. საყოველთაოდ გაურცელებული შეხედულების საპირისპირო, XVI და XVII საუკუნეებში გაცილებით მეტი ტყვე გაჰყავდათ „ბებერი კონტინენტიდან“

აფრიკის ამ ქალაქებში, ვიდრე თავად აფრიკის კონტინენტიდან. ევროპის სანაპიროებიდან გატაცებულ ტყვებს ორ კატეგორიად ჰყოფდნენ: გამოსასყიდისთვის განკუთვნილები (კეთილშობილი გვარის წარმომადგენლები, სამხედროები, სამღვდელო პირები) და მონური შრომისთვის განწირულნი. ეს უკანასკნელნიც,



გაჭრობა  
ევროპელი  
ქრისტიანი  
მონებით

მათი მონაცემებიდან გამომდინარე, ორად იყოფოდნენ: ზოგი თავად გამტაცებლებთან რჩებოდა და მისი გემების შექნებლობაზე მუშაობდა, სხვებს უშვებდნენ სამრეწველო სახლოსნოებში, მაღაროებში ან სოფლის მეურნეობაში. რაც შექება გატაცებულ ლაბაზ ქალებს, მათი ბედი გადაწყვეტილი იყო, არაბებისთვის სექსუალური მომსახურება უნდა გაწარა.

კვლებები უარეს დღეში ალბათ გალერებზე სამუშაოდ გაგზავნილები იყვნენ. კვდლებზე ჯაჭვებით მიძმული, დაძაბულ შრომასა და შიმშილს დიდხანს ვერ უძლებდნენ. ისინი ერთსა და იმავე ადგილზე მუშაობდნენ, ჰამდნენ, ეძინათ და ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებსაც იქვე იქმაყოფილებდნენ. საკმარისი იყო რომელიმე ტყვე დაუძლურულებლიყო ან დააგადებულიყო, რომ მას უყოფმანოდ გადაუძახებდნენ ხომალდიდან წყალში.

მონებით გაჭრობა ადამიანის დასამცირებლად მოწყობილ ნამდვილ სპექტაკლს წარმოადგენდა. მონების შემსყიდვების საქციელი დიდად არ განსხვავდებოდა პირუტყვის შემძენი კლიირტების ქცვისგან. იმ ეპოქაში 40 წლის მამაკაცი (ასაკს კბილების მიხედვით ადგენდნენ) უკვე საკმაოდ ხანდაზმულად ითვლებოდა და მისი საბაზრო ღირებულება ნულთან ახლოს იყო.

მონებად გატაცებული ადამიანების ცხოვრების საუკეთესო ამსახველია ორი ბერის ჩანაწერი. მათგან ერთი 1193 წელს იტალიაში დაარსებული ორდენის ბერია, ხოლო მეორე




კათოლიკური ორდენის ბერები კროპელი ტკვების ფულით გამოხსნას ცდილობენ



ესპანეთში 1203 წელს შექმნილი ორდენისა. ეს ბერები და მათი მძები ოსმალეთის იმპერიიდან მონების განთავისუფლებასთვის იღვწოდნენ.

იმ ეპოქის ისტორიული ჩანაწერების სანდოობაზე ლაპარაკი მნელია, თუმცა ესპანური ლიტერატურა გვაწვდის ციფრს — 25 ათასი. ეს ევროპიდან მხოლოდ ალექსირში გაყვანი-





აღვირის დაბომბვა ფრანგული სამედრო ხომალდების მიერ (1682 წ.)

ლი ტყვების რაოდენობადა XVII საუკუნის პირველ ნახევარში. ისტორიული წყაროები კიდევ უფრო მძიმე სურათს ხატავენ იტალიის შესახებ. კერძოდ, როგორც ირკვევა, მხოლოდ 1554 წელს იტალიის ქალაქ ვიესტედინ (აპულიის ოლქში) 6 ათასი ქრისტიანი ტყვე გაუკვეთდა. ალბათ ამ პერიოდში დაიბადა გამოთქმა: „ხაზშე გაცვლილი ქრისტიანი“ ან „ქრისტიანების თავსხმა აღვირში“. ქრისტიანი ტყვე-მონების ხევდრს კიდევ უფრო ამძიმებდა ის გარემოება, რომ ოსმალები მიღრებილი იყვნენ „სოდომური ცოდვებისკენ“.

ორ საუკუნეზე მეტხანს ესპანეთი, საფრანგეთი, პორტუგალია და იტალიის ქალაქები — გენუა და ფლორენცია გამუდმებით და სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეპროლენენ ბერბერებს. ეს უკანასკნელი, სამწუხაროდ, სარგებლობრივ გამანადგურებელი ოცდაათწლიანი ოდის (1618-1648) მიერ ეკროპაში შექმნილი ქაოსით და ნგრევით, არღვევდნენ 1649 წლის სამშვიდობო მოლაპარაკებას ფრანგ მონარქსა და კორსარებს შორის და სახაპირო ზოლში მცხოვრებ ხალხს მოსვენებას არ აძლევდნენ. მეტიც, ბედავდნენ კონტინენტის სიღრმეში შეჭრას და იქიდან იმდენ ადამიანს იტაცებდნენ, რომ დღვენდელი მაროკოს, აღვირის დაბომბვა ფრანგული სამედრო ხომალდების მიერად იჭრებოდნენ მომხდურები „ბებერ კონტინენტზე“, იმის გათვალისწინებით გახდება ცხადი, რომ 1627-1631 წლებში მათ იოლანდიისა და ისლანდიის კუნძულებსაც კი უწიეს და იქიდან, როგორც ამას წყაროებიდან ვიგებთ, ასეულობით ტყვე გაიყვანეს... მეკობრები დიდი მანძილების გადალახვას არას დაგიდევდნენ, მათთვის მთავარი „ხარისხიანი ადამიანური საქონელი“ გახლდათ.

იმ ეპოქის ტრადიციებს მიეკუთვნება ბორკილდადებულ ტყვეებთან ერთად ქალაქების მთავარ ქუჩაში მარშით გაელა, რასაც მოქალაქები ყიფინით ესალმებოდნენ, მათი ცქერით ბავშვებიც ერთობოდნენ. იმათი წერილობითი დოკუმენტები, ვინც მონობას გადაურჩა, მოწმობენ ჩრდილოეთ აფრიკის ქალაქების მკვიდრთა სასტიკ მოპყრობას მათ მიმართ.

ეს ყოფა განსაკუთრებით აუტანელი მორწმუნება ქრისტიანებისთვის იყო. ისინი იტანჯებოდნენ, რადგან შეუძლებელი იყო ახლობლებთან დაკავშირება, დათისმსახურება. არადა, დასაულეოთის ქვეყნებში რელიგიურობის არნახული აღმავლობის ეპოქა იყო. შედარებით უკეთეს პირობებში მოხვედრილი მონები (სახელოსნოებში, გემობრივობაში) თანახმა იყვნენ, უარი ეთქმული უპირველესი მოთხოვნილების საგნებზეც კი, რათა მათსავით მონობაში



საფრანგეთის ფლოტის ვიცე-აღმირალი აბრაამ დიუკენი აღჟირში ტყვე ქრისტიანებს ათასი უფლებს (1683 წ.)

ჩავარდნილი სასულიერო პირებისთვის და-  
სახსნელი თანხა მოვროვებინათ, ანდა ციხეში  
აღმოჩენილები გამოქსნათ. ასეთ ვითარებაში,  
მიუხედავად იმისა, რომ გაქცევის შანსი თითქმის  
არ არსებობდა, რელიგიის შეცვლის, გამუს-  
ლიმანების შემთხვევა პრაქტიკულად არ იყო.

ევროპელთა მხრიდან უდიდესი მცდე-  
ლობის მიუხედავად, გამოესყიდათ მონობაში  
აღმოჩენილი თანამემამულენი, როგორც ის-  
ტორიკისები ადგენენ, ამ ჯოჯოხეთში ტყვედ  
ჩავარდნილთა მაქსიმუმ 5%-ის გამოხსნა თუ  
მოხერხებულა შხოლოდ. ამას წინ დიდი სირ-  
თულები ეღობებოდა: იყო მეკობრების მიერ  
უკვე შეგროვებული ფულის წართმევის შემთხ-  
ვები, აგრეთვე ბერბერები დიდალ თანხას  
ითხოვდნენ ტყვეთა გასათავისუფლებლად და  
სხვ. ამ მიზნით ეკლესიებშიც გროვდებოდა  
ფული, ამ საქმისთვის მოღვწე სასულიერო  
პირები სოფელ-სოფელ დადიოდნენ და აგრო-  
ვებდნენ ფულს. ამ შემოვლისას ისინი ისეთი  
სიტყვებით ქადაგებდნენ, რომლებიც დღეს  
ისლამთვისურად, რასისტულად იქნებოდა  
მიჩნეული. ოუმცა ამგვარი მიმართვა მრევლის  
გულს ათბოდა და ისინი უკანასკნელ გრო-  
შებს იღებდნენ. საუკუნეები ისე გადიოდა,  
რომ ქრისტიანების მოტაცებას ევროპიდან  
ხელს ვერავინ უშლიდა. 1830 წელს ფრანგუ-

ლი არმიის მიერ აღჟირის დაკავებისას იქ 120 დამონებული ქრისტიანი იპოვეს.

გაისმის კითხვა, ასეთ მტკიცებულ თემას  
რატომ უვლიან გვერდს ეპროპაში? როგორც  
ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, ჭეშმარი-  
ტებას არ შესაბამება დღეს მსოფლიოში  
გავრცელებული შექედულება „ეპროპული  
იმპერიალიზმის“ შესახებ, რომელიც იმონებ-  
და ხალხს, ამრწყვიტა ინდიელები, ჩაგრავდა  
შავკანიანებს და რასობრივ დისკრიმინაციას  
ემხრობოდა. თუთოკანიანი ქრისტიანი მონე-  
ბით ვაჭრობა ისეთ თანავრძნობას არ იწვევდა,  
როგორც შავკანიანთა გატაცება და ჩაგვრა.

არსებობს მოსაზრება, რომ მსგავსმა მა-  
ნიპულაციამ ისტორია დაამახინჯა, და მას  
ობიექტური სული დაუკარგა. 1968 წლის რე-  
კოლუციონერებმა ხომ პირდაპირ განაცხადეს,  
რომ დასვლების მთელი რელიგიურ-კულტუ-  
რული მონაპოვარი ძალადობაზეა დაყარებუ-  
ლი, რომლისგანაც უნდა განვთავისუფლდეთ  
თუმცა ფაქტები ცხადყოფს, რომ სულ ცოტა  
ორი საუკუნე მაინც (XVI და XVII), თუთო-  
კანიან მოსახლეობას ხმელთაშუა ზღვაზე  
მონობა უფრო მეტად ემუქრებოდა, ვიდრე  
შავკანიანებს აფრიკიდან ან ინდიელებს ჩრდი-  
ლოეთი ამერიკიდან.

**მოამზადა ამბროსი გრიშიკაშვილმა**

# ლეიტო ლა მაფე



კონსტანტინე დიდი. სკულპტურა თორკის საკათედრო ტაძართან

ადრეული შუა საუკუნეების ქრისტიანულ ევროპაში ჩამოყალიბება დაიწყო ღვთაებრივი მონარქიის კონცეფციამ. იდეამ სამეფო ხელისუფლების არამიწიერი, ღვთაებრივი წარმომავლობის შესახებ განვითარების საკმაოდ ხანგრძლივი და საინტერესო გზა განვლო. ღვთაებრივი მონარქიის კონცეფცია მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში იხვეწებოდა. გაღრმავდა მისი შინაარსობრივი მხარე, გაჩნდა შესაბამისი სიმბოლიკა, ატრიბუტები, განმტკიცდა და გაიზარდა მისი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობაც. ამ პერიოდში საბოლოოდ ჩამოყალიბდა მონარქიის ღვთაებრივი წარმომავლობის დამასაბუთებელი მოსაზრებები და არგუმენტები.

ახალი დროის გარიურაჟშე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დაწყებული სოციალური, პოლიტიკური, რელიგიური მღელგარებებისა და კონფლიქტების ფონზე ღვთაებრივი მონარქიის იდეა დიდი გამოცდის წინაშე აღმოჩნდა. გაძოჩნდნენ ავტორიტეტული მოაზროვნები, საზოგადო მოღვაწეები, ფილოსოფოსები, რომლებიც საქამაოდ ოსტატურად და არგუ-მენტირებულად აკრიტიკებდნენ სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობისა და უზენაესობის უმისავრეს პრინციპებს. ეს იდეოლოგიური დაპირისპირება განსაკუთრებით მწვავედ წარიმართა XVII საუკუნის ინგლისსა და XVIII საუკუნის საფრანგეთში. ანგლოსაქ-სურმა პოლიტიკურ-სამართლებრივმა იღებმა და ფრანგულმა განმანათლებლობამ პირველი

სერიოზული ბზარები გაუჩინა მონარქიზმის იდეოლოგიურ ბაზისს, ხოლო საფრანგეთისა და რუსეთის რევოლუციებმა, შეიძლება ითქვას, რომ გამანადგურებელი დარტყმა მააყნა ამ მრავალსაუკუნოვან კონცეფციას.

## პეისარს პეისრისა...

მეფეთა ხელისუფლების ღვთაებრიობისა და უზენაესობის კონცეფცია ქრისტიანული მსოფლიმედველობის წიაღში ჩაისახა და პირველ რიგში, მას ბიძლიური საფუძვლები აქვს. ასე რომ, ამ იდეის უესვები ძველი და ახალი აღთქმის წიგნებშია.


მეფეთა ღვთივდადგენილობის შესახებ სწავლება მოცემულია დანიელ წინასწარმეტყველთან: „მეფეო, შენ ის მეფეთა მეფე ხარ,

რომელსაც ზეციურმა ღმერთმა ხელმწიფება და ძალა და დიდება უბოძა“ . საერო ხელი-სუფლების დვთაებრივი წარმომავლობის შესახებ საუბრობს მაცხოვარი. ჯვარცმის წინ იქ სრისტე ასე მიმართავს პილატეს: „არ გექნებოდა არავითარი ხელმწიფება ჩემზე, მაღლიდან რომ არ მოგცემოდა“ . საყოველ-თაოდ ცნობილა მისი სიტყვები „მაშ, მაგეთ კეისარს კისრისა, ხოლო ღმერთს ღმრთისა“ . საერო ხელისუფლებისადმი ქრისტიანული დამოკიდებულების მკაფიო გამოხატულებაა პავლე მოციქულის მიმართვაში რომაელთა მიმართ: „და, ყოველი სული უზენაეს ხელი-სუფლებას დაემორჩილოს, ვინაიდან არ არსებობს ხელმწიფება, თუ არა ღმრთისგან: დიახ, ყოველი ხელმწიფება ღვთის მიერ და-დგენილია“ . ამ აზრს ქმიანება ასევე პეტრე მოციქულიც თვავის პირველ ეპისტოლებში: „.... გეშინოდეთ ღმერთის, პატივი მიაგეთ მეფეს“ .

პირველქრისტიანულ ეპოქაში იმპერატორის ინსტიტუტისა და ხელისუფლების განვითარებაში პიკს მიაღწია. ანტიური წარმართობის გავლენით რომის იმპერატორი, არც მეტი არც ნაკლები, გამოცხადდა ღმერთად, ღვთაებად, ერთგარ უზენაეს კულტად. პირველად ეს ღომიცანებ (51-96 წწ.) მოიმოქმედა ფლავიუსების დიახასტიდან. კეისრის შემდგომ პერიოდში რომის მმართველებს ისტორია კი უწიდებს იმპერატორებს, მაგრამ მათი ძირითადი უფლებამოსილებები იყო სახალხო ტრაბუნი და პრინცეპი. პრინციპატის ეს სისტემა იმპერატორ აფესტუსის დროს გაფორმდა. ღომიცანები კი ბრძანა, მისთვის „მპრა-მანებელი და ღმერთი“ ეწოდებინათ. ცხადია, მორწმუნეთა დამოკიდებულება ასეთ ჭრილში წარმოჩენილი საერო ხელისუფლებისადმი მკვეთრად უარყოფითი იყო. ქრისტიანთათვის მიუღებელი იყო მეფის ღმერთად აღიარება და მისი კულტად ქცევა. თუმცა, იმავდროულად, მორწმუნენი ხაზს უსამდნენ უზენაესი საერო ხელისუფლებისადმი მორჩილების აუცილებლობას. ეს დამოკიდებულება კარგად ჩანს ადრექრისტიანულ ლიტერატურაში – ქრისტიანობის დამცველების ანუ პირველი აპოლოგეტების შრომებში. მათ შორის საყურადღებოა თეოფილე ანტიოქიელის, იუსტინე ფილოსოფოსის, რომის პაპ კლიმენტი რომაელისა და ტერტიულიანეს ნაწერები. მაგალითისთვის შევკიძლია მოვიყვანოთ კლიმენტი რომაელის სიტყვები, რომლებიც კარგად



მეუფე ქრისტე – შუა საუკუნების ტაძარი იორდანიას სოფელ ტუმფარაში (ზემოთ), როსხნდებით ეკლესია მასწავლებელი, აშშ (ქვემოთ)





იმპერატორ ოუკტინიანეს ეკუთხის ფრაზა: „ღმერთის ნებით ვმართავ ჩვენს სახელმწიფოს“

გამოხატავენ აპოლოგეტების ზოგად პათოსს საერო ხელისუფლებისადმი: „თქვენ ღმერთის მიერ ხართ თქვენს ადგილზე დადგენილი“, „იმპერატორს ვადიარებთ ქრისტიანები, რადგანაც ის უფლის მიერ არის დადგენილი“. ამ საკითხზე ასევე საუბრობდა ორიგენეც.

ამგვარად, პირველ ქრისტიანთა დევნის პერიოდში საერო ხელისუფლებისადმი მორწმუნებების დამოკიდებულება ორი კომპონენტისგან შედგებოდა: 1. აუცილებელი იყო იმპერატორის, როგორც დვითს ნებით დადგენილი პიროვნების, პატივისცემა; 2. ერთმანეთისგან ძალითოდ იმიჯნებოდა, ერთი მხრივ, იმპერატორის პატივისცემისა და მეორე მხრივ, მისდამი ლოცვის აუცილებლობა. ანუ, ქრისტიანთათვის იმპერატორის პატივისცემა არ გულისხმობდა მისი პიროვნების გაღმერთებას წარმართთა მსგავსად, მით უმეტეს, თუ გავისენებთ, რომ I-III საუკუნეებში, რომის იმპერიის დროს სასტიკ დავნის განიცილენენ და მათკენ მიმართული აგრესის ინიციატორები სწორედ რომის იმპერატორები იყენენ. ასე რომ, წარმართი იმპერატორების პერიოდშიც კი, ეკლესიის დევნილობის ქამს, აპოლოგეტები ცდილობდნენ, მაქსიმალურად ლოიალურად შევთავსებინათ საერო ხელისუფლება და საკუთარი პოზიცია ბიბლიაში მოცემულ წინასწარ-

მეტყველთა, მაცხოვრისა თუ მოციქულთა შესაბამის სწორებებზე დაეფუძნებინათ.

თუმცა, იმავდროულად არსებობდა შედარებით განსხვავებული, რადიკალური პოზიციაც. მაგალითად, იპოლიტე რომაელი (იგივე ჰიპოლიტუსი, ანტიპაპთაგან) ერთადერთი წმინდანი), იმდენად იყო შეძრწუნებული იმპერატორთა მიერ ქრისტიანთა უმოწყალო და უსასტიკესი სამსაუკუნოვანი დეკინთ, რომ მათ ხელისუფლებას იგი ეშმაგისეულს უწოდებდა.

### ერისტიანი იმპერატორი

უზენაესი ხელისუფლისადმი დამოკიდებულება აღრუულ ქრისტიანულ საზოგადოებაში შეიცვალა. მორწმუნება მსოფლმხედველობრივი პოზიციის შეცვლა განაპირობა იმპერატორ ქრისტანტინე I-ის (306—337) პიროვნებაშ. 313 წელს მილანის ედიქტით მან ქრისტიანთა დეკნა აკრძალა. კონსტანტინესა და მისი დედის — დედოფალ ელენეს სახით, იმპერიაში ავტორიტეტული აქცენტი გაკეთდა აწ უკვე კანონიერი სტატუსის მქონე ქრისტიანული ეკლესიის როლის გაძლიერებაზე. კონსტანტინემ ხელი შეუწყო ქრისტიანობის, როგორც დაწინაურუბული რელიგიის განმტკიცებას და ეს ფაქტი საკუნძო მნიშვნელობის აღმოჩნდა. დიდი ხნის განმავლობაში დეკნილი ქრისტიანებისთვის

რომის იმპერატორის ტიტული ანტიქის-ტიანულ ქმედებებთან ასოცირდებოდა, მაგრამ ახლა, კონსტანტინეს სახით, იმპერატორის ინსტიტუტში მათ ეკლესიის მფარველი და შემწე დაინახეს. სწორედ ეს გახდა ცვლილებების დასაწყისი. მორწმუნეთა თვალში წარმართოთ იმპერატორი ქრისტიან ხელისუფლად გადაქცევა. ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში ღვთველადგენილ პიროვნებად მიჩნეული იმპერატორი სრულად განთავსუფლდა წარმართული გააზრების საბურვლისგან. მთლიანად ტრანსფორმაციის პროცესს სამეცნიერო ლიტერატურაში შესაფერისი სახელწოდებაც აქვს: „ღმერთი იმპერატორიდან – ღვთის ნებით იმპერატორამდე“. ამ სიტყვებში კარგად ჩანს ქრისტიანთა ცნობიერებაში მომზადარი ცვლილებები და საერო ხელისუფლების ახლებური ხედა. კონსტანტინე დიდის ბიოგრაფიაშივე მოხედა სწავლება, რომ იგი ღვთის მიერ იყო არჩეული და მისი ხელისუფლება – კურთხული. ახალი ვითარების ვიზუალური წარმოჩენისთვის ჩნდება გამოსახულებებიც, რომელებზეც კონსტანტინე I-ს ზეციდან აკურთხებს იესო ქრისტეს ხელი. ქრისტიანთავის საერო ხელისუფლება ჩნდება არა მარტო ღვთისგან დადგენილი, არამედ ნაკურთხიც, რის გამოც მონარქისადმი პატივისცემა, მორჩილება, ერთგულება და აქტუალურობაც, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და აუცილებელი ხდება. თუკი აქამდე იმპერატორისადმი დამოკიდებულება მორჩილებით შემოიფარგლებოდა, ახლა ადამიანებს იმპერატორი სიხარულით უნდა მიეღოთ, ჰყაურებოდათ, როგორც ღვთისგან მოვლენილი წეალობა ეკლესიის, სარწმუნოების დასაცავად და გასაძლიერებლად.

## ღვთის რჩეული გაფე

IV-IX საუკუნებში ქრისტიანულ ცროპაში ჩამოყალიბდა და დაიხვეწია იმპერატორობის, მეფობის, საერთოდ უზენაესი საერო ხელისუფლების ახალ პრიზმაში გააზრება, რომლის ძიებებითაც მონარქი – ღვთის ნებითა და კურთხევით დადგენილი პიროვნებაა. იგი უკვე განსაკუთრებული მადლის მატარებელია, რაც ერთგულად საკრალურს ხდის მის პიროვნებას. როგორც კი ჩნდება საკრალურობის მომენტი, ყალიბდება უზენაესი ხელისუფლებისადმი გარეული მიმართვისა და პატივისცემის შესაბამისი ფორმა. მეფის ინსტიტუტის საკრალიზება ბუნებრივად იწვევს დანარჩენი საზოგადოების-

გან მის ერთგულ დისტანცირებას. მეფე იწვევა ღვთის ნების აშკარა, ზილულ გამოვლინებად. მის პიროვნებაში გამოხატულია ღვთის განგებაც. იმპერატორის წინაშე აუცილებელი გახდა მუხლის მოყრა, მოკრძალებული მიახლება. თუ გვიხსნებთ, რომ მუხლოდრუეა, და ყოველგვარი გარეულული მოკრძალებულობის გამოვლინება სხვადასხვა წმინდა ნაწილების წინაშე, მაგალითად, იესო ქრისტეს სამსჯალის წინაშე ხდებოდა, აშკარაა, რომ ეს ყოველგვე მეფის პიროვნების განსაკუთრებულობის გარეულ წარმოჩენას ემსახურებოდა.

საულიერო პირებიცა და წმინდა მამებიც უკვე ქადაგებინენ და აყალიბებდნენ მოხარქის ინსტიტუტის ღვთისგან წარმომავლობის მთავარ პრინციპებს. მოგვიანო პერიოდში კი სასულიერო დასი იმპერატორის კორონაციის ცერემინიალშიც ერთვება და მეფეთა ღვთივრებულობის კონცეფციას აშკარა გარეულული გამოხატულებაც ეძღვა. ლეონ I იყო პირველი იმპერატორი, რომლის აღსაყდრებაშიც მონაწილეობდა კონსტანტინოპოლის პატრიარქი (451წ.), ხოლო პირველად ეკლესიაში გვირგვინი აკურთხეს იმპერატორ ფოკასათვის (602წ.).

ქრისტიანული მონარქიის კონცეფცია განსაკუთრებით დაიხვეწა ბიზანტიის იმპე-

რაც ბოგარი გვიზუგინი აღვამს როგორ II სიცილიელს (შეფოძა 1130-1154)





მონარქიის ღვთაებრივი წარმომავლობის კონცეფციაში  
მწვერაჭლს ჟაკ ბენინ ბოსიუეს (1627-1704) მრომებში  
მიაღწია

რიაში. სწორედ იქ გაისძა იოანე ოქროპატრის სიტყვები: „არა არს ხელისუფლება გარნა დმერთისა“, იმპერატორ იუსტინიანეს ფრაზა კი ერთგვარ აქსიომად იქცა: „დმერთის ნებით გმართა ჩვენს სახელმწიფოს“.

ამგვარად, ქრისტიანული ეპროპის წიაღში შუა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა ხელისუფლების ღვთაებრი წარმოშობის თეორია, რომლის მიხედვითაც: მეფე არის ღვთის რჩეული, უფლის მიერ მოვლენილი პიროვნება და მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა მორწმუნებელი ქრისტიანების დაცვა და მფრინველობა. აღსანიშნავია, ისიც, რომ ეს თეორია, მეფეთა ტიტულატურაზეც აისახა, სადაც კეთდებოდა პირდაპირი მინიშნება ხელისუფლების ღვთის ნებით არსებობის შესახებ.

## მონარქია – მხრიდოდ აპოლუტური

ახალი დროის დასაცლეთ ეპროპის კათოლიკურ სამყაროში მონარქიის ღვთაებრივი წარმომავლობის ყველაზე დიდი თეორეტიკოსი იყო გამოჩენილი ფრანგი მქადაგებელი და

ღვთაებულებელი, ქალაქ მოს ეპისკოპოსი ჟაკ ბენინ ბოსიუე (1627-1704). არისტოკრატიული წარმომავლობის ბოსიუემ სიღრმისეული განათლება მიიღო. 1670 წელს მეფე ლუი XIV-მ მას აღსაზრდელად ჩააბარა საკუთარი შვილი, დიდი ღოფინი (ტახტის მეტვიდრე) ლუი. ერთ-ერთმა თანამედროვებმ ბოსიუეს ეკლესის დიდ მამათა (იგულისხმება კაპადიკიელი მამები) უკანასკნელი წარმომადგენელიც კი უწოდა. ბოსიუეს კალამს ეკუთვნის ბიბლიური ტექსტების განმარტებები, სხვადასხვა ქადაგებები, ისტორიული და საღვთისებულების ტიპის ფუნდამენტური შრომები. ბოსიუე წელების განმავლობაში წერდა თხზულებების სკრიას მეფის ინსტიტუტის ღვთაებრივი წარმომავლობას შესახებ. ყველაზე დიდი პოპულარობა მას მოუტანა ნაშრომმა — „წმინდა წერილზე დაფუძნებული პოლიტიკა“ (1709 წ.). ეს იყო მცდელობა, თეოლოგიის პრიზმაში განხილა პოლიტიკასა და უზენაეს ხელისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები. ეს სინკრეტული ტიპის ნაშრომი დაფუძნება ბიბლიის სწორებებს, არისტოკრატებს, ნეტარი ავგუსტინებსა და ომას პობსის იღებს.

ბოსიუე აიდეალებდა საფრანგეთში არსებულ მეფის შეუზღუდვა და უზენაეს ხელისუფლებას – აბსოლუტიზმს. მისი აზრით, დედამიწაზე საერო ხელისუფლების ერთადერთი და ობიექტურად გამართოლებული ფორმა იყო აბსოლუტური მონარქია. საკუთარი ხედვის დასასაბუთობლად იგი საკმაოდ საინტერესო და მრავალუროვან წიაღსვლებს აკუთბდა. არგუმენტებად ძირითადად სწორედ წმინდა წერილის ტექსტებს იშველიებდა. ბოსიუე დაწვრილებით განიხილავდა მეფის ხელისუფლების წარმომავლობისა და მონარქის უფლებამოსილებების საკითხებს. მისი აზრით, სამეფო ხელისუფლების ერთადერთი წყარო თავად შემოქმედი, ღმერთი. მეფე ღვთის ნების პირდაპირი გამოხატულება იყო. წმინდა წერილსა და საკლესიო მწერლობაზე დაყრდნობით ბოსიუე ასაბუთებდა, რომ სამეფო ხელისუფლებას უცილობლად ახასიათებს შეძლები კომპონენტები: 1. მეფე და მისი ხელისუფლება წმინდაა, საკრალურია; 2. მეფობა მამისეული ხაზით, მეტვიდრეობით გარდამაყალია; 3. მონარქის ხელისუფლება აბსოლუტურია და მისი შეზღუდვა დაუშვებელია; 4. მეფის ხელისუფლების სტატუსი და შინაარსი მიზეზ-შედეგობრივადაა შექმნილი და მას სრულყოფილი ახსნა მოეძებნება.

ბოსიუეს მიხედვით, ღმერთი, როგორც აბ-

სოლუტური ძალაუფლების წყარო, საკუთარი ნების განსახორციელებლად აკურთხებდა შეფეხს და მას შესაბამის ძალაუფლებას ანიჭებდა. მონარქი იყო უფლის პირდაპირი მსახური, ხოლო მისი ხელისუფლება – უფლის განგებულობა დედამიწიზე. ბოსიუე მიუთოებდა, რომ ყოვლის მშენებელი ღმერთი იყო, როგორც ზეციური, ასევე მიწიერი წესრიგის შემოქმედი და ფუძემდებელი, მისგან მოულენილი მონარქი კი, ზეციური წესრიგის შესაბამისად, საკუთარ სამეცნიში დათის მითითებით მიწიერ წესრიგს ამყარებდა. აქედან გამომდინარე, ბოსიუე ასკვინიდა, რომ რეალურად მეფის ტახტი ეკუთვნის არა ადამიანს, არამედ ეს იგვე უფლის ტახტია. საკუთარი მოსაზრებების გასამყარებლად ბოსიუე იშველიებდა პავლე მოციქულის ეპისტოლეს რომაელთა მიმართ, კრძოლ კი, მეცამეტე თავის სწოლებას:

„და ე, ყოველი სული უზენაეს ხელმწიფებას და ემორჩილოს, რადგანაც არ არსებობს ხელმწიფება თუ არა დათისაგნ; ყოველი ხელმწიფება დათის მიერ დადგენილია. ამიტომ, ვინც წინააღმდეგება ხელმწიფებას, დათის განჩინებას ქინააღმდეგება; ხოლო წინააღმდეგომნი თავიანთ თავზე თვითონვე მოიწვენ სასჯელს. ვინაიდან მთავარი კეთილის მოქმედთათვის კი არა, ბოროტმოქმედთათვის არიან საშიშნი. შენ გინდა, არ გეშინოდეს ხელმწიფებისა? კეთილი აკეთე და ნაქები იქნები მისგან. რადგანაც ის დათის მსახურია შენდა სასიკეთოდ. მაგრამ თუ ბოროტს სხადისარ, გეშინოდეს, ვინაიდან ტყუილად როდი არტყია წმალი, არამედ იმიტომ, რომ დათის მსახურია, რისხვით შურისმებელი ბოროტმოქმედთა მიმართ ამიტომაც გვმართებს მორჩილება, არა მარტო სასჯელის შიშით, არამედ სინიდისითაც. სწორედ იმიტომ იხდით ხარკს, რომ დათის მსახური არიან ამ საქმეზე გადაგებული. ამრიგად, ყველას მიაგეთ მისი კუთვნილი: ვისაც ხარკი ეგება – ხარკი, ვისაც ბაჟი – ბაჟი, საშიშარს – შიში, პატივსაცემს – პატივისცემა“.

პრივილეგიების გარდა, ეპისკოპოსი მკაფიოდ ასახელებდა ვალდებულებებს, რომლებიც ნამდვილ მონარქს ეკისრებოდნა: იგი უნდა ყოფილიყო საკუთარი ხალხის დამცველი, საკუთარევე სიცოცხლის ფასადაც კი. მას უნდა დაეცვა სარწმუნოება, ეკლესია, სამართლიანობა და საზოგადოების მორალური სიჯანსალე. მონარქი პატივს უნდა სცემდეს მისდამი ბოძებულ ძალაუფლებას და მხოლოდ

ხალხის სასიკეთოდ იყენებდეს მას. ბოსიუე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მონარქს არ უნდა ეფიქრა, თითქოს ეს ძალაუფლება მისია, უფლება არ პქონდა, საკუთარი ახირებებისა და შეხედულებებისამებრ ემართა სამეფო. გადაწყვეტილებების მიღებისას მუდმივად უნდა პქონოდა განცდა, რომ მისი თითოეული ნაბიჯი დათის წინაშე განისჯებოდა. მეფე მხოლოდ დიდი დათისმოშიშებითა და პასუხისმგებლობის განცდით უნდა იყენებდეს მის ხელში არსებულ ძალაუფლებას. მონარქს მუდმივად უნდა ახსოვდეს, რამდენად საზარელია დათისგან ბოძებული ხელისუფლების უზნეოდ და უმართებულოდ გამოყენება. ბოსიუე მონარქიული სისტემის მთავარ მახასიათებლად მიიჩნევდა ასევე მეტკვიდრული ბიობას, გვირგვინის მამიდან შვილზე გადასვლას. ეპისკოპოსი აღნიშნავდა, რომ თავად უფალი, კაცობრიობის მამა, ასევე მის მიერ დადგენილი მეფეც მამაა საკუთარი ხალხისთვის.

**მეფე ლუი XIV ბურბონი ბოსიუეს თურითის პრაქტიკულ განსახიერებას წარმოადგენდა – მისი მმართველობა ეპისკოპოსის თხზულებებში მოცემულ უაღებლავ კვლევამანების აურთიანებდა**





ლუი XV-ის კორონაცია  
რეაბის ტაძრში (1722 წ.)

ნიკოლოზ II-ის კორონაცია მოსკოვის მთანების  
ტაძრში 1896 წლის 14 მაისს (ლუურიც ტუშენი, 1898)



ბოსიუეს მიხედვით, ღმერთის მსგავსად, აუცილებელია მიწიერ მონარქებს აბსოლუტური ძალაუფლება ჰქონდეთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებენ ისინი, სრულყოფილად აკეთონ სიკეთე და აღგვეთონ ბოროტება. თუ მეფის ხელისუფლება შეიზღუდება, იგი ვეღარ შეძლებს ქვეყანაში გამტებული უკითხოების აღგვეთას.

განსაკუთრებით ბევრს საუბრობდა ბოსიუე მონარქის საკრალურობაზე, ეპისკოპოსი აღნიშნავდა, რომ მონარქის სხეული წმინდაა, რომ ქვეშევრდომები მეფის სახით უნდა ხედავდნენ და აღიქვამდნენ ღვთის დიდებულებას, რომელსაც მეფე სარკესავით აირეკლავს.

ქვეყანაში სიმშვიდისა და პროგრესის ერთადერთ გარანტად ბოსიუე მიიჩნევდა მეფისადმი სრულ მორჩილებას. ეპისკოპოსის აზრით, მონარქთან დაპირისპირება არუცლობდასა და დესტაბილიზაციის უპირველესი საბაბია.

შეიძლება ითქვას, რომ მონარქის ღვთაებროვი წარმომავლობის კონცეფციამ ბოსიუეს შრომებში წარმომავლობის მიაღწია. გარდა ამისა, ეპისკოპოსის მოღვაწეობის პერიოდში ამ თეორიის პრატიკულ განსახიერებას წარმოადგენდა მეფე ლუი XIV ბურბონი. მისი მმართველობა ბოსიუეს თხზულებებში მოცემულ უკლებლივ ყველა კომპონენტს აერთიანებდა.

### „ზედმეტი“ პარლამენტი

ღვთაებრივი მონარქიის იდეაბი აქტუალური იყო XVI-XVII საუკუნეების ინგლისში. 1547 წელს საეკლესიო წრეებში გამოიცა საგანგებო კრებული — Homilies („ქადაგებანი“). კრებულში წარმოდგენილი იყო ზნეობრივ-სარწმუნოებრივი დარიგებანი სხვადასხვა თუმაზე. „ქადაგებანი“ უნდა წაკითხულიყო სასულიერო პირთა მიერ ეკლესიებში. ამ კრებულში მთავარი აქცენტი გადატანილი იყო მონარქიის ღვთაებროვი წარმომავლობის კონცეფციაზე.

ღვთაებრივი მონარქიის კონცეფციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ინგლისში სტიუარტთა მმართველობის პერიოდში (1603-1649; 1660-1688) მიენიჭა. ამ დინასტიის ადრეული წარმომადგენლები, ჯეიმს I და ჩარლზ I ქვეყანაში აბსოლუტიზმის დამკიდრებას ემხრობოდნენ. ჯეიმსი ამ მხრივ უფრო ზომიერი იყო, ჩარლზმა კი ერთმნიშვნელოვნად უარყო ინგლისის საპარლამენტო ტრადიციები, დაითხოვა საკანონმდებლო ორგანო და 1630-დან 1640 წლამდე ერთპიროვნუ-



ინგლისის მეფე ჩარლზ I-ის სიკვდილით დასჯა. უცნობი აუტორი

ლად მართავდა ქვეყანას, რამაც ინგლისელთა თვალში მის მმართველობას უკანონობის ელუური შესძინა. მეფე დარწმუნებული იყო, რომ ღვთივდადგენილი მონარქის ხელისუფლების მაკონტროლებელი და შეშძლევდავი ორგანო — პარლამენტი ზედმეტი იყო.

### ძალაუფლება — სხვა ფასაროდან

XVII-XVIII საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში შექმნილმა ახალმა პოლიტიკურ-სამართლებრივმა დოქტრინებმა ეჭვქვეშ დააყენეს და უარყვეს მონარქთა ღვთივბოძებული უფლებების მთელი რიგი პრინციპები. განსაკუთრებით მწვევ აღმოჩნდა ეს დაპირისპირება 1640-იანი წლების ინგლისში. სამოქალაქო ოში პარლამენტის წინააღმდევ მებრძოლი და დამარცხებული ჩარლზ I სასამართლო პროცესშე აღნიშნავდა, რომ იგი მირონცხებული და ღვთით დადგენილი მონარქია, და რომ არც ერთ მიწიერ ინსტიტუციას არ ჰქონდა უფლის მიერ დადგენილი მეფის გასამართლების უფლება. პარლამენტის პოზიცია კი ასეთი იყო: ხელისუფლების, ამ შემთხვევაში მონარქის წყაროა არა ღმერთი, არამედ საზოგადოება, ინგლისის მოქალაქეები... ინგლისელი მოაზრონების — ჯონ მილტონის, ჯონ ლოკის, ფრანგი განმანათლებლების (მონტესკიე, ფოლტერი, რუსო,

დიდრო) და ამერიკელი მამა დამფუძნებლების მიერ ჩამოყალიბებულმა პოლიტიკურმა დოქტრინებმა სხვადასხვა ღოზით შეასუსტეს ღვთაებრივი მონარქიის კონცეფცია და მისი ტრანსფორმაცია განაპირობეს. აბსოლუტური მის ალტერნატივად გაჩნდა კონსტიტუციური მონარქიის მოდელი.

1789 წელს დაწყებულ საფრანგეთის რევოლუციაში მონარქთა ღვთივბოძებული უფლებები და ვალდებულებები საბოლოოდ უარყვეს. 1793 წელს მონარქია საერთოდაც გაუქმდა, მეფე კი სიკვდილით დასაჯეს. წინა პლაზაზე წამოიწია რესპუბლიკის იდეამ, რომელიც გულისხმობდა ხალხის ჩართვას ხელისუფლების ფორმირების პროცესში, მოქალაქეთა სხვადასხვა ტაბის უფლებებს, წოდებრიობის გაუქმებას, უზენაესი ხელისუფლების დეცენტრალიზაციასა და უფლება-მოვალეობათა გადანაწილებას, მონარქიის ღვთივდადგენილობის წინააღმდევ წარმოებულ კიდევ ერთ მასშტაბურ კამპანიას წარმოადგენდა 1917-1918 წლების რუსეთის რევოლუცია. ტახტიდან გადადგა მირონცხებული იმპერატორი ნიკოლოზ II, რომელიც ოჯახთან ერთად დახვრიტეს.

დღეს მსოფლიოში 36 კონსტიტუციური მონარქიაა, მათგან 10 უკროპაშია.

### მიხეილ პარმოვი

# **Auto Bild**

საქართველო

ქურნალი  
**AUTO BILD**  
საქართველო  
წარმოგიდგინი



- ! ინტერიერი,  
გაგრამ
- სუსტად  
მოტორიზაცია  
GT86-ის შემდეგ,  
ტონიობას
- როგორც იქნა,  
ჰყავს ცალფი  
საორგანიზი  
განეანა



იხილეთ სტატია  
სრულად ქურნალ  
„AUTO BILD  
საქართველოს“  
აგვისტოს  
ნომერი

# SUPRA-ს ჭილი გამოცდა

ახალი ტოიოტა სეპრა BMW Z4 ბაზაზე, მისი  
ტექნიკური შეიძლება. კარფორმანსისთვის ეს კარგია,  
მაგრამ არის თუ არა უცდი გარეს იმიჯისთვის?



# 306 იყო ლი ჰურვი ოსვალდი



## ცაფილი II

პრეზიდენტი ჯონ კენედი დაღასის ქუჩებში მეცნიერებამდე რამდენიმე წეთით ადრე. 1963 წლის 22 ნოემბერი

### აირველი ტერაქტი

ოსგალდი სულ უფრო უმართავი ხდებოდა. მარინამ იცოდა, რომ ქმარმა შაშხანა შეიძინა. შეკითხეაშე, რად უნდოდა, შემდეგი პასუხი მიიღო: რევოლუციონერი ვარ და იარაღი მჭირდება. მარინას სულ უფრო იპტონბდა შიში; გრძნობდა, რომ რაღაც საშინელება ახლოვდებოდა.

ოსგალდი მექსიკაში გაემგზავრა. კუბის საელჩოს დაუკავშირდა და პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა. კუბელები გაოცდნენ.

**შენობა დაღასში, რომლის  
მე-6 სართულის  
ფარჯირიან კენედის  
ესროლებეს**



ამერიკელი კუბაში გარბის? არა, ეს შეუძლებელია!

— მე მარქსისტი და ლენინელი ვარ, — ამბობდა ოსგალდი, — ორ წელიწადს სსრკ-ში ვცხოვრობდი.

— მაშინ საბჭოთა საელჩოდან რეკომენდაცია მოიტანეთ!

ოსგალდი ახლა საბჭოთა საელჩოს დაუკავშირდა. მას დიპლომატის საფარველებელ სუკ-ის აგენტი, ვინმე ლეონოვი ესაუბრა. შეკითხეაშე, კუბაში პოლიტიკური თავშესაფარი რად გინდათო, ოსგალდმა მიუგო:

— უცნობები დამდევენ! დღედაღამ მოსევნებას არ მაძლევენ! ამერიკაში არ დამედგომება.

— კეთილი, მოგვმართეთ განცხადებით, — ციფრ მიუგო ლეონოვმა, — პასუხს თოხოვეში გაცნობებთ.

— ეს ძალიან დიდი დროა!

— ასეთია წესი. ის ყველასთვის ერთია.

— ოჳ, ეს რუსული ბიუროკრატია! — შეკჰილა ოსგალდმა, — თქვენი დედა...

მაგარი რუსული გინებით შეიგინა. გასვლისას კარი გაიჯახუნა.

მორიგი შეხვედრისას ოსვალდმა ცოლს განუცხადა, რომ ერთი ორგანიზაციის წევრი გახდა, რომელიც კუბელებს ქმარება და ქუჩაში კუბელების სასარგებლო ფურცლებს აუცილებს. მარინამ გაიცინა:

— მაშ, კუბელებს მაინც შეეკარი, არა?!

— მე რევოლუციონერი ვარ, — ამაყად მიეცო ოსვალდმა.

— რევოლუციონერი? — ქალმა გესლიანად გაიღიმა, — არც ერთი ექსპლუატატორი არ მოგიკლავს და თავი რევოლუციონერი გგონია?

— კინალამ მოვკალი.

— რაო?

— ცნობილ ანტიკომუნისტ გენერალ უოკერს ვესროლე. სამწუხაროდ, აუცილინე.

მაშინ მარინამ ეს არ დაივერა. მოგვიანებით (უკვე კანედის მკვლელობის შემდეგ) ქალმა ეს უორენის კომისიას გაუმეორა. ეს კომისია პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონის ბრძანებით შეიქმნა 1964 წლის 24 სექტემბერს, მას აშშ-ის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ერლ უორენი ხელმძღვანელობდა. გამოძიებით დადასტურდა, რომ ოსვალდმა გენერალ-მაიორ ედვინ უოკერს მართლაც ესროლა, მაგრამ ააცდინა.

### უბანასპელი შეხვედრა

1963 წლის 20 ნოემბერს ჰარვი ოსვალდი მარინასთან უკანასკნელად მივიდა. ქმარი ცრემლმორეული ემუდარებოდა, დავითიწყოთ, რაც მოხდა და კვლავ ერთად ვიცხოვროთ.

— არა! — გადაჭრით მიეცო მარინამ.

— შენ წინაშე მართლაც დამნაშავე ვარ, — ოსვალდს ხმა აუკანკალდა, — მაგრამ მაპატიე!

— პატიება რა შუაშია! ჩვენ აბსოლუტურად სხვადასხვა ადამიანები ვართ. ჩვენი ერთად ცხოვრება შეუძლებელია!

— შენ რა, საყვარელი ხომ არ გაიჩინე?

— აბა, დაიკარგე აქედან, — შეკვილა ქალმა, — მოუსვი, თორებ პოლიციას გამოვიდახებ!

— შენი დედა! — რუსულად შეიგინა ოსვალდმა.

მან ქალს ნიშნობის ბეჭედი სახეში ესროლა, ზურგი შეაქცია და გარეთ გავარდა.



გენერალ-მაიორ ედვინ უოკერს (ცენტრში) მართლაც ესროლა ლი პირველი მაგრამ ააცდინა. უოკერი 1962 წელს ტეხასის გუბერნატორობაზე იცრიდა უნდა, მაგრამ არჩეული მე-6 შედგით დაასრულა

მარინა ოსვალდი (1965 წ.)





დაკავებული  
ლი ჰარევ  
ოსვალდი

\* \* \*

1963 წლის 22 ნოემბერს ტეხასის შტატის დედაქალაქ დალასში პრეზიდენტი ჯონ კენედი მოკლეს. პატრიულ- პოლიციელი ჯ.დ. ტიპიტი ლი ჰარვი ოსვალდის დაკავებას შეუცადა, მაგრამ ამაღლ. ეს მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა. თუმცა მკვლელმა მიმალვა მანც ვერ მოახერხა. იგი მკვლელობის მომენტიდან ერთი საათის და ოცი წუთის შემდეგ შეიძყრეს. მალე ჯონ კენედის მკვლელი, რომელსაც ხელბორკილი ედო, ყველა ამერიკულმა არხმა აჩვენა. თავზარდაცემული მარინა კრინტის ვერ ძრავდა. ეკრანიდან მისი ქმარი, ლი ჰარვი ოსვალდი შესცემოდა...

ოსვალდი ყველაფურს უარყოფდა. არც კენედი მომიკლავს, არც შაშხანა მქონიაო, ამბობდა. მალე დამტკიცდა, რომ ოსვალდს პქონდა შაშხანა და კნედისაც ამ იარაღიდან ესროლა.

ამერიკული მედია დაუდალავად მუშაობდა — ოსვალდი საკუთარ თავს მარქსისტსა და ლენინელს უწოდებდა. ორ წელიწადს სსრკ-ში ცხოვრობდა. ჰყავს რუსი ცოლი, რომელიც სავარაუდოდ სუკ-ის აგენტია. ოსვალდი აშშ-ში კუბის მხარდამჭერი ერთ-ერთი ორგანიზაციის წევრი იყო. ქუჩაში კასტროს საწინააღმდეგო უურცლებს ავრცელებდა. — ეს ცნობები ამერიკულ საზოგადოებაში დამკვიდრდა.

მალე ამერიკა ახალმა სენსაციამ შეძრა. როცა ოსვალდი ერთი ციხიდან მეორეში გადაჰყავდათ, მას თავს დაესხნენ. ტელევიზია ყველაფურს პირდაპირი ეთერით გადასცემდა, ამიტომ კენედის მკვლელის ლიკვიდაციაც ასევე პირდაპირი ეთერით გავიდა. ოსვალდს განგსტერმა ჯეკ რუბიმ ესროლა.

— ოსვალდი სამუდამოდ დადუმდა.



პირველი  
გასროლის  
შემდეგ. 369-ე  
კადრი აბრაკამ  
ზაპრედერის  
26-წამიანი  
კინოფილმიდან

რუბი დააკავეს. დაიწყო გამოძიება, დაკითხები. სასამართლო მას სიკვდილი მიუსაჯა. განაჩენი გაასაჩირებს. 1966 წელს ფილტვის კიბოთი დაავადებული რუბი საავადმყოფოში მოათავსეს. ის 1967 წელს გარდაიცალა.

მარინა პრუსაკოვამ ამერიკის საგამომძიებლო ორგზონებს გულახდილი ჩვენება მისცა. მან სსრკ-ში დაბრუნებაზე უარი განაცხადა. 1965 წელს ქალი ვინძე კენეთ პორტერზე გათხოვდა. ამ ქორწილიდან ქვეყანას ორი ბიჭუნა მოველინა. მარინა ოსვალ პორტერი დღესაც ცოცხალია. მისი პერსონა კენედის მეკლელობისადმი მიძღვნილ არაერთ ფილმშია გამოყანილი.

\* \* \*

მოსკოვშიც მოვლენები საინტერესოდ განვითარდა. 1964 წლის 4 თებერვალს უენეგაში მყოფი იური ნოსენკო დასავლეთში გაიქცა. ამერიკელებს მან განუცხადა, რომ სსრკ-ში ყოფნის დროს უშუალო კონტაქტები ჰქონდა ოსვალდთან და მასზე ბევრი რამიცის. ამერიკელებმა არ დაუჯერეს. ნოსენკო დააპატიმრეს. აშშ-ის კონტრდაზვერვის თანამშრომლები მას საქმაო ხნის განმვლობაში დაკითხავდნენ, ბოლოს დარწმუნდნენ, რომ მართალს ამბობდა და გაათავისუფლეს. ამის შემდეგ ნოსენკო წლების განმვლობაში ცენტრალურ სადაზერვო სამმართველოში მუშაობდა. გარდაიცალა აშშ-ში 2008 წელს.

ნოსენკოს გაქცევამ მისი უშუალო შეფის, საბჭოთა კონტრდაზვერვის უფროსის, ოლეგ გრიბანოვის კარიერას წერტილი დაუსვა. ის თანამდებობიდან მოხსნეს და სკაპ-ის რიგებიდან გარიცხეს. გრიბანოვს საპატიო ჩეკისტის წოდებაც ჩამოერთვა. მოგვიანებით მან სუკ-ის თანამშრომელ ვლადიმირ პეტროჩენკოვთან ერთად გარდაიცალა. გარდა გარდაიცალა აშშ-ის მისამართის მიმღებების მომართვის მიმღებები.

შეცდომა“. როცა სუკში შეიტყვეს, რომ კონტრდაზვერვის ექსპეფი ლიტერატურული საქმიანობის დაწყებდა, კატეგორიულად მოითხოვეს, მისი ნაძღვილი გვარი და ბიოგრაფია არ ყოფილიყო გამხელილი. გენერალმაც წიგნი ოლეგ შმელიოვის ფსევდონიმით გამოაქვეყნა, ხოლო პეტროჩენკოვი კოსტოკოვის გვარით მოიხსენიეს.

„რეზიდენტის შეცდომას“ უდიდესი პოპულარობა ხვდა წილად. რომანი ტრიუმფით იქცა ფილმად (რეჟისორი ვენიამინ დორმანი). ამის შემდეგ შმელიოვმა და ვოსტოკოვმა დაწერეს გაგრძელებები და ამ ციკლის მიხედვით კიდევ სამი ფილმი-გაგრძელება გადაიღეს. ოთხივე ფილმი ორსერიიანია. გრიბანოვი საბჭოთა იმპერიის დანგრევას მოესწრო. გარდაიცალა 1992 წელს.

სტანისლავ შუშკვიჩი, რომელიც მისნაში ისვალდს მეურვეობდა და რუსულში ამეცადინებდა, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე გახდა. ის ბელორუსის პარლამენტის სპიკერად აირჩიეს. შუშკვიჩმა ელცინთან და კრაგჩუკთან ერთად ბელოვეჟის ტკვრის შეთანხმებებს მოაწერა ხელი, რამაც სსრკ-ის არსებობას წერტილი დაუსვა. შემდგომში შუშკვიჩი ხელისუფლებას ჩამოაშორეს, პეტრიდენტად ალექსანდრ ლუკაშენკოს არჩევის შემდეგ კი მეორე პლანზე გადაიხაცვლა.


## მაილობი

— პეტრიდენტ კენედის წინააღმდეგ არავითარ შეთქმულებას ადგილი არ ჰქონია. ის მარტოხელა მკვლელის მსხვერპლი გახდა, — ასეთია უორენის კომისიის დასკვნა.

ფართო საზოგადოებამ ეს არ დაიჯერა. გამოითქმებოდა მრავალი ვერსია კენედის წინააღმდეგ შეთქმულებაზე და ამ საქმეში ლიკარვა ოსვალდის მონაწილეობაზე. ოსვალდის



ერლ  
უორენი



ოსკალდი ფურნალ „ტაიმის“ გარეკანზე (1964 წლის 2 ოქტომბრის ნომერი)



სუკ-ის ოფიცერი იური ნოსენკო 1964 წელს  
დასკაულეთში გაიქცა

და პარვი თხალდის დედა მარგარუტი (1977 წ.)



კენედის მართლაც ესროლა. მისი ტეკვა მიზანს მოხედა, მაგრამ მარტო იყო კი ოსკალდი? იქნებ მისი პერსონით სხვა მკვლელების დაფურუა მოხდა. ამის შესახებ როგორც აშშ-ის, ასევე მთელი მსოფლიოს პრესა წერდა და წერს.

თუ ოსკალდი მარტოხელა მკვლელი არ იყო, გამოიდის, რომ კენედის წინააღმდეგ შეთქმულება არსებობდა. ვინ მოაწყო იგი? ამის თაობაზე უძრავი ვერსია არსებობს. ზოგი ამტკიცებს, რომ კენედის ანგარიში ჭრა ნოსტრამ გაუსწორა. საბჭოთა პროპაგანდისტები მიიჩნევდნენ, რომ კენედის მკვლელობის უკან მენავთობება მაგნატი ჰანტი იდგა. არსებობს ვერსია, რომ მკვლელობა ფიდელ კასტრომ შეუკვეთა.

— კენედის აეკვიატა იდეათიესი, რომ კასტრო მოეკლა. კუბის დიქტატორმა მას დაასტრო და თავად მოკლა, — წერს რუსი და ამერიკელი მწერალი, ისტორიკოსი და პუბლიცისტი იგორ მარკოვი ეფიმოვი 1987 წელს გამოქვეყნებულ კვლევაში. ამ ვერსიის სასარგებლობა ის მეტყველებს, რომ ოსკალდს კუბის სპეცსამსახურებთან პქონდა კონტაქტები. ეწეოდა კასტროს სასარგებლო პროპაგანდას, თუმცა მარტო ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მკვლელობა კასტროს ორგანიზებულია.

სუკ-ის ექსგენერალი ოლეგ კალუგინი, როცა კენედის მკვლელობაზე ლაპარაკობს, აქცენტს აკეთებს იმაზე, რაც უგვე ცნობილია. დიახ, თხალდი ამერიკის სამხედრო კონტრდაზერვის, შეძლევ კი დაზვერვის აგენტი იყო. სსრკ-შიც სპეციალურად შემოაგზავნეს. რატომ? როგორც ჩანს, თხალდის მეშვეობით ვიდაცას სურდა რუსებთან კავშირის საიდუმლო არხი პქონოდა. ვინ არის ეს ვიდაც, ეს ფართო საზოგადოებისთვის უცნობია.

რუსები ამერიკელებს ჩანაფიქს მიუხედნენ და საპასუხო ნაბიჯები გადადგეს. თხალდის შერთეს ცოლი, რომელიც სინამდვილეში სუკ-ის აგნტი იყო და აშშ-ში დააბრუნეს. თხალდის გარშემო უმაღლ განწინენ ადამიანები, რომლებიც ორმაგი ან შესაძლოა სამმაგი აგენტები იყვნენ. დაიწყო თამაში, რომელიც საგარაუდოდ, ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო.

— ფილიკურად გაუწონასწორებელი ოსკალდის კონტროლი შეუძლებელი აღმოჩნდა. თამაშიც ჩაიშალა, — ამბობს კალუგინი.

დღეისთვის ეს დანამდვილებით არის ცნობილი. ასევე ცნობილია ისიც, რომ ოსკალდი კუბის დაზვერვასთან კონტაქტებზე მართლა გავიდა. მაგრამ ვინ დაავალა მას კენედის

მოკვლა? სუკ-ს ეს არ დაუგალებია — ესეც აგრეთვე დანამდვილებითაა ცხობილი. იქნებ კენედის მოკვლა კუბელებმა უძრავანს? ან ეს მისი, ოსვალდის, პირადი ინიციატივა იყო?

უორენის კომისიაში კი დაასკვნა, რომ პრეზიდენტი მხოლოდ ოსვალდმა მოკლა, თუმცა ბევრმა მიაჩნია საეჭვოდ, რომ სამ გასროლას ასე სწრაფად ის ვერ მოახერხებდა. აკრიტიკებდნენ „ერთი ტყვიის“ ოფორიასაც, რომელსაც ირონიულად „ჯაღოსნური ტყვია“ უწოდეს. საუბარია პირველ ტყვიაზე, რომელიც ზურგში მოხვდა კენედის, კასრიდან გამოიდა და შემდეგ წინ მჯდომარეობას ტებასის გუბერნატორი, ჯონ კენიალი დაჭრა ზურგში; მიაჩნდათ, რომ ერთი ტყვია ასეთი ტრაექტორით ვერ იმოძრავებდა, ეს კი, სულ ცოტა, კიდევ ერთი მსროლელის არსებობას ადასტურებდა. თუმცა კრიტიკოსები არ ითვალისწინებდნენ, რომ გუბერნატორი იჯდა არა ძირითად, არამედ დამატებით საყარძელში, რომელიც წანაცვლებული იყო ავტომობილის ცენტრისკენ და დაბლა. 2004 წელს ნეიტრონულ-აქტივაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ყველა ნაპოვნი ტყვია და მათი ნამსხვრები, მათ შორის, კნალის სხეულში, ერთი შაშანიდან იყოს გასროლილი.

ასევე საეჭვოდ მიაჩნდათ მეტად მცირე ინტერგალები გასროლებს შორის და სამხილებს შორის ერთი ტყვიის დანა კლის. „დისკავერი ჩენელმა“, ციფრულ ჩანაწერებზე დაყრდნობით, მომხდარის სრული რეკონსტრუქცია მოახდინა. შედეგად, დამუშავებულ კადრებში გამოჩნდა სისხლის შეფეხი ტყვიის სხეულიდან გამოსვლისას, ყველა ტყვია ჯონ კენედის უკიდან ხვდება. შემოწმდა, რომ ოსვალდის შაშანა, თუ დადგენილი ადგილებისკენ მიემართავთ, მასრებს სწორედ იქ აგდებს, სადაც ისინი იპოვეს, ერთი ცალკე და ორი გვერდიგვერდ. ცეცხლის ხაზე ხვდებოდა შუქნიშნი, რომელიც დღეს აღარ არის. თუმცა, უორენის კომისიის არქივში შეიძლება ამ შუქნიშნის ნახვა კიდეში ჩაჰულებული ლითონით, რაც ნიშნავს, რომ პირველი გასროლა მომდენო ორზე ბევრად ადრე განხორციელდა. ამიტომაც არ მოხვდა ის აბრაკაბა ზაბრულების 26-წამიან სამოყვარულო კინოფილმში, რომელიც ყველაზე სრულია მკვლელობის შესახებ გადადებულთა შორის.

დისკუსია ამ საკითხებზე დღესაც გრძელდება.

**ნიკა თევზაბე  
ისტორიის დოქტორი**



ჯეპ რუბის  
მიერ ოსვალდის  
მოკვლა რამდენიმე  
ტყვიაზებით  
პირადაპირ ეუზრში  
მოხვდა

სუკ-ის ექსვენერალი რლევ კალუგინი აქცენტს უკავ ცონილ ფაქტებზე აკეთებს: „დასხ, ოსვალდი სსრკ-ში შეაგვნეს, რუსებმაც საპასუხი ნაბიჯები გადადგეს და სანგრძლოვით თამაში დაიწყო.... ფისქაურად გაუწინასწორებელი ოსვალდის კონტროლი შეუძლებელია აღმოჩნდა. თამაშიც ჩაიშალა“



# თელოვანის ჯვარისატიოსანი



**ძარღიული ხუროთმოძღვრების ძიების ხანის (VII-IX სს.)  
ერთ-ერთი საუკეთესო ციმული ქართლის გულში**

სოფელ ქსოვისის აღმოსავლეთით, ნაქალაქარ თელოვანის ტერიტორიაზე შემორჩენილია მრავალმხრივ გამორჩეული ძეგლი — ქართული ხელოვნების ისტორიის ეწ გარდამაყალი შუა საუკუნეების ხანისა. განმარტოებით, უკაცრიელ მინდორში მდგომი, რიყისა და შირიმის ქვით ნაგები გუმბათოვანი ტაძრი შორიდანვე იტაცებს თვალს და თავისთან იხმოსს არა მარტო მომლოცველებს, არამედ მოყვარულ და პროფესიონალ ხელოვნების მოტრფიალებს.

უპირველესად აღსანიშნავია ტაძრის არ-ქიტექტურული იერსახე.

თელოვანის ჯვარიპატიოსნის ეკლესია თარიღდება VIII-IX საუკუნეებით და განეკუთვნება ე.წ. მარტივი ტიპის ტრიკონქის ტაძრებს. ის წარმოადგენს სამაფსიდან კომპოზიციას, სადაც ჩრდილოეთი და სამხრეთი აფსიდები არა უშუალოდ გუმბათქება სივრცეს, არამედ სწორკუთხა მკლავებს ებმის. ბერიანი საკურთხევლის აფსიდა დანარჩენ ორს ზომით აღემატება, მის გვერდებზე აფსიდალური ბოლოების მქონე სათავსებია (ბერა — ამფითეატრის მსგავსი სივრცე ტაძარში). დასავლეთის მკლავი სწორკუთხაა, რომელშიც შესასვლელები სამი — ჩრდილოეთ, სამხრეთ და დასავლეთ სეგმენტებიდანაა

გაჭრილი. სხვა ტრიკონქებისგან ამ ტაძრის აღმოსავლეთ-დასავლეთი ღერძის გამოკვეთილი დომინანტურობა განასხვავებს.

აღსანიშნვია, რომ ტაძრის გუმბათი გარედან შემცულია თაღედით, რაც ქართულ ხუროთმოძღვრებაში პირველ შემთხვევად არის მიჩნეული. გუმბათში დატანილია წრიული სარკელები, რომლებითაც შიდა სივრცე დამატებით არის განათებული. ამგვარი სარკმლები უფრო ადრე მხოლოდ წრომში გვხვდება. არქიტექტურული გამორჩეულობის გარდა, თელოვანის ტაძრის კომპოზიციური სრულყოფილებას დახვეწილი რელიეფური მორთულობებიც განაპირობებს.

დასავლეთი შესასვლელის თავზე მოცემულია სამი ჯვარი. აქედან შუა ჩაწერილია

აღმოსავლეთი მხრიდან  
ხედი ქართლის დაბლობზე  
იძლება



ამავდით დაბოლოებულ ჩრდილოეთი შეკლა  
რელიეფური ჯვრი გუმბათში, რომელიც როგორც  
ჩანს, დაფერილ იყო. იყო გამოხატული ტაძრის  
მთავარ იდეას — წმინდა ჯვრის განდიდებას





ტაძრის გუმბათი  
გარედან შეძულია  
თაღვედით, რაც ქართულ  
ხურითმოძღვრბაში  
პირველ შემთხვევად  
არის მიჩნეული.

გუმბათში დატანილია  
წრიული სარკმლები,  
რომელთა მსგავსიც  
უფრო აღრე მხოლოდ  
წრომში გვხდება

### სარკმელი სამხრეთის მკლავზე




წრეში. მსგავსი გამოსახულებანი უკვე V-VI  
საუკუნეებიდან გაგრცელდა საქართველოში.

ამავე შესასვლელის გვერდითა კედელზე  
მოცემულია რელიეფი, რომლის ცენტრში  
ჯავრია, აქეთ-იქიდან მავედრუბელი ფიგურებით  
ჯვრის ქვეშ კი თუვზის გამოსახულებაა. მის  
მარცხენა მხარეს პალმის ხეა (სიცოცხლის ხის  
სიმბოლო) ირმებით გარშემორტყმული, მარჯ-  
ვნივ კი დანიელ წინასწარმეტყველი ლომებთან.

თელოვანის ჯვარიპატიოსნის ეკლესიის  
შიდა მორთულობის დომინანტია რელიეფუ-  
რი ჯვარი გუმბათში, რომელიც როგორც  
ჩანს, დაფურილი იქნებოდა. იგი გამოხატავს  
ტაძრის მთავარ — წმინდა ჯვრის განნიდების  
იდეას, რის გარშემოც ვითარდება მორთულო-  
ბის სისტემა როგორც ფორმისეულად, ისე  
არსობრივად.

თელოვანის ჯვარიპატიოსნის ნამდვილ  
მარგალიტს წარმოადგენს შიდა სივრცის მოხა-  
ტულობა, რომლის მხოლოდ ფრაგმენტებია  
შემორჩენილი. იგი საკმაოდ დაზიანებულია.  
აფსიდის კონქში გამოსახულია საყდარზე  
დაბრძანებული უფლის ფიგურა, ხოლო მის  
ორივე მხარეს გამოსახულია თითო ანგელოზი.  
საკურთხევლის ამ მონაკვეთზე ფერწერუ-  
ლი ფენა მხოლოდ უმნიშვნელო ნაშთების



(ზემოთ) სამი კვარცი შესახელების თავზე დასულეთის მხრიდან. (ქვემოთ) დეტალი ახლო პლანით





რელიეფის ცენტრში ჯვარია, აქეთ-იქიდან  
მავრებელი ფიგურებით ჯვრის ქვეშ თუგზის  
გამოსახულებაა. მარცხნიანი მხარეს პალმის ხეა  
ირმებით გარშემორტყმული, მარჯვნივ კი ღანიერ  
წინასწარმეტყველი ლომებთან

- გაუძმებული სამხრეთი შესასელები
- ▼ სამხრეთი შესასელების გაფორმების დეტალი






სახით არის შემორჩენილი. კონქის საჭექში (თაღების რკალების შეერთების ადგილი), შუა ფრაგმენტზე ჩანს უფლის ღია წითელი ფერის შარავანდი, რომელსაც შავი ფერის კონტური მისდევს. ერთადერთი, რაც ფრესკაზე შედარებით მკაფიოდ იყითხება, ესაა უფლის ფეხთსადგამი. ფეხსადგამის მარცხენა ნაწილზე მოჩანს უფლის მარჯვენა ტერფის დეტალი.

ქრისტეს ფიგურის მარცხნივ, კონქის ჩრდილოეთ ქანობზე, შემორჩენილია მხოლოდ ანგელოზის აწეული ფრთის ზედა ნაწილი. როგორც შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ირკვევა, ანგელოზთა ფიგურები ზომით გაცილებით უფრო მცირეა, ვიდრე ქრისტეს გამოსახულება. კონქს ქვემოთ, აფსიდის კედლებზე სარგმლის აქეთ-იქით, წარმოდგენილი იყო რამდენიმე მოციქული. მათგან მხოლოდ ნაწილიღა შემორჩენილი. მოციქულთა რიგის შუაში, უფლის ფეხთსადგამსა და საკურთხევლის სარგმელს შორის, გამოსახულია მედალიონი. მედალიონში ჩაწერილი სახე წაშლილია და სახის ნაკვთები აღარ ჩანს.

უფლის გამოსახულების მარჯვნივ პირველი წმინდა პეტრეა. მისი ფიგურა სარკმელთან ახლოსაა. სხვა მოწაფეთა ფიგურებთან შედარებით, წმინდა პეტრეს ფიგურა მცირე

(ზემოთ) სარკმლის თავზე მედალიონში ჩაწერილია ქრისტეს გამოსახულება, მის მარცხნივ ოთა მოციქულის ფიგურა ჩანს, ხოლო მარჯვნივ — ოთხის. (ქვემოთ) X საუკუნის მოხატულობას ფრაგმენტი სცეტზე





ზომისაა. შემდევ მოდის წმინდა ანდრია, სხვა ორ ფიგურაზე დანამდვილებით თქმა მნელია.

საკურთხევლის ფერწერულ შექულობას ამშენებს მოციქულთა ფიგურებს შორის და ნაცრისფერ ფონზე აქა-იქ გაბნეული გარსკვლავები.

მოხატულობაში გამოყენებულია ნაცრისფერი, მუქი წითელი და ღვინისფერი, ყავისფერი, ოქროსფერი და მუქი ლურჯი.

ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური მხატვრობა ძირითადად ქვეწის სამ რეგიონს მოიცავს. ორ მათგანში — სვანეთსა და დავითგარეჯაში, ადგილობრივი სკოლის ჩამოყალიბება დაახლოებით IX-X საუკუნეებში იწყება, ქართლში კი მიუხედავად

იმისა, რომ კედლის მხატვრობის ნიმუშები ძლიერ ფრაგმენტული სახითაა შემორჩენილი, მათი ადრეულობა და შესრულების მაღალი დონე ეჭვს არ იწვევს. ამ უკანასკნელთაგან ერთ-ერთი უადრესი და უმნიშვნელოვანესი ნიმუშია სწორულ თელოვანის ჯვარიპატიონის VIII საუკუნით დათარიღებული ტაძრის საკურთხევლის მოხატულობის I ფენა, რომელიც IX საუკუნის დასაწყისით თარიღდება. ერთიანი კომპოზიციით იხატებოდა მხოლოდ საკურთხეველი, ხოლო ტაძრის დანარჩენი ნაწილი — ფრაგმენტულად.

X საუკუნეში კი თელოვანის ჯვარიპატიონის ტაძრის მთელი ინტერიერი მოიხატა. ხოლო XVI საუკუნეში, როდესაც ტაძარი

ადგილობრივ მმართველთა — რატიშვილთა საძგალედ იქცა, მთელი ძველი მოხატულობა ახალი ბათქაშით დაფარეს და ახლისთვის მოამზადეს, თუმცა ის არ შესრულებულა. 1980 წლისთვის ინტერიერში ბათქაშის ჩამოშლის შემდეგ გამოჩნდა საკურათხევლის სარკმლის თავზე მოთავსებული კომპოზიცია — ქრისტეს გამოსახულება ჩაწერილია მედალიონში, რომელსაც ორი მხრიდან მოციქულის ოთხი ფიგურა აქვს გამოსახული.

ტაძრის რესტავრაცია თავდაპირველად 1950-იან წლებში სცადეს. ვახტანგ ცინცაძის ხელმძღვანელობით გაიწინდა და გამაგრდა კონსტრუქციული ელემენტები, აღდგა ძლიერ დაზიანებული კედლებისა და გუმბათის ყელის ნაწილები, გამოიცვალა სახურავი და ძველი გეგმის მიხედვით შემოერტყა გალავანი.

მოხატულობის შესწავლისთვის მცირებნიანი ექსპედიციები 1980-იანი წლებიდან დაიწყო. სრულად მოხატულობათა კომპოზიცია საბოლოოდ 1989 წელს გამოვლინდა, როდესაც გამაგრებისა და გაწმენდის სამუშაოებისა ახალი ფენები მოიხსნა.

თელოვანის ჯვარიძატიონების ეკლესიის მოხატულობის შესწავლას კროფესორმა ზაზა სხირტლაძემ მონოგრაფია მიუძღვნა და სწორედ მასთან კონტექსტში მიმოიხილა ადრული შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა, მისი ისტორია და განვითარების ეტაპები, რამაც საბოლოოდ გამოკვეთა ტაძრის საეტაპო მნიშვნელობა ქართული მონუმენტური ფერწერის ისტორიისთვის.

#### **მართა სახლის უცივილი**


**სულონებათმცოდნების მაგისტრი**




კარისა (ქვემოთ) და სარკმლის (ზემოთ) შემულობრივი ფოტოები



ტაძრის გარშემო თელოვანის ნაქალაქარია





## სანვითო ჟურნალ „კარისალისგან“

უფრო მეტი საქანონობრივი, ყრისლურობრივი, თავსაჭრელი და  
საინტერიერო ამზები იხილულ შემცვენებით - გასართობი ჟურნალში





 <p><b>პორტრეტულიას პრეზიდენტი</b></p>		1. მწერობრივი ნაბიჯით სკოლა	2. ჩამორისდება უდინებელობა თა აღმატება	3. ბალაზაკი ..... ტექნიკა
6. მოსახი- გენერებით მასაცობა	7. უ. სკოტი .... რიო	5. ისრაელში დაბადებული ებრაელი	4. გაურიანებ- ული ერიბის ორგანიზაცია (აბრ.)	
↓	↓	8. ტბა უნი- ოფაში	9. თბილისის უბანი	10. ... ბეჭუ- ნევი (...ოძი და მშეიცვა- ბა")
12. ქაშაბი		13. არზაგან ზემოასნ იხინა (კ. გაგ- სახელმავა)		11. შინაგამის მიმღებარი
↓	↓		↓	↓
16. მადალ- ნარის ხიდი წმინდა ქედი	17. ჭადრაჟში — სცენის რი ...	18. პილიუ- დას მას. .... ბებინგი	15. ბეჭუ- გარეთის საკურორტო ქალაქი	↓
↑		←	↑	
19. ნოეს ერთ-ერთი ქაფი	20. ნაპოლეო- ნის მარშალი	21. მიმართვა ფრანგ მეფეს	22. ინდური კაბა	23. თევდო- რისა, დას- რობითი
↑	←	←		←

Բայց ի համարվելու ամուսնացնածությունը և սպառագույն պակասները:

1. զարթօ; 2. ջղարանօ; 3. ևօմրութօ; 4. յորմօ; 5. բարչօնօ; 6. աևմօլցայօ; 7. եացանօ; 8. քայօշօ; 9. ռասնդօ; 10. զըօնթօ; 11. ռործօ; 12. մարչյանօ; 13. մայօշօ; 14. անօ; 15. առօմթրօ; 16. յանթօ; 17. ռաժօ; 18. նանցօ; 19. մոլլօ; 20. ըրամօ; 21. մարտօ; 22. պըռօ; 23. դրանցօ; 24. դորոհացօ; 25. մանօն. Տ՛ԱՐԱՄԹՑՅԵՒԹՅՈՒՆ:

# ქართველი მეფებისი

პატრონი და მსახური ეპოქისანი



24  
წლიად  
მარარი ყელი

საეციალური  
ფასი 5.50 ₾  
გაზიათთან  
ერთად 7 ₾

სამარავლო:



გაზიათ „კვირის კალიფისთან“ ერთად  
ისწორია, ჩრდილიშ ძვირვასია!

გამოდის თვეში ერთხელ

იკითხეთ წიგნის მაღაზიებსა და პრესის გავრცელების წერტილებში ან დარეკეთ ნომრებზე:

0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 და [www.elva.ge](http://www.elva.ge) ადგილზე მოგართოთ.



Palitra.L.PUBLISHING [www.palitra.ge](http://www.palitra.ge)

# გიგლი

## განეარჩევებით

პირველად, ეპრტულ ენაზე!

ის, რაც წმინდა წერილის სწორად  
წაკითხვასა და გააზრებაში დაგეხმარებათ

15 ტომად

- ძველი და ახალი აღთქმა
- მუხლობრივი განმარტებები
- წმინდა მამების გამონათქვამები
- ძველი აღთქმის ისტორია

საეფექტოდან!  
გაზეთ  
„პირველ პალიტრასთან“  
ერთად!

